ც ნ ო ბ ა

საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (მის. დაბა ქედა მერაბ კოსტავას ქუჩა №3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული) მიმდინარეობს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ქედის მუნიციპალიტეტის 2027 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე.

საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებას ახორციელებს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია (კომისიის თავმჯდომარე - ამირან წულუკიძე). (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული;).

ქედის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტისა და ქედის მუნიციპალიტეტის 2027 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვა: 2026 წლის 20 ნოემბერი; 11:00 საათი. (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული; სააქტო დარბაზი).

დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრების წარდგენა შეუძლიათ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ცნობის გამოქვეყნებიდან 2026 წლის 19 ნოემბერს დღის 18:00 საათამდე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში.

საკრებულოს დარგობრივი კომისიები და საკრებულოს ფრაქციები ქედის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტსა და ბიუჯეტის პროექტზე თავის დასკვნას საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას წარუდგენენ არაუგვიანეს 2026 წლის 23 ნოემბრისა.

საკრებულოს დარგობრივი კომისიები და საკრებულოს ფრაქციები ქედის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტსა და ბიუჯეტის პროექტზე სხდომებს გამართავენ 2026 წლის შემდეგი გრაფიკით:

სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია - 2026 წლის 24 ნოემბერი; 11:00 საათი;

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია - 2026 წლის 24 ნოემბერი; 12:00 საათი;

ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია - 2026 წლის 24 ნოემბერი; 14:00 საათი;

სოციალურ საკითხთა კომისია - 2026 წლის 24 ნოემბერი; 15:00 საათი.

ქედის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტსა და ბიუჯეტის პროექტზე საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია 2026 წლის 25 ნოემბერს 12:00 საათზე ჩაატარებს გაფართოებულ სხდომას.

განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომა შედგება 2026 წლის 22 დეკემბერს დღის 12:00 საათზე. (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული; სხდომათა დარბაზი).

„ქედის მუნიციპალიტეტის 2027 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად განსაზღვრულია 2026 წლის 25 დეკემბერი.

დანართი №1



ქედის მუნიციპალიტეტის 2027 წლის ბიუჯეტის პროექტი

პროექტი

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება № --

2026 წლის --- ნოემბერი
დაბა ქედა

ქედის მუნიციპალიტეტის 2027 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

,,საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი”-ს მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 89-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 78-ე მუხლისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1.

დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის 2027 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი დანართი №1-ის შესაბამისად.

მუხლი 2.

დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის 2027 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამები და ქვეპროგრამები დანართი №2-ის შესაბამისად.

მუხლი 3.

დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის 2027-2030 წლების საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტი დანართი №3-ის შესაბამისად.

მუხლი 4.

ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქედის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის №17 დადგენილება (გამოქვეყნების წყარო: სსმ, ვებგვერდი www.matsne.gov.ge, 29/12/2025, სარეგისტრაციო კოდი:190020020.35.134.016410.

მუხლი 5.

დადგენილება ამოქმედდეს 2027 წლის 01 იანვრიდან.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ამირან ცინცაძე**

დანართი №1

თავი I

ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1.ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	2025 წლის ფაქტი	2026 წლის გეგმა	2027 წლის პროექტი
I. შემოსავლები	**31 163 885**	**34 537 619**	**36 650 100**
გადასახადები	19 928 719	21 248 400	22 973 700
გრანტები	10 618 380	12 878 859	13 150 000
სხვა შემოსავლები	616 786	410 360	526 400
II. ხარჯები	**22 866 431**	**24 637 791**	**26 223 200**
შრომის ანაზღაურება	8 511 499	9 552 264	10 610 200
საქონელი და მომსახურება	4 606 606	4 899 768	5 529 100
პროცენტი	2 885	1 500	0
სუბსიდიები	3 886 025	4 453 180	4 705 950
სოციალური უზრუნველყოფა	1 962 293	1 836 300	1 819 750
სხვა ხარჯები	3 897 124	3 894 779	3 558 200
III. საოპერაციო სალდო	**8 297 454**	**9 899 828**	**10 426 900**
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	**8 136 662**	**10 514 767**	**10 425 900**
ზრდა	8 141 062	10 584 767	10 455 900
კლება	4 400	70 000	30 000
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	**134 002**	**-629 339**	**0**
ზრდა	134 002	0	0
ვალუტა და დეპოზიტები	134 002	0	0
კლება	**0**	**629 339**	**0**
ვალუტა და დეპოზიტები	0	629 339	0
VII. ვალდებულებების ცვლილება	**-26 790**	**-14 400**	**-1 000**
კლება	**26 790**	**14 400**	**1 000**
საშინაო	26 790	14 400	1 000
VIII. ბალანსი	**0**	**0**	**0**

მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით

დასახელება	2025 წლის ფაქტი	2026 წლის გეგმა	2027 წლის პროექტი
შემოსულობები	**31 168 285**	**34 607 619**	**36 680 100**
შემოსავლები	**31 163 885**	**34 537 619**	**36 650 100**
არაფინანსური აქტივების კლება	**4 400**	**70 000**	**30 000**
გადასახდელები	**31 034 283**	**35 236 958**	**36 680 100**
ხარჯები	**22 866 431**	**24 637 791**	**26 223 200**
არაფინანსური აქტივების ზრდა	**8 141 062**	**10 584 767**	**10 455 900**
ვალდებულებების კლება	**26 790**	**14 400**	**1 000**
ნაშთის ცვლილება	**134 002**	**-629 339**	**0**

მუხლი 3. ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს ბიუჯეტის შემოსავლები 36 650 100 ლარის ოდენობით

შემოსავლების სახეების დასახელება	2025 წლის ფაქტი	2026 წლის გეგმა	2027 წლის პროექტი
შემოსავლები	**31 163 885**	**34 537 619**	**36 650 100**
გადასახადები	**19 928 719**	**21 248 400**	**22 973 700**
გრანტები	**10 618 380**	**12 878 859**	**13 150 000**
სხვა შემოსავლები	**616 786**	**410 360**	**526 400**

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 22 973 700 ლარის ოდენობით

შემოსავლების სახეების დასახელება	2025 წლის ფაქტი	2026 წლის გეგმა	2027 წლის პროექტი
გადასახადები	**19 928 719**	**21 248 400**	**22 973 700**
გადასახადები ქონებაზე	**831 516**	**700 000**	**700 000**
გადასახადები უძრავ ქონებაზე	831 516	700 000	700 000
ქონების გადასახადი	831 516	700 000	700 000
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	731 103	667 000	667 000
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	11 358	3 000	3 000
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი	12 666	0	0
ფიზიკური პირებიდან	11 912	0	0
იურიდიული პირებიდან	753	0	0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი	76 389	30 000	30 000
ფიზიკური პირებიდან	4 289	2 000	2 000
იურიდიული პირებიდან	72 100	28 000	28 000
გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე	**19 097 203**	**20 548 400**	**22 273 700**
საყოველთაო გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე	19 097 203	20 548 400	22 273 700
დამატებული ღირებულების გადასახადი	19 097 203	20 548 400	22 273 700
საქართველოს ტერიტორიაზე რეალიზებული პროდუქციიდან და გაწეული მომსახურებიდან	7 346 639	5 861 535	8 566 400
იმპორტირებული პროდუქციიდან	11 750 563	14 686 865	13 707 300

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები(ტრანსფერები)

განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტისბიუჯეტის გრანტები 13 150 000 ლარის ოდენობით

შემოსავლების სახეების დასახელება	2025 წლის ფაქტი	2026 წლის გეგმა	2027 წლის პროექტი
გრანტები	**10 618 380**	**12 878 859**	**13 150 000**
სხვა სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები	**10 618 380**	**12 878 859**	**13 150 000**
მიმდინარე	4 214 668	4 252 859	3 650 000
გრანტები ცენტრალური ბიუჯეტიდან	203 961	242 680	200 000
გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	203 961	242 680	200 000
მიზნობრივი ტრანსფერი	104 488	242 680	200 000
სხვა	99 473	0	0
გრანტები ავტონომიური რესპუბლიკის ერთიანი ბიუჯეტიდან	4 010 707	4 010 179	3 450 000
გრანტები ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან	4 010 707	4 010 179	3 450 000
სპეციალური ტრანსფერი	4 010 707	4 010 179	3 450 000
კაპიტალური	6 403 713	8 626 000	9 500 000
გრანტები ცენტრალური ბიუჯეტიდან	223 000	0	0
გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	223 000	0	0
სხვა	223 000	0	0
გრანტები ავტონომიური რესპუბლიკის ერთიანი ბიუჯეტიდან	6 180 713	8 626 000	9 500 000
გრანტები ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან	6 180 713	8 626 000	9 500 000
კაპიტალური ტრანსფერი	6 180 713	8 626 000	9 500 000

მუხლი 6. ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 526 400 ლარის ოდენობით

შემოსავლების სახეების დასახელება			

	2025 წლის ფაქტი	2026 წლის გეგმა	2027 წლის პროექტი
სხვა შემოსავალი	**616 786**	**410 360**	**526 400**
შემოსავალი საკუთრებიდან	**170 841**	**145 000**	**230 400**
პროცენტი	45 175	50 000	106 400
რეზიდენტებისგან, სხვა სამთავრობო სექტორის გარდა	45 175	50 000	106 400
დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები	45 175	50 000	106 400
რენტა	125 666	95 000	124 000
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	120 741	92 500	121 000
მოსაკრებელი წიაღით სარგებლობისათვის	56 500	55 000	55 000
მოსაკრებელი სახელმწიფო ტყის ფონდის მერქნული რესურსებით სარგებლობისათვის	43 791	30 000	30 000
მოსაკრებელი გარემოდან ამოღებული ტყის არამერქნული რესურსებით და ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებით სარგებლობისათვის	91	0	0
მოსაკრებელი წყლის რესურსებით სარგებლობისათვის	7 212	4 500	5 500
მოსაკრებელი გარემოდან გადამფრენი ფრინველების ამოღებაზე	612	500	500
სხვა არაკლასიფიცირებული ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელი	12 534	2 500	30 000
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	4 925	2 500	3 000
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	**78 473**	**70 000**	**75 000**
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	65 313	65 000	70 000
სანებართვო მოსაკრებლები	41 541	50 000	50 000
მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვაზე	41 541	50 000	50 000
მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	23 755	15 000	20 000
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	16	0	0

არა საბაზრო დაწესებულების მიერ განხორციელებული გაყიდვები	13 161	5 000	5 000
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	13 161	5 000	5 000
შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	13 161	5 000	5 000
სანქციები, ჯარიმები და საურავები	**56 010**	**40 000**	**41 000**
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო	52 513	30 000	31 000
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროებში	11 193	6 000	6 000
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) სახელმწიფო საკუთრების ხელმყოფი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო		2 000	2 000
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო გარემოს დაცვის, ბუნებათსარგებლობის სფეროში	1 879	1 000	1 000
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ტრანსპორტზე საგზაო მეურნეობისა და კავშირგაბმულობის დარგში	38 093	20 000	20 000
საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამო	27 798	17 000	17 000
უბილეთო მგზავრობის გამო	20	0	0,00
სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ტრანსპორტზე საგზაო მეურნეობისა და კავშირგაბმულობის დარგში	10 275	3 000	3 000
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო	1 348	1 000	2 000
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო	3 497	5 000	5 000
შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები)		5 000	5 000

ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	**311 462**	**155 360**	**180 000**
მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	311 462	155 360	180 000
სხვა მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	311 462	155 360	180 000
სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	311 921	155 360	180 000

მუხლი 7. ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს ბიუჯეტის ხარჯები 26 223 200 ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2025 წლის ფაქტი	2026 წლის გეგმა	2027 წლის პროექტი
ხარჯები	22 866 431	24 637 791	26 223 200
შრომის ანაზღაურება	8 511 499	9 552 264	10 610 200
საქონელი და მომსახურება	4 606 606	4 899 768	5 529 100
პროცენტი	2 885	1 500	0
სუბსიდიები	3 886 025	4 453 180	4 705 950
სოციალური უზრუნველყოფა	1 962 293	1 836 300	1 819 750
სხვა ხარჯები	3 897 124	3 894 779	3 558 200

მუხლი 8. არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 10 425 900 ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 10 455 900 ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2025 წლის ფაქტი	2026 წლის გეგმა	2027 წლის პროექტი

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	293 009	307 450	146 200
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	6 102 149	6 726 800	8 547 000
განათლება	51 831	239 334	85 000
კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	1 694 072	2 179 714	1 677 700
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	0	425 600	0
სულ ჯამი	8 141 062	9 878 898	10 455 900

ბ) განისაზღვროს ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 30 000 ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2025 წლის ფაქტი	2026 წლის გეგმა	2027 წლის პროექტი
არაფინანსური აქტივების კლება	4 400	70 000	30 000
ძირითადი აქტივები	0	50 000	10 000
არაწარმოებული აქტივები	4 400	20 000	20 000
მიწა	4 400	20 000	20 000

მუხლი 9. ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა 36 679 100 ლარის ოდენობით ფუნქციონალურ ჭრილში, მათ შორის:

ფუნქციონალური კოდი				დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	2024 წლის ფაქტი	2025 წლის ფაქტი	2026 წლის ფაქტი
7				მთლიანი ხარჯები	31 007 493	35 222 558	36 679 100
7	1			საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	5 714 386	6 629 382	7 753 400

7	1	1		აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	5 420 944	6 577 882	7 703 400
7	1	1	1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	5 420 944	6 327 882	7 503 400
7	1	1	2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0	250 000	200 000
7	1	6		ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	2 885	1 500	0
7	1	8		სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	290 557	50 000	50 000
7	4			**ეკონომიკური საქმიანობა**	**3 166 201**	**2 268 500**	**2 761 600**
7	4	2		სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	0	17 000	8 000
7	4	2	1	სოფლის მეურნეობა	0	17 000	8 000
7	4	5		ტრანსპორტი	2 609 437	1 544 400	2 033 800
7	4	5	1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	2 609 437	1 544 400	2 033 800
7	4	7		ეკონომიკის სხვა დარგები	556 764	707 100	719 800
7	4	7	3	ტურიზმი	556 764	707 100	719 800
7	5			**გარემოს დაცვა**	**1 862 428**	**2 099 700**	**2 178 100**
7	5	6		სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	1 862 428	2 099 700	2 178 100
7	6			**საბინაო-კომუნალური მეურნეობა**	**5 007 430**	**6 410 500**	**9 155 300**
7	6	2		კომუნალური მეურნეობის განვითარება	1 524 675	3 261 900	5 200 000
7	6	3		წყალმომარაგება	1 627 275	1 484 300	1 985 300
7	6	6		სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	1 855 480	1 664 300	1 970 000
7	7			**ჯანმრთელობის დაცვა**	**899 198**	**1 237 680**	**1 200 000**
7	7	6		სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	899 198	1 237 680	1 200 000
7	8			**დასვენება, კულტურა და რელიგია**	**5 234 584**	**7 766 300**	**5 482 000**
7	8	1		მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	1 791 366	950 200	1 902 100
7	8	2		მომსახურება კულტურის სფეროში	3 443 218	6 816 100	3 579 900
7	9			**განათლება**	**4 850 388**	**5 203 917**	**5 520 700**

7	9	1		სკოლამდელი აღზრდა	3 501 250	3 764 000	4 052 600
7	9	8		სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	1 349 138	1 439 917	1 468 100
7	10			**სოციალური დაცვა**	**4 272 878**	**3 606 579**	**2 628 000**
7	10	7		სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიცირებას	31 043	30 000	30 000
7	10	9		სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	4 241 835	3 576 579	2 598 000

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს ბიუჯეტის მთლიანი სალდო 1 000 ლარის ოდენობით.

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება - 1 000 ლარის ოდენობით.

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 200 000 ლარის ოდენობით. სარეზერვო ფონდიდან თანხებს მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილებების საფუძველზე, რომელიც მოიცავს ინფორმაციას თანხის ოდენობისა და მიზნობრიობის შესახებ გამოყოფს საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური.

მუხლი 13. პასუხისმგებლობა

2027 წლის განმავლობაში ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი საბიუჯეტო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებისათვის ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის შესაბამისი მუხლის მიხედვით დამტკიცებული სახსრების განკარგვა განხორციელდეს დამტკიცებული შესყიდვების გეგმისა და მიზნობრივი პროგრამების საფუძველზე, რაზეც მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება საბიუჯეტო ორგანიზაციასა და დაწესებულებას.

თავი II

ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 14. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

- **ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია;**
- **დასუფთავება და გარემოს დაცვა;**
- **განათლება;**
- **კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი;**
- **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;**

პრიორიტეტი:

01.მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები (პროგრამული კოდი 01 00)

პროგრამის მიზანი:

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების გამართული და ეფექტური მუშაობა.

პროგრამის აღწერა:

აღნიშნული ხარჯები უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიაში სისტემის გამართულ მუშაობას და მასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს.

პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი პროგრამების განხორციელება

პროგრამული კოდი	პროგრამის დასახელება
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა
01 01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო
01 01 02	მუნიციპალიტეტის მერია
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები
01 02 01	სარეზერვო ფონდი
01 02 03	მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებითი მონაწილეობა საგრანტო და ადგილობრივ პროექტებში
01 02 04 02	წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების ფინანსური უზრუნველყოფა

პრიორიტეტი:

02.ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება (პროგრამული კოდი 02 00).

ქედის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. განაშენიანების ახალი პროექტებიდან გამომდინარე, უახლოეს მომდევნო წლებშიც, კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება კვლავაც პრიორიტეტად რჩება. მუნიციპალიტეტის კომუნალური მეურნეობა წარმოადგენს რთულ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემას, რომელიც ქმნის მოსახლეობისათვის აუცილებელ საცხოვრებელ პირობებს, უზრუნველყოფს საქმიანობის განხორციელებას, ასევე მეურნეობის სხვადასხვა დარგებში მომუშავე საწარმოებისა და ორგანიზაციების შეუფერხებელ, გამართულ ფუნქციონირებას. დასვენებისა და გართობის მიზნით ინფრასტრუქტურის მოწყობა ქალისა და მამაკაცის საჭიროებების გათვალისწინებით, პარკების და საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების მოწყობა-რეაბილიტაცია, მუნიციპალიტეტში დაგეგმილი სამშენებლო–სარეაბილიტაციო სამუშაოების ნორმებითა და წესების გათვალისწინებით განხორციელების პირობას შესაბამისი საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოადგენს. ინფრასტრუქტურის განვითარება პირდაპირ კავშირშია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კეთილდღეობასთან, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში ინვესტიციების მოზიდვას, რაც ტურიზმის, სოფლის მეურნეობის და სხვა დარგების განვითარების წინაპირობაა. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია, წყლის სისტემების, გარე განათების ქსელის განვითარება და მუნიციპალიტეტში სხვა აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსება. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება როგორც ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ასევე, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის

ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები, რაც მთლიანობაში უწყობს ხელს კლიმატგამძლე, უსაფრთხო და მდგრადად განვითარებული მუნიციპალური ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებას.

ინფრასტრუქტურული პროექტის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში გათვალისწინებულია კატასტროფების რისკების შემცირების პრევენციული ღონისძიებები და იქმნება პირობები კლიმატური საფრთხეების მიმართ მდგრადობის გაუმჯობესებისთვის.ეს მოიცავს: წყლის სისტემების გამართვასა და დაცვას, მოდინებული წყლების მართვის გაუმჯობესებას, გზებისა და საჯარო სივრცეების გამძლეობის გაზრდას მეწყრული, წყალდიდობის, ინტენსიური ნალექის და სხვა ბუნებრივი საფრთხეების მიმართ. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს მოსახლეობის, განსაკუთრებით კი მოწყვლადი ჯგუფების – ქალების, ბავშვებისა და შშმ პირების – უსაფრთხოებას და საცხოვრებელი გარემოს სტაბილურობას.

პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი პროგრამების განხორციელება:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი
02 00	**ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება**
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება
02 02	საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის და სერვისების განვითარება
02 03	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები
02 04	მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, სარეგისტრაციო, ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯები
02 05	სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა
02 06	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა
02 07	საცხოვრებელ და არასაცხოვრებელ შენობა-ნაგებობებში ელექტრო მეურნეობის აღდგენა
02 08	შპს ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი
02 09	ქედის მუნიციპალიტეტში გარე განათებისა და ელექტროგადამცემი ქსელების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია
02 10	მერისის სამთო იალაღებზე ელექტრო-გადამცემი ხაზის მშენებლობა

პროგრამა: საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 01).

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვას, დაზიანებული გზებისა და საგზაო ნაგებობების (ხიდები, მილხიდები, გზების დამცავი კედლები და გაბიონები და სხვა) რეაბილიტაციას, რაც კატასტროფების რისკების პრევენციის ერთ-ერთ მთავარ საფუძველს წარმოადგენს. დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები მნიშვნელოვნად შეამცირებს ბუნებრივი საფრთხეებით გამოწვეული შესაძლო ზიანის ალბათობას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მოდინებული წყლების მართვის გაუმჯობესებას: დაიგეგმება და განხორციელდება კიუვეტების, ცხაურებისა და სანიაღვრე არხების მოწყობა/რეაბილიტაცია, რათა შემცირდეს გზების წყლით დატბორვისა და დაზიანების, მეწყრული პროცესების გააქტიურებისა და ჭარბნალექიანი ამინდების დროს ინფრასტრუქტურის დაზიანების რისკები. პროგრამა ითვალისწინებს ტროტუარების, პანდუსებისა და ბორდიურების მოწყობა/რეაბილიტაციას, რაც უზრუნველყოფს გადაადგილების უსაფრთხოებას და ქალებისა და მამაკაცებისთვის თანაბრად ხელმისაწვდომ მუნიციპალურ ინფრასტრუქტურას. საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით დაგეგმილია საგზაო ნიშნებისა და მონიშვნების, მათ შორის ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელებისა და სიჩქარის შემზღუდავი ელემენტების მოწყობა. აღნიშნული ღონისძიებები ხელს შეუწყობს როგორც ზოგად საგზაო უსაფრთხოებას, ისე კატასტროფების რისკების შემცირებას მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

პროგრამის მიზანი:

საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხო და შეუფერხებელი გადაადგილებისთვის გარემოს შექმნა.

მოსალოდნელი შედეგი:

მუნიციპალიტეტში მოწესრიგებულია საგზაო ინფრასტრუქტურა და კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკების პრევენციის მიზნით მოწყობილია სათანადო ინფრასტრუქტურა, შექმნილია პირობები ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა, შშმ პირთა და საბავშვო ეტლით მოსარგებლეთა უსაფრთხო გადაადგილებისთვის.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები :

პროგრამული კოდი	ქვეპროგრამის დასახელება
02 01 01	შიდა სასოფლო-საუბნო გზების რეაბილიტაცია
02 01 02	დაბა ქედაში დავით აღმაშენებლის ქუჩაზე (ქედა-მერისი) დამაკავშირებელ საავტომობილო გზაზე საყრდენი კედლის მოწყობა
02 01 03	მთებზე მოიალაღეთა ტრანსპორტირება
02 01 04	ბურღვა აფეთქება
02 01 05	საზოგადოებრივი ტრანპორტით უზრუნველყოფა
02 01 06	შ.პ.ს. ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო
02 01 07	მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ამბულატორიებში დასაქმებული ექიმების ტრანსპორტით უზრუნველყოფა

პროგრამა: საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის და სერვისების განვითარება (პროგრამული კოდი 02 02).

მუნიციპალიტეტსი განაშენიანების ახალი პროექტებიდან გამომდინარე, უახლოეს მომდევნო წლებშიც, კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება კვლავაც პრიორიტეტად რჩება. მუნიციპალიტეტის კომუნალური მეურნეობა წარმოადგენს რთულ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემას, რომელიც ქმნის მოსახლეობისათვის აუცილებელ საცხოვრებელ პირობებს, უზრუნველყოფს საქმიანობის განხორციელებას, ასევე მეურნეობის სხვადასხვა დარგებში მომუშავე საწარმოებისა და ორგანიზაციების შეუფერხებელ, გამართულ ფუნქციონირებას.

წყალმომარაგების სისტემის მოწყობისა და მოსახლეობისთვის სასმელი წყლის მიწოდების შედეგად გაუმჯობესდება საცხოვრებელი პირობები, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქალებისათვის. სოფლად მცხოვრები ქალები მეტად არიან ჩართული შინამეურნეობის მართვაში. გამართული წყალმომარაგება ქალებს შეუმსუბუქებს საოჯახო საქმეებს და ნაკლებად მოუწევთ ფიზიკური შრომა (შორი მანძილიდან წყლის მოტანა, ხელით რეცხვა და სხვა), ექნებათ სხვადასხვა საოჯახო ტექნიკის გამოყენების საშუალება, შესაბამისად, დაეზოგებათ დრო და შემცირდება აუნაზღაურებად შრომაში მათ ჩართულობის ხანგრძლივობა.

წყალმომარაგების სისტემის გაუმჯობესება ხელს შეუწყობს სკოლებისა და საბავშვო ბაღების სასმელი წყლით მომარაგებას, რაც შექმნის სანიტარულ პირობებს სააღმზრდელო და განათლების დაწესებულებებში როგორც გოგოებისა და ბიჭებისთვის, ასევე პედაგოგებისა და პერსონალისთვის.

პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილია საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემების მოვლა-შენახვა, რაც მნიშვნელოვანია კატასტროფების რისკების პრევენციისთვის, ხელს უწყობს ინფრასტრუქტურის მდგრადობასა და მოსახლეობის უსაფრთხო საცხოვრებელ გარემოს უზრუნველყოფას.

პროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტში მდგრადი კომუნალური სისტემის შექმნა და მოსახლეობის წყალმომარაგებით უზრუნველყოფა.

მოსალოდნელი შედეგი:

ქედის მუნიციპალიტეტის საზღვრებში რეაბილიტირებული და მოწყობილია წყალმომარაგების სისტემა, უზრუნველყოფილია მოსახლეობის უწყვეტი და მოთხოვნის შესაბამისი წყალმომარაგება, გაუმჯობესებული ეკოლოგიური და საცხოვრებელი გარემო.

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

პროგრამული კოდი	ქვეპროგრამის დასახელება
02 02 01	წყლის სიტემების რეაბილიტაცია და ახლის მშენებლობა
02 02 02	შპს ქედის წყალკანალი

ქვეპროგრამა: წყლის სიტემების რეაბილიტაცია და ახლის მშენებლობა (პროგრამული კოდი 02 02 01).

ქვეპროგრამა ითვალისწინებს არსებული წყლის სისტემაზე დაზიანებული ქსელის ამოცვლას, სარეზერვო გამანაწილებელი აუზების აშენებას, დამატებით მომხმარებლების მიერთებას და ოჯახებისათვის წყალმომარაგების სისტემის გაუმჯობესებას, მილების შეძენას.

ქვეპროგრამის მიზანი:

მოსახლეობისათვის წყალმომარაგების მომსახურების გაუმჯობესება. წყლის სიტემების ფუნქციონერება და გამართული მუშაობის უზრუნველყოფა.

მოსალოდნელი შედეგი:

განხორციელებულია წყლის სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაცია

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

პროგრამული კოდი	ქვეპროგრამის დასახელება
02 02 01 01	სოფელ სირაბიძეების სასმელი წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოები
02 02 01 02	კოლოტაურის (ჯინიშის უბნის) წყლის სისტემის მშენებლობა

პროგრამა: კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 02 03).

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მოსახლეობის დასვენებისა და გართობის მიზნით ინკლუზიური და ხელმისაწვდომი ინფრასტრუქტურის მოწყობა, სკვერების, პარკების და საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების მოწყობა-რეაბილიტაცია, სადაც მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, საბავშვო ეტლით მოსარგებლეთა, ბავშვების, ქალებისა და კაცების საჭიროებები.
ასევე მოეწყობა ფერდსამაგრი კედლები, სანიაღვრე არხები და ნაპირსამაგრები, რაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკების პრევენციაში და უზრუნველყოფს საცხოვრებელი გარემოს მდგრადობას და უსაფრთხოებას.

პროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტის მნიშვნელოვანი და აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების სრულყოფილად და ეფექტურად განხორციელება.

მოსალოდნელი შედეგი:

მუნიციპალიტეტში შექმნილია ინკლუზიური და თანაბრად ხელმისაწვდომი კეთილმოწყობილი საზოგადოებრივი სივრცეები და გაუმჯობესებულია მოსახლეობის საცხოვრებელი გარემო.

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი პროგრამების განხორციელება:

პროგრამული კოდი	ქვეპროგრამის დასახელება
02 03 01	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი
02 03 02	ნაპირსმაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია
02 03 03	პარკების, სკვერების, ატრაქციონების, ბილბორდების, ქუჩებისა და დასახლებული ტერიტორიების კეთილმოწყობა და მოვლა შენახვა

ქვეპროგრამა: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი (პროგრამული კოდი 02 03 01).

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობას და მოსახლეობისათვის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშეწყობას. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სახურავების რეაბილიტაცია, ფასადების მოწესრიგება, შიდა საერთო მოხმარების წყალმომარაგების და კანალიზაციის სისტემების შეკეთება, კიბის უჯრედების მოწესრიგება. ასევე ადმინისტრაციული და სხვა შენობების მშენებლობა-რეაბილიტაცია.

ქვეპროგრამის მიზანი:

მრავალბინიანი სახლების მობინადრეთათვის უსაფრთხო, გაუმჯობესებული და კომფორტული საცხოვრებელი გარემოს შექმნა, ადმინისტრაციული და სხვა შენობების მშენებლობა-რეაბილიტაცია.

მოსალოდნელი შედეგი:

მრავალბინიანი სახლების ინფრასტრუქტურა გაუმჯობესებულია ინკლუზიურობისა და თანასწორობის პრინციპების გათვალისწინებით და უზრუნველყოფილია უსაფრთხო საცხოვრებელი გარემო;

რეაბილიტირებულია ადმინისტრაციული შენობები და შექმნილია პირობები მუნიციპალური სერვისების კომფორტულ გარემოში მისაღებად.

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

პროგრამული კოდი	ქვეპროგრამის დასახელება
02 03 01 01	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება

02 03 01 02	მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის რემონტი
02 03 01 03	ძველი საცხოვრებელი სახლების მქონე ოჯახებზე ახალი საცხოვრებელი სახლებით შეცვლის პროგრამა

ქვეპროგრამა: ნაპირსმაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია; (პროგრამული კოდი 02 03 02).

გეოლოგიური დასკვნების საფუძველზე ხორციელდება სამუშაოები დაზიანებული გზების, წყლის სისტემების, სანიაღვრე არხების, უმისამართოდ გამდინარე წყლების უსაფრთხო ადგილზე გადაყვანის, მეწყერის შედეგად დაზიანებული შენობა-ნაგებობებისგაბიონების, ფერდსამაგრი და საყრდენი კედლების და სხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოები, ასევე ახალი ტერიტორიების ათვისება რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია. აღნიშნული ღონისძიებების განხორციელება კრიტიკულად მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში სტიქიური მოვლენების - მათ შორის გეოლოგიური, ჰიდროლოგიური, მეტეოროლოგიური და სხვა ბუნებრივი რისკების — მართვისა და შემცირების თვალსაზრისით, ჩატარებული სამუშაოები უზრუნველყოფს კატასტროფების რისკების პრევენციის მექანიზმების გაძლიერებას და მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის ხელშეწყობას.

ქვეპროგრამის მიზანი:

სტიქიისგან მოსახლეობის, მუნიციპალური და კერძო საკუთრების დაცვა და ახალი ტერიტორიების ათვისება.

მოსალოდნელი შედეგი:

კატასტროფების რისკების პრევენციული ღონისძიებები უზრუნველყოფს სტიქიისგან მოსახლეობის, მუნიციპალური და კერძო საკუთრების დაცვას და ახალი ტერიტორიების ათვისებას.

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

პროგრამული კოდი	ქვეპროგრამის დასახელება
02 03 02 01	მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებები

ქვეპროგრამა: პარკების, სკვერების, ატრაქციონების, ბილბორდების, ქუჩებისა და დასახლებული ტერიტორიების კეთილმოწყობა და მოვლა შენახვა; (პროგრამული კოდი 02 03 03).

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პარკებისა და სკვერების მოვლა–პატრონობა, კერძოდ, ნარგავების მოვლა, ნიადაგის მომზადება, ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, მორწყვა, შეწამვლა და საჭიროების შემთხვევაში შხამქიმიკატების შეტანა. სკვერებისა და პარკების მოწყობის დროს გათვალისწინებული იქნება ქალთა და ბავშვთა, შშმ პირების, ახალგაზრდების, მოხუცების, კაცების და სხვადასხვა სოციალური ჯგუფების საჭიროებები.

ქვეპროგრამის მიზანი :

მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება.

მოსალოდნელი შედეგი:

მოწყობილი და გაფართოებულია სარეკრეაციო და ტურისტული ინფრასტრუქტურა და სხვადასხვა სოციალური ჯგუფების წარმომადგენლებისთვის შექმნილია თანაბარხელმისაწვდომი გარემო დასვენებისა და გართობისთვის, მოვლილია ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავები და პარკები.

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

პროგრამული კოდი	ქვეპროგრამის დასახელება
02 03 03 01	მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების ცენტრებისა და მასში შემავალი სოფლების ცენტრების კეთილმოწყობის სამუშაოები
02 03 03 02	დაბა ქედა, 26 მაისის ქუჩის რეაბილიტაცია

პროგრამა: მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, სარეგისტრაციო, ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯები (პროგრამული კოდი 02 04).

მუნიციპალიტეტში დაგეგმილი სამშენებლო–სარეაბილიტაციო სამუშაოების ნორმებითა და წესების გათვალისწინებით განხორციელების პირობას შესაბამისი საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოადგენს. ხოლო საჭიროების შემთხვევებში აუცილებელია შესაბამისი გეოლოგიური კვლევების წარმოებაც, რაც გრუნტის სტაბილურობის, ნიადაგის მდგრადობაზე და კლიმატური ცვლილებებით გამოწვეული შესაძლო რისკების მართვაზე უკეთეს ინფორმაციას უზრუნველყოფს. გამომდინარე კლიმატური საფრთხეების ზრდიდან, პროექტების დაგეგმვის ეტაპებზე გათვალისწინებულია კატასტროფების რისკების პრევენცია და ინფრასტრუქტურის კლიმატურად მდგრადი განვითარების პრინციპები. ასევე აუცილებელია სამშენებლო–სარეაბილიტაციო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და შესრულებულ სამუშაოებზე შესაბამისი ექსპერტიზის ჩატარება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება შესრულებული სამუშაოების საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დადგენა. ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ზემოღნიშნული ღონისძიებების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება. დაგეგმილი და შესყიდული მშენებლობის პროექტების სისტემატურ კონტროლს. ფარული სამუშაოების ზუსტად აღრიცხვას და ფორმა N2-ების მიხედვით შესრულებული სამშენებლო სამუშაოების ხარისხისა და ზომების შემოწმებას. პროექტირების ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ქალსა და კაცის თანასწორობის პრინციპების ინტეგრირებას, რაც მოიაზრებს: სხვადასხვა ჯგუფის საჭიროებების გათვალისწინებას ინფრასტრუქტურის დიზაინში; ხელმისაწვდომი და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფას ყველა სქესისთვის; ინკლუზიური გეგმვის პროცესს, სადაც ქალები და მამაკაცები თანაბრად არიან ჩართულნი პროცესებში.

პროგრამის მიზანი:

ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და ქონების ნუსხის შექმნასთან დაკავშირებული საჭირო პროცედურების ჩატარება.

მოსალოდნელი შედეგი:

მომზადებული ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და ჩატარებული ქონების ნუსხის შექმნასთან დაკავშირებული საჭირო პროცედურები.

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

პროგრამული კოდი	ქვეპროგრამის დასახელება

02 04 01	ძირითადი და დამატებითი ქონების ნუსხის შექმნასთან დაკავშირებით საჭირო სამუშაოების ჩატარების და აღრიცხული ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისათვის საჭირო საიდენტიფიკაციო დოკუმენტის შექმნა (მიწის ნაკვეთის საკადასტრო-აზომვითი ნახაზები და მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობის გეგმა-ნახაზების შედგენა) გეოლოგიური დასკვნები
02 04 02	პრიორიტეტული ღონისძიების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა
02 04 03	მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული ობიექტების სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურების გაწევა

პროგრამა: სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 05)

მუნიციპალიტეტის მიერ ფერმერებისათვის ხელშეწყობა საერთაშორისო და აგო გაყიდვების გამოფენა-გაყიდვაში, ასევე პირუტყვთა ვაქცინაცია.

პროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტის მიერ ფერმერთა ხელშეწყობა.

მოსალოდნელი შედეგი:

ხელშეწყობილი არიან მუნიციპალიტეტში მცხოვრები ფერმერები.

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

პროგრამული კოდი	ქვეპროგრამის დასახელება
02 05 01	აგრო-სასურსათო პროდუქციის ადგილობრივი და საერთაშორისო გამოფენა-გაყიდვებში მონაწილეობა
02 05 02	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფერმერთა საკუთრებაში არსებული პირუტყვის ვაქცინაცია

პროგრამა: საცხოვრებელ და არასაცხოვრებელ შენობა-ნაგებობებში ელექტრო მეურნეობის აღდგენა (პროგრამული კოდი 02 07)

მუნიციპალიტეტის მიერ 2023-2025 წლებში ახლადაშენებული შენობების ელექტრომეურნეობის გამართვისთვის საჭიროა სს ენერგო პრო-ჯორჯიასთან ხელშეკრულების გაფორმება, შესაბამისი ხარჯების გადახდა და მათი გამრიცხველიანება. ასევე, სოფლის საერთო სარგებლობის წისქვილები, რომლებიც აშენებულია ბიუჯეტის ხარჯებით, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, საჭიროა ელექტრომეურნეობის ქსელში ჩართვა და სათანადო ფინანსირება. მუნიციპალიტეტის კუთვნილ ზოგიერთ შენობებში დაზიანებულია ელექტრომრიცხველები და საჭიროა ახლით შეცვლა.

პროგრამის მიზანი:

მუნიციპალურ საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ და არასაცხოვრებელ შენობებში, ასევე საერთო სარგებლობის სოფლის წისქვილებში ელექტრომეურნეობის აღდგენა და გამრიცხველიანება, დაზიანებული მრიცხველების და სხვა მოწყობილობების ახლით შეცვლა, ახლად აშენებული ინფრასტრუქტურული ობიექტების ელექტრომომარაგების ქსელში ჩართვა.

მოსალოდნელი შედეგი:

საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობა ნაგებობებში აღდგენილია ელექტრო მეურნეობა.

პროგრამა: შპს ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი (პროგრამული კოდი 02 08)

შპს ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი 2020 წლის 5 მარტს შეიქმნა. ორგანიზაციის დამფუძნებელია ქედის მუნიციპალიტეტის მერია და მის 100% წილს ფლობს. ძირითად საქმიანობებს წარმოადგენს: ა) ტურისტული ობიექტების მოვლა შენახვა; ბ) ტურისტული სერვისების შექმნა და განვითარება; გ) გადასახადების ამოღება; დ) ქედის მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის შესწავლა და შესაბამისი სტრატეგიული გეგმის შექმნა; დ) მუნიციპალიტეტში მოქმედ კვების თუ განთავსების ობიექტებზე დახმარება, როგორც ბიზნესის მართვის მხრივ, ასევე რჩევების და რეკომენდაციების მიცემა და მათი გადამზადება; ე) მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის პიარი; ვ) ქედის მუნიციპალიტეტში არსებული ტურისტული ბიზნეს სუბიექტების პიარში მხარდაჭერა.ზ) პროექტი „კარვების ქალაქი“ მართვა და განვითარება თ) პროექტი „ციფრული წიგნიერების ცენტრი“-ს- მართვა და განვითარება. ორგანიზაციამ 2020-2025 წელს შეისწავლა მუნიციპალიტეტის ტერიოტირაზე ათეულობით ტურისტული ობიექტი, ასევე ობიექტები, რომელიც სამომავლოდ შესაძლოა გახდეს ახალი ტურისტული ლოკაცია. შესწავლის შემდეგ მოხდა ანალიზი და ჩამოყალიბდა პრიორიტეტული ღონისძიებები, რომელიც გათვალისწინებული იქნება 2026 წლის ტურისტულ ბიუჯეტში. აქედან გამომდინარე, „შპს ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი“ ხელს უწყობს მცირე და საშუალო ბიზნესს განვითარებაში და მათი საჭიროებისამებრ იმ ინფრასტრუქტურული გარემოს შექმნაში , რომელიც დაეხმარება ბიზნესს.
2026 წელს ორგანიზაცია ბიუჯეტის განაცხადის პროგრამის ფარგლებში გეგმავს ინფო და მედია ტურს, მუნიციპალიტეტის პოპულარიზაციას, რაც თავის მხრივ გულისხმობს საინფორმაციო ტურების მოწყობას ტურისტული კომპანიებისთვის, მედიასა და ბლოგერებისთვის. აღნიშნული ღონისძიება ხელს შეუწყობს სოციალურ ქსელში ნახვების გაზრდას და ქედის მუნიციპალიტეტის შესახებ ცნობადობის გაზრდას.
ჩატარდება სახალხო დღესასწაულს შემოდგომა ქედაში, ტურიზმის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, ტურისტული სეზონის გახსნის ღონისძიება, ორგანიზაცია 2027 წელსაც აგრძელებს პროექტს ,,ბედნიერი ბილიკები“, წიგნიერების ცენტრში ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენლებისთვის სასწავლო კურსები, რაც ხელ შეუწყობს აგროტურიზმის განვითარებას,
ფართო აუდიტორიისთვის ქედის ტურისტული ღირსშესანიშნაობების გაცნობას, ადგილობრივი ტურისტული პროდუქტების პოპულარიზაციას, ეკოტურიზმისა და საფეხმავლო მარშრუტების პოპულარიზაციას, ქმნის ჯანსაღი დასვენების შესაძლებლობას, იზიდავს ეკოტურისტებს და სხვა. 2027 წელს საშუალოდ 200- ზე მეტი მოლაშქრე ქედის ღირსშესანიშნაობებს და ტურისტულ ობიექტებს ნახავს.

პროგრამის მიზანი:

ქედის მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის კვლევა, არსებული ტურისტული ლოკაციების, მოვლა, შენახვა და განვითარება; დონორებთან ურთიერთობა და გრანტების მოძიება;
ქედის მუნიციპალიტეტი გახდება რეგიონის ტურისტული ჰაბი, რაც გააუმჯობესებს მუნიციპალიტეტის ცნობადობას ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ.

მოსალოდნელი შედეგი:

ტურიზმის განვითარებით შეიქმნება ეკონომიკური ღირებულებათა ჯაჭვი, რაც დადებითად აისახება მოქალაქეების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, ქედის მუნიციპალიტეტი იქცევა რეგიონის ტურისტულ ჰაბად და მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება ცნობადობა ქვეყნის შიგნითა და მის ფარგლებს გარეთ.

პრიორიტეტი

03. დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00).

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარემოს დასუფთავება და ნარჩენების გატანა, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება, უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები, დაფინანსდება აღნიშნულთან დაკავშირებული ხარჯები, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება, შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის სანიტარული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება; ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან; მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა–დასუფთავება და

ნარჩენების გატანა; მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობითი და გამწვანებითი სამუშაოები ასევე სკვერებში ბალახის გათიბვა.

პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი პროგრამების განხორციელება:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა
03 01	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასუფთავებისა და გარემოს დაცვის სფეროში

პროგრამა: სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასუფთავებისა და გარემოს დაცვის სფეროში (პროგრამული კოდი 03 01).

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ცალკეული ტერიტორიის, მწვანე საფარის, არსებული ეზოების დაგვა-დასუფთავება; სანაგვე კონტეინერების დეზიფექცია, მუნიციპალიტეტის ცალკეული ტერიტორიების, ქუჩების მორწყვა-მორეცხვა; მუნიციპალიტეტის ტერიტორიის თოვლის საფარისაგან გაწმენდა, მოყინვის საწინააღმდეგო სამუშაოების განხორციელება და საჭიროების შემთხვევაში თოვლის მასის გატანა; საყოფაცხოვრებო, მყარი და დიდი ზომის ნარჩენების, ქუჩების მონახვეტის შეგროვება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ ურნებში და ნაგავსაყრელ პოლიგონამდე ტრანსპორტირება; მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ნარჩენების გატანას მოემსახურება 3 ნაგავმზიდი. გარე- განათების მოვლა პატრონობა, უპატრონო და მაწანწალა ცხოველების გაუვნებელყოფა, გზის გაწმენდა ჩამოწოლილი მეწყერის მასისაგან, გზის გაწმენდა თოვლის საფარისგან. საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოვლა-პატრონობა. მუნიციპალიტეტში სოფლებისათვის დამატებით კომუნალური მომსახურებისათვის კონტეინერების განთავსება დღემდე მომსახურების გარეშე დარჩენილი უბნებისათვის. რითაც მომსახურების სფეროში მოექცევა მუნიციპალიტეტის მთელი დასახლებული ტერიტორია.

პროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და დასუფთავების მუნიციპალური სერვისის გამართული ფუნქციონირება

მოსალოდნელი შედეგი:

დანერგილია მუნიციპალური ნარჩენების მართვის ეფექტური სისტემა და მუნიციპალიტეტში გაუმჯობესებულია ეკოლოგიური მდგომარეობა.

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

პროგრამული კოდი	ქვეპროგრამის დასახელება
03 01 01	შპს ქედის კომუნალურსერვისი

პრიორიტეტი:

04. განათლება (პროგრამული კოდი 04 00).

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა, რეაბილიტაცია, აღმზრდელ-პედაგოგების კვალიფიკაციის გაზრდა, რათა მყარი საფუძველი ჩაეყაროს სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელების ხარისხიან და ეფექტურ მომზადებას სასკოლო განათლების მისაღებად.

პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი პროგრამების განხორციელება:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი
04 00	განათლება
04 01	სკოლამდელი აღზრდა და განათლება
04 02 01	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში

პროგრამა: სკოლამდელი აღზრდა და განათლება (პროგრამული კოდი 04 01).

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავე კანონის თანახმად ასევე აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის ან სხვა საფასურის შემოღება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. ქედისს მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები საბავშვო ბაგა-ბაღის ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 15 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 490 და მეტი ბავშვი. (მათ შორის გოგო 50.8 %, ბიჭი 49.2%). ბაგა-ბაღებში ჯამში დასაქმებულია 255 აღმზრდელი (მათ შორის ქალი 88 % და კაცი 12 %), სხვა პერსონალი და ადმინისტრაცია.

„სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ფუნქციონირების“ პროგრამის მიზანია: ბაგა-ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, სადაც დაცული იქნება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დადგენილი მოთხოვნები და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის N488 დადგენილებით დამტკიცებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები; ბაგა-ბაღებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისაობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის N485 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ ნორმებთან;

ბაგა-ბაღებში მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;

ბაგა-ბაღებში კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის N487 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ ნორმებთან; ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა–შენახვა; ბაგა-ბაღებში დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება. ა(ა)იპ ქედის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების, დაწესებულების თანამშრომელთათვის შესაბამის სამუშაო პირობების შექმნა.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებში ადაპტირებული ინფრასტრუქტურის მოწყობა და ინკლუზიური სწავლების დანერგა უზრუნველყოფს სკოლამდელი განათლების სერვისის თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველა ბავშვისთვის. ამასთან ხელს უწყობს 2-დან 6-წლამდე ბავშვიანი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, რადგან მშობლებს, განსაკუთრებით კი დედებს უთავისუფლდებათ დრო და საშუალება ეძლევათ დასაქმდნენ, რაც მნიშვნელოვანია ოჯახის მატერიალური მდგომარების გაუმჯობესებისა და ქალთა ეკონომიკური თავისუფლებისთვის.

პროგრამის მიზანი:

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში ხარისხიანი სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესისათვის ხელშეწყობა; საბავშვო ბაღებში სწავლების ხარისხის და აღმზრდელების კვალიფიკაციის ამაღლება განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებული და მთავრობის სხვადასხვა დადგენილებით დამტკიცებული სტანდარტების შესაბამისად.

მოსალოდნელი შედეგი:

მუნიციპალიტეტში უზრუნველყოფილია სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდის თანაბარი ხელმისაწვდომობა.

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

პროგრამული კოდი	ქვეპროგრამის დასახელება
04 01 01	ა.(ა).ი.პ. ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება

პროგრამა: სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში (პროგრამული კოდი 04 02)

განათლებული საზოგადოება ძლიერი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი საყრდენია. ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი მომავალი თაობის ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფაა. იმისათვის, რომ კიდევ უფრო მეტად ამაღლდეს მოსწავლის, აბიტურიენტისა და სტუდენტის სწავლის ხარისხი, ძალზე მნიშვნელოვანია მათი მოტივირება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება წარმოდგენილი განცხადებების მიღება, განხილვა და დაზუსტება. შერჩეულ ბენეფიციარზე წლის განმავლობაში გაიცემა ერთჯერადი დახმარება, რომელსაც ბოლო ორი წელი ნასწავლი აქვს ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლაში, და რეგისტრირებულია ქედის მუნიციპალიტეტში

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

მოსწავლეს, რომელსაც მიენიჭება ოქროს მედალოსანის სტატუსი ან იქნება ოქროს მედალოსნობის კანდიდატი, წლის განმავლობაში ერთხელ ჩაერიცხება 800 ლარი, ხოლო ვერცხლის მედალოსანს - 600 ლარი.

შენიშვნა: პროგრამის ფარგლებში თანხა გაიცემა წლის განმავლობაში ერთხელ.

სტუდენტს, რომელიც სწავლობს საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ, ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში და აქვს მაღალი აკადემიური მოსწრება (91- დან 100 ქულის ჩათვლით), წლის განმავლობაში ორჯერ (პირველი და მეორე სემესტრი), წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად ჩაერიცხება 500 ლარი.

პროგრამის მიზანი:

მოსწავლეების, აბიტურიენტებისა და სტუდენტების წახალისება, განათლების ხელშეწყობა, სწავლით დაინტერესება, მოტივაციის ამაღლება.

მოსალოდნელი შედეგი:

უზრუნველყოფილია ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული წარმატებული აბიტურიენტების, სტუდენტებისა და მოსწავლეების მოტივაციის ამაღლება და სწავლის მიმართ ინტერესის გაზრდა.

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

პროგრამული კოდი	ქვეპროგრამის დასახელება
04 02 01	ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ წარმატებულ აბიტურიენტთა, ოქროსა და ვერცხლის მედალოსანობის კანდიდატ მოსწავლეთა და სტუდენტთა დახმარება
04 02 02	სსიპ ვახტანგ პაპუნიძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლის საკლასო ოთახის რემონტი და ინვენტარის შეძენა
04 02 03	საჯარო სკოლებისთვის ბრიკეტების შეძენა

პრიორიტეტი:

05. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00).

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე ერთ–ერთი პრიორიტეტია

ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

ა.ა.ი.პ. ქედის სახელოვნებო სკოლა	425 300	443 000	486 900	535 600	585 700

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	**მიზანი 4 -** ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის **მიზანი 5 -** გენდერული თანასწორობა **მიზანი 8 -** ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა **მიზანი 10 -** შემცირებული უთანასწორობა

შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი

	ინდიკატორის დასახელება	2026 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2027 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
სახელოვნებო განათლების მისაღებად შექმნილია თანაბრად ხელმისაწვდომო პირობები გოგონებისა და ბიჭებისთვის; ხელშეწყობილია მოსწავლეთა და პედაგოგთა კულტურულ-საგანმანათლებლო კვალიფიკაციის ამაღლება და კონკურსებში, ფესტივალებსა და სხვა ფორუმებში წარმატებები.	ჩატარებული საგაკვეთილო საათების რაოდენობა (ერთ კვირაში 352 საათი, ერთ თვის განმავლობაში 1408 საათი, წლის განმავლობაში 10208	10 208	10 300	რაოდენობა	10%	ა.ა.ი.პ. ქედის სახელოვნებო სკოლა, განათლების,კულტურისასპორტ ისტურობის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახური	წარმოდგენილი წლიური ანგარიში	ქვეყანაში არსებული საგანგებო მდგომარეობა.
	სახელოვნებო სკოლის ბენეფიციართა რაოდეობა	სულ 208 (მათ შორის: ბიჭი-69; გოგო-139%)	სულ 313 (მათ შორის: ბიჭი-106; გოგო-207)	რაოდენობა	10%	ა.ა.ი.პ. ქედის სახელოვნებო სკოლა, განათლების,კულტურისასპო რტის,ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახური	წარმოდგენილი წლიური ანგარიში	ქვეყანაში არსებული საგანგებო მდგომარეობა.
	წლის განმავლობაში ა(ა)იპ ქედის სახელოვნებო სკოლასთან არსებული ანსამბლების მონაწილეობა ქვეყნის შიგნით განხორციელებულ კულტურულ ღონისძიებებში	10	25	რაოდენობა	10%	ა.ა.ი.პ ქედის სახელოვნებო სკოლა, განათლების,კულტურისას პორტის,ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახური	წარმოდგენილი წლიური ანგარიში	ქვეყანაში არსებული საგანგებო მდგომარეობა.
	წლის განმავლობაში ა(ა)იპ ქედის სახელოვნებო სკოლასთან არსებული ანსამბლების მონაწილეობა ქვეყნის გარეთ განხორციელებულ კულტურულ ღონისძიებებში (საერთაშორისო ფესტივალებში)	1	1	რაოდენობა	10%	ა.ა.ი.პ. ქედის სახელოვნებო სკოლა, განათლების,კულტურის,სპორტის,ტუ რიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახური	წარმოდგენილი წლიური ანგარიში	ქვეყანაში არსებული საგანგებო მდგომარეობა.

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	კულტურის განვითარების ხელშეწყობა
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 02 03
ქვეპროგრამის დასახელება:	ა.ა.ი.პ. ქედის ისტორიული მუზეუმი
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ა.ა.ი.პ. ქედის ისტორიული მუზეუმი, განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახური

ქვეპროგრამის დაფინანსების წყარო	2027-2030 წწ.
მუნიციპალური ბიუჯეტი	258 500
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი	258 500

ქვეპროგრამის მიზანი

მუნიციპალიტეტის სოფლებში საუბნო საავტომობილო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება, სანიაღვრე და საწრეტი არხების მოწყობა, ფერდსამაგრი კედლების მოწყობა და სავალი ნაწილების ბეტონის საფარით დაფარვა

ქვეპროგრამის აღწერა

მუზეუმი დაარსდა 1999 წელს, სადაც თავმოყრილია ქედის ტერიტორიაზე მოპოვებული დაახლოებით ექვსი ათასი ექსპონატი. საგამოფენო დარბაზში გამოფენილია არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ისტორიული, გეოლოგიური, ხეზე კვეთილობისა და ფერწერული ტილოები. მუზეუმის არქეოლოგიურ მასალებში ინახება ათი ათასი წლის წინანდელი ქვის თოხი, შურდულის ქვები და ქვის ჩაქუჩები. ასევე მუზეუმში დაცულია საინტერესო იშვიათი მასალები. საგამოფენო დარბაზი სრული დატვირთვით 2004 წლიდან მოქმედებს და წელიწადში 2000-დან 3000-მდე მნახველს მასპინძლობს. მნახველებს შორის მრავლადაა უცხოელი დამთვალიერებელი. გარდა ამისა, ქედის ისტორიული მუზეუმის ბაზაზე არსებობს ფრიდონ ხალვაშის სახლ მუზეუმი, სოფელ გეგელიძეებში, რომელიც მუნიციპალიტეტში დიდი პოპულარობით სარგებლობს. სახლ მუზეუმის პირველ სართულზე მოწყობილია ზაზა ხალვაშის სახელობის კინოსივრცე, რომელიც ხელს უწყობს კინოჩვენებების მიმართ საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლებას. ქედის ისტორიული მუზეუმი ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობს უცხოური მასალების თარგმნისა და პუბლიკაციის საქმეში, ამის მაგალითია 2024 წლის ექსპედიცია თურქეთის რესპუბლიკაში, საარქივო მასალებში მოპოვებულია ძველი დროის აჭარის (კონკრეტულად ქედის მუნიციპალიტეტის) სოფლების აღწერების კოსახლეობის ფიზიკური მდგომარეობიდან დაწყებული, ეკონომიკური მდგომარეობით დამთავრებული. ყოველივე აქედან გამომდინარე მუნიციპალიტეტი აფინანსებს მუზეუმის მიმდინარე ხარჯებს, ექსპონატების შესყიდვისა და ექსპედიციებისათვის. დამფუძნებელია ქედის მუნიციპალიტეტის მერია.

დასახელება	პროდუქტი		
	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი (ლარი)	სულ (ლარი)
შრომის ანაზღაურება	10	14 150	141 500
საქონელი და მომსახურეობა	1	110 600	110 600

სხვა ხარჯები	1	4 400	4 400
არაფინანსური აქტივების ზრდა	1	2 000	2 000
ჯამი			258 500

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი
ა.ა.ი.პ. ქედის ისტორიული მუზეუმი	X	X	X	X

მოსალოდნელი შუალედური შედეგი

უზრუნველყოფილია ისტორიულ არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და კულტურის ძეგლების საველე კვლევა ძიების შედეგად მოპოვებული მასალის, ხელოვნების ნიმუშებისა და სხვა მატერიალური და სულიერი ფასეულობების აღრიცხვა, შეკრება, მოვლა, დაცვა-შენახვა, სისტემატიზაცია, ექსპონირება, შესწავლა და პოპულარიზაცია

ქვეპროგრამების დასახელება	2026 წელი გეგმა	2027 წელი პროგნოზი	2028 წელი პროგნოზი	2029 წელი პროგნოზი	2030 წელი პროგნოზი
ა.ა.ი.პ. ქედის ისტორიული მუზეუმი	241 700	258 500	291 500	323 700	364 300

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	**მიზანი 5 -** გენდერული თანასწორობა **მიზანი 8 -** ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა **მიზანი 10 -** შემცირებული უთანასწორობა

შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი							
	ინდიკატორის დასახელება	2026 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2027 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
უზრუნველყოფილია ისტორიულ არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და კულტურის ძეგლების საველე კვლევა ძიების შედეგად მოპოვებული მასალის, ხელოვნების ნიმუშებისა და სხვა მატერიალური და სულიერი ფასეულობების აღრიცხვა, შეკრება, მოვლა, დაცვა-შენახვა, სისტემატიზაცია, ექსპონირება, შესწავლა და პოპულარიზაცია	საველე კვლევა-ძიების რაოდენობა	3	3	ცალი	10%	ა.ა.ი.პ. ქედის ისტორიული მუზეუმი, განათლების,კულტურისსპორტის,ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახური	წარმოდგენილი წლიური ანგარიში	ქვეყანაში არსებული სავაჭრებო მდგომარეობა.
	მნახველთა რაოდენობა	1300 (მათ შორის 70% ქალი, 30% კაცი)	1600 (მათ შორის 60% ქალი, 40% კაცი)	ცალი	10%			
	დაცულ ექსპონატთა რაოდენობა (არანაკლებ)	6500	6700	ცალი	10%			

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	კულტურის განვითარების ხელშეწყობა
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 02 04
ქვეპროგრამის დასახელება:	კულტურული ღონისძიების ორგანიზება, მხარდაჭერა და ხელშეწყობა
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახური
ქვეპროგრამის დაფინანსების წყარო	2027-2030 წწ.
მუნიციპალური ბიუჯეტი	110 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი	110 000

ქვეპროგრამის მიზანი

გაზრდილი კულტურული ცხოვრების აქტივობა, კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება, კულტურული აქტივობების განვითარების ხელშეწყობა, საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლება, ტურიზმის განვითარება, ნიჭიერი ახალგაზრდების წარმოჩენა, ხანდაზმულთა, ღვაწლმოსილ ადამიანთა დაფასება, შშმ პირთა ჩართულობა სხვადასხვა ღონისძიებებსა და აქტოვობებში

ქვეპროგრამის აღწერა

ღონისძიების ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული ანსამბლების, გუნდებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების მონაწილეობა ადგილობრივ, საერთაშორისო და სხვადასხვა ღონისძიებებში, ჩატარდება ტრეინინგები, მოეწყობა გამოფენები ადგილობრივ, საერთაშორისო ფესტივალებსა და სხვადასხვა ღონისძიებებში, კულტურული ღონისძიებების მხარდაჭერა; მოეწყობა ღონისძიებები საერთაშორისო დღეებთან დაკავშირებით, ასევე სხვადასხვა ღონისძიების ფარგლებში მოწვეული იქნებიან ბენეფიციარები, რომლებიც დაჯილდოვდებიან ფასიანი საჩუქრებით. უზრუნველყოფილი იქნება ფესტივალებსა და ღონისძიებებში მონაწილეთა კვება, სატრანსპორტო და სხვა თანმდევი მომსახურებები. ხელოვანთა ხელშეწყობა, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ საერთაშორისო კონკურსებში, ფესტივალებსა თუ გამოფენებში, ეროვნული ღონისძიებების პოპულარიზაციის მიზნით მოსახლეობაში შესაბამისი გარემოს შექმნა. ახალგაზრდებში ცნობიერების ამაღლების მიზნით მოეწყობა კულტურულ-გასართობი ღამჭრობები, ექსკურსიები, ტრენინგები და სხვა აქტივობები. ხელი შეეწყობა ნიჭიერი ახალგაზრდების წარმოჩენას, მათი სწავლით დაინტერესებას. ღვაწლმოსილ ადამიანთა დაფასება საზოგადოებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის, შშმპ ჩართვა ღონისძიებებსა და სხვადასხვა აქტივობებში. ტრადიციული ხელოვნების, ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის წარმოჩენა და პოპულარიზაცია ახალგაზრდა თაობაში, ნიჭიერი შემსრულებლების გამოვლენა და მონაწილეთა შორის შემოქმედებით სიახლეთა გაზიარება, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და პოპულარიზაცია.

დასახელება	პროდუქტი		
	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი	სულ

ეროვნული, ადგილობრივი და საერთაშორისო დღეების აღნიშვნა ღონისძიებები განხორციელდება მთელი წლის განმავლობაში, ჩატარდება საერთაშორისო დღეებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები: დედისა და ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, დაუნის სინდრომის მსოფლიო დღე, აუტიზმის საერთაშორისო დღე, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული, შშმ პირთა უფლებების დაცვის დღე, ბაირამი, 9 მაისი- ფაშიზმზე გამარჯვების დღე, 9 აპრილი, 26 მაისი - საქართველოს დამოუკიდებლობის დღე, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე, ბულინგთან ბრძოლის საერთაშორისო დღე, 8 აგვისტოს დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, დედამიწის საერთაშორისო დღე, ხანდაზმულთა საერთაშორისო დღე, მასწავლებელთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, გარემოს დაცვის საერთაშორისო დღე და სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო დღეებთან დაკავშირებული ღონისძიებები. მოეწყობა ცნობიერების ამაღლების მიზნით ტერინინგები, მხატვრული, დოკუმენტური, კულტურული, შემეცნებითი, გასართობი და სხვა აქტივობები. პროგრამის ფარგლებში მოეწყობა სხვადასხვა გამოფენები, გასართობი შოუები, მომღერლებისა და ბენდების მოწვევა, სხვადასხვა ღონისძიებების ფარგლებში განხორციელდება ბენეფიციარების შერჩევა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვება. სხვა თანმდევი აქტოვობების განხორციელება. დიზაინერის მიწვევა , კუთხეების მოწყობა, გამოფენა და სხვა აქტივობები	14	51 000	51 000
ტურიზმის განვითარებისა და კულტურული ძეგლების პოპულარიზაციის ხელშემწყობი ღონისძიებები მოეწყობა კულტურულ ძეგლებისა და მიმდებარე ტერიტორიების დასუფთავება, ექსკურსიები, ლაშქრობები, კულტურულ-საგანმანათლებლო ტრეინინგები და სხვა აქტივობები. შუამთობა - ღონისძიების ფარგლებში მოეწყობა კონცერტები, ლაშქრობები, ადგილობრივი მთის მოიალაღეების მონახულება, ტრანსპორტირება, კვებითი მომსახურება, ხილისა და საკონდიტრო პროდუქციის შეძენა და გადაცემა, სტუმრების მოწვევა, ხანდაზმულთა ან/და მთის უხუცესი მოიალაღეების დაჯილდოვება, ფასიანი საჩუქრების გადაცემა, ღონისძიების ორგანიზებისათვის სხვასახვა აქტივობების განხორციელება	2	9 000	9 000
შშმ პირთა ჩართვა კულტურულ, საგანმანათლებლო და სხვადასხვა ღონისძიებებში სხვადასხვა აქტივობების, ექსკურსიების ჩატარება, ღონისძიებების ფარგლებში სატრანსპორტო და კვებითი მომსახურების უზრუნველყოფა, ღამისთევა, საინფორმაციო შეხვედრები, ფასიანი საჩუქრების გადაცემა და სხვადასხვა ღონისძიებების თანმდევი აქტივობების განხორციელება.	1	2 000	2 000
ქედის ხანდაზმულთა კლუბი „ღირსეული სიბერე“ ხელშემწყობი ღონისძიებები სხვადასხვა აქტივობების, ექსკურსიების ჩატარება, ღონისძიებების ფარგლებში სატრანსპორტო და კვებითი მომსახურების უზრუნველყოფა, ღამისთევის უზრუნველყოფა, საინფორმაციო შეხვედრები, ფასიანი საჩუქრების გადაცემა და სხვადასხვა ღონისძიებების თანმდევი აქტივობების განხორციელება.	6	20 000	20 000
კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების ჩატარება, კონფერენციების ორგანიზება, გამარჯვებული ბენეფიციართა დაჯილდოვება ფულადი საჩუქრით, წიგნის დაბეჭდვა. სწავლით დაინტერესება, წახალისება, სწავლის პროცესში თანაბარი გარემოს შექმნა სკოლებსა და ბაღებში, სკოლებისა და ბაღების თანამშრომლებისათვის ტრენინგების ჩატარება. მასტერკლასების ჩატარება, ცნობიერების ასამაღლებელი ტრენინგების ჩატარება,ინტერმუნიციპალური ღონისძიების ჩატარება და სხვადასხვა ღონისძიების თანმდევი აქტივობების განხორციელება. მუნიციპალიტეტში არსებული საჯარო სკოლების საიუბილეო საღამოების ორგანიზება, კალიგრაფიის კონკურსი, მოსწავლეთა საგნობრივი ოლიმპიადების ორგანიზება	3	17 000	17 000
ფოლკლორის დაცვის, შენარჩუნებისა და პოპულარიზაციის ხელშეწყობა განხორციელდება სატრანსპორტო მომსახურება და ღონისძიებებთან დაკავშირებული თანმდევი აქტივობები	1	5 000	5 000
ინტერმუნიციპალური ღონისძიებები მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების ჩართვა ადგილობრივ და სხვა მუნიციპალიტეტების მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში. განხორციელდება ღონისძიებებთან დაკავშირებული თანმდევი აქტივობები, სატრანსპორტო მომსახურება, კვებით უზრუნველყოფა, მონაწილეთა დაჯილდოვება და ა.შ.	1	6 000	6 000
ჯამი			110 000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი
კულტურული ღონისძიების ორგანიზება, მხარდაჭერა და ხელშეწყობა	X	X	X	X

მოსალოდნელი შუალედური შედეგი					
ჩატარებული კულტურული ღონისძიებები					
ქვეპროგრამების დასახელება	2026 წელი გეგმა	2027 წელი პროგნოზი	2028 წელი პროგნოზი	2029 წელი პროგნოზი	2030 წელი პროგნოზი
კულტურული ღონისძიების ორგანიზება, მხარდაჭერა და ხელშეწყობა	120 000	110 000	160 000	165 000	170 000

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	**მიზანი 5** - გენდერული თანასწორობა **მიზანი 10** - შემცირებული უთანასწორობა

შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი							
	ინდიკატორის დასახელება	2026 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2027 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
გაზრდილი კულტურული ცხოვრების აქტივობა, ჩატარებული კულტურული ღონისძიებები	განხორციელებული კულტურული ღონისძიებების რაოდენობა	29	28	რაოდენობა	10%	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახური, ა(ა)იპი-ები	შესაბამისი ორგანიზაციებიდან მოწოდებული ინფორმაცია	ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობის მიუღებლობა

პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	კულტურის განვითარების ხელშეწყობა
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 02 05
ქვეპროგრამის დასახელება:	ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ქედის მუნიციპალიტეტის მერია
ქვეპროგრამის განხორციელების პერიოდი:	2027-2030 წწ.

ქვეპროგრამის მიზანი

ახალგაზრდობის გააქტიურება და სამოქალაქო აქტივობებში ჩართვა, ახალგაზრდული ინიციატივების წახალისება, ახალგაზრების შესაძლებლობების რეალიზება და მათი სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა

პროგრამის აღწერა

საქართველოში ახალგაზრდების ჩართულობისა და გააქტიურების უზრუნველყოფის საკითხი განსაკუთრებულ გამოწვევას წარმოადგენს. მიუხედავად გადადგმული ნაბიჯებისა და გატარებული ღონისძიებებისა, დღემდე გადაუჭრელ პრობლემად რჩება ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდების აქტიურობის საკითხი.

პროგრამა განსაზღვრავს ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 14 დან 29 წლამდე ახალგაზრდებისთვის პროგრამებს. პროგრამა ხელს შეუწყობს ახალგაზრდების წარმოჩენას, ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და საინიციატივო ჯგუფების გაძლიერებას. ახალგაზრდებს ეძლევათ საშუალება იყვნენ აქტიური მოქალაქეები და მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, განახორციელონ საკუთარი იდეები და ინიციატივები.

ახალგაზრდობა არის საზოგადოების მნიშვნელოვანი სეგმენტი, რომელსაც ქვეყნის სოციალურ ეკონომიკურ განვითარებაში წვლილის შეტანის დიდი პოტენციალი აქვს. მნიშვნელოვანია ახალგაზრდები, როგორც საზოგადოების სრულფასოვანი წევრები, აქტიურად ჩაერთონ და მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, რათა წვლილი შეიტანონ ქვეყნის განვითარებაში. ახალგაზრდებს მრავალი ფორმით შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ ეკონომიკურ, პოლიტიკურ, კულტურულ და სოციალურ ცხოვრებაში. ამისთვის მნიშვნელოვანია, რომ ისინი ფლობდნენ სრულყოფილ, პრაქტიკულ და რელევანტურ ინფორმაციას არსებული რესურსებისა და შესაძლებლობების შესახებ; მუდმივად ხდებოდეს მონაწილეობის ახალი და ინოვაციური გზების მოძიება; ყურადღება არ იქნას გადატანილი მხოლოდ ახალგაზრდების დიდი რაოდენობით მონაწილეობაზე, არამედ ფოკუსირება ხდებოდეს ისეთ გზებსა და საშუალებებზე, რომლებიც ახალგაზრდების მონაწილეობის უკეთესს ხარისხს უზრუნველყოფენ და საჭიროებების შემთხვევაში, ახალგაზრდები იღებდნენ ფინანსურ, მორალურ, ინსტიტუციონალურ და სხვა მხარდაჭერას. მუნიციპალიტეტი ხელს უწყობს ქალისა და მამაკაცის თანასწორობის პრინციპებზე დამყარებული პოლიტიკის განხორციელებას და გოგონებისა და ბიჭების განსხვავებული საჭიროებების გათვალისწინებას. ქვეპროგრამების ფარგლებში გათვალისწინებულია სერვისების იმგვარად შეთავაზება, რომ გამოირიცხოს ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაცია.

ქვეპროგრამების დასახელება	2026 წელი გეგმა	2027 წელი პროგნოზი	2028 წელი პროგნოზი	2029 წელი პროგნოზი	2030 წელი პროგნოზი

ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა	50 000	45 000	60 000	70 000	80 000
ჯამი	**50 000**	**45 000**	**60 000**	**70 000**	**80 000**

მოსალოდნელი შუალედური შედეგი	
შექმნილია ახალგაზრდების განვითარებაზე ორიენტირებული გარემო, უზრუნველყოფილია ახალგაზრდების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობა და ხელშეწყობილია მათი სამოქალაქო ინიციატივები, ხელშეწყობილია ქალისა და მამაკაცის თანასწორობის საკითხებზე საზოგადოების ინფორმირებულობა	
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	**მიზანი 4 -** ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის; **მიზანი 5 -** გენდერული თანასწორობა; **მიზანი 8** - ღირსეული სამუშაო და ეკომომიკური ზრდა; **მიზანი 10 -** შემცირებული უთანასწორობა; **მიზანი 16** - მშვიდობა, სამართლიანობა, ძლიერი ინსტიტუციები;

შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი										
	ინდიკატორის დასახელება	2026 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	2027 წელი	2028 წელი	2029 წელი	2030 წელი	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
შექმნილია ახალგაზრდების განვითარებაზე ორიენტირებული გარემო, უზრუნველყოფილია ახალგაზრდების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობა და ხელშეწყობილია მათი სამოქალაქო ინიციატივები, ხელშეწყობილია ქალისა და მამაკაცის თანასწორობის საკითხებზე საზოგადოების ინფორმირებულობა	ახალგაზრდები ს ინიციატივით განხორციელებული პროექტების რაოდენობა	3	4	4	4	4	რაოდენობა	10%	ქედის მუნიციპალიტეტი ს მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა, ტურიზმის და ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახური	წარმოდგენილი წლიური ანგარიში	ქვეყანაში არსებული საგანგებო მდგომარეობა.
	ღონისძიებებში ჩართულ ახალგაზრდების რაოდენობა(არანაკლებ)	600 (მათ შორის გოგონა45%, ვაჟი55%)	630 (მათ შორის გოგონა 45%, ვაჟი55%)	600 (მათ შორის გოგონა45%, ვაჟი55%)	630 (მათ შორის გოგონა 45%, ვაჟი55%)	600 (მათ შორის გოგონა45%, ვაჟი55%)	აოდენობა	10%	ქედის მუნიციპალიტეტი ს მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა, ტურიზმის და ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახური	წარმოდგენილი წლიური ანგარიში	ქვეყანაში არსებული საგანგებო მდგომარეობა.

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	კულტურის განვითარების ხელშეწყობა
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 02 05 01
ქვეპროგრამის დასახელება:	ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახური
ქვეპროგრამის დაფინანსების წყარო	2027 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	45 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი	45 000

ქვეპროგრამის მიზანი

ახალგაზრდების ინტელექტუალურ-შემეცნებით პროექტებში ჩართვა და მხარდაჭერა

ქვეპროგრამის აღწერა

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ინტელექტუალური, გასართობი და შემეცნებითი პროგრამები, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდებში ინტელექტუალური დონის ამაღლებას, ხალისიანი და მსუბუქი განწყობილების შექმნას, მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების განვითარებას და სტიმულირებას, ახალგაზრდების გაერთიანებას ინტერესების მიხედვით, მათი შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენას, კლუბური და გუნდური მუშაობის უნარების შეძენასა და განვითარებას. შექმნილია თანაბარი პირობები გოგოებისა და ბიჭებისთვის

დასახელება	პროდუქტი		
	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი	სულ
მუნიციპალიტეტის პირველობა იუმორისტულ და საზრიან საჯარო სკოლის გუნდებს შორის ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ექვსი საჯარო სკოლის გუნდებს შორის შეჯიბრი, რომელიც ითვალისწინებს საჯარო სკოლის გუნდების მომზადებას, სარეჟისორო ხარჯების ანაზღაურებას, დასკვნით ფინალურ თამაშზე მონაწილე გუნდების ერთჯერადი კვებით უზრუნველყოფას, გამოვლინდება სამი გამარჯვებული გუნდი, რომლებიც დაჯილდოვდებიან ფასიანი საჩუქრებით და გარდამავალი თასით.	1	5 000	5 000
ლაშქრობების და ბანაკის მოწყობა ღირშესანიშნავ ადგილებში ღონისძიების მიზანია ახალგაზრდებში სწავლისადმი მოტივაციის ამაღლება და საქართველოს არსებული ისტორიული ძეგლების და ღირსშესანიშნავი ადგილების გაცნობა.	1	4 550	4 550

აჭარის ჩემპიონატი ინტელექტუალურ თამაშში რა? სად? როდის?" ღონისძიების ფარგლებში დაგეგმილია: მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების გუნდებს შორის შეჯიბრი, გამოვლინდება სამი გამარჯვებული გუნდი და მეორე ეტაპზე გადასული გუნდები მონაწილეობას მიიღებენ ქ. ბათუმში დასკვნით ფინალურ თამაშში. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გუნდების კვების და სატრანსპორტო მომსახურება.	1	1 150	1 150
გაიცანი საქართველო ღონისძიების ფარგლებში დაგეგმილია საქართველოში ტერიტორიაზე ისტორიული და ღირშესანიშნავი ადგილების მონახულება, ღონისძიების მონაწილეობას მიიღებენ 14-28 წლამდე ახალგაზრდები.	1	9 300	9 300
თავისუფალი პროექტების დაფინანსება ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ახალგაზრდების მიერ ინიცირებული პროექტები. პროექტის დაფინანსება ხელს შეუწყობს ახალგაზრდების სწავლისადმი სიყვარულის გაზრდას, ახალგაზრდების გაერთიანებას ინტერესების მიხედვით, მათი შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოყენებას	1	3 000	3 000
ტრეინინგ-სემინარი ახალგაზრდებისათვის, (არაფორმალური განათლება)" ქვეპროგრამის მიზანია ტრეინინგ-სემინარის ჩატარება აქტუალურ თემებზე და მიზნად ისახავს ახალგაზრდებში უნარ-ჩვევების, კომპეტენციების, ღირებულებების განვითარებასა და ჩამოყალიბებას არაფორმალურ, ბუნებრივ გარემოში, სადაც ახალგაზრდას უქმნის მოტივაციას, იმოქმედონ და ისწავლონ საკუთარი ინტერესების მიხედვით.	1	2 000	2 000
კითხვის კონკურსი ინგლისურ ენაში ღონისძიებაში მონაწილეობას მიიიღებენ მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეები დაახლობით 200-მდე მოსწავლე, ღონისძიების მიზანია ახალგაზრდებში წიგნისადმი სიყვარულის გაზრდა და ინგლისური ენის პოპულარიზაცია.	1	3 800	3 800
ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის აღნიშვნა ახალგაზრდების წახალისება, საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად, ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებენ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდები. დაგეგმილია სხვადასხვა აქტივობები, გასართობი და შემეცნებით პროგრამებში	1	3 500	3 500
მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსწავლე-ახალგაზრდებისა და სტუდენტების მხარდამჭერი ღონისძიებები (სხვადასხვა სახის ახალგაზრდული აქტივობების, კონფერენციებში, გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტების მხარდამჭერი ღონისძიებები და სხვა) სხვადასხვა სახის ახალგაზრდული აქტივობების, კონფერენციებში,გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტების მხარდამჭერი ღონისძიებები და სხვა.	1	1 000	1 000
მუნიციპალური პირველობა ინტელექტუალურ თამაშში რა? სად? როდის? ღონისძიების ფარგლებში დაგეგმილია: მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების გუნდებს შორის შეჯიბრი, გამოვლინდება სამი გამარჯვებული გუნდი, გუნდები დაჯილდოვდებიან ფასიანი საჩუქრებით	1	1 800	1 800
„აჭარის რეგიონული ლიგა" ღონისძიების ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ნაკრები გუნდის მომზადება ორგანიზატორის მიერ, გუნდი მონაწილეობას მიიღებს დასკვნით ფინალურ თამაშში ორგანიზატორის მიერ შერჩეულ აჭარის ერთ-ერთ მუნიციპალიტეტში. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გუნდის კვების(სატრასპორტო) და გულშემატკივართა სატრანსპორტო მომსახურება.	1	1 400	1 400
ახალგაზრდული ფესტივალი „ახალი თაობის სივრცე" ღონისძიების მიზანია ახალგაზრდების გაერთიანება, მათი შემოქმედებითი, ინტელექტუალური და სპორტული შესაძლებლობების წარმოჩენა, აქტიური მოქალაქეობისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას. ღონისძიება შექმნის სივრცეს, სადაც ახალგაზრდები შეძლებენ ერთმანეთის გაცნობას, გამოცდილების გაზიარებას, ახალი უნარების განვითარებასა და სხვადასხვა აქტივობაში ჩართვას.	1	8 500	8 500
ჯამი			45 000
ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა			

დასახელება	I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი
კულტურის განვითარების ხელშეწყობა	X	X	X	X

მოსალოდნელი შუალედური შედეგი
გაზრდილია ახალგაზრდების მონაწილეობა ინტელექტუალურ-შემეცნებით პროექტებში

ქვეპროგრამების დასახელება	2026 წელი გეგმა	2027 წელი პროგნოზი	2028 წელი პროგნოზი	2029 წელი პროგნოზი	2030 წელი პროგნოზი
ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა	50 000	45 000	60 000	70 000	80 000

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	**მიზანი 4** - ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის **მიზანი 5** - გენდერული თანასწორობა **მიზანი 8** - ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა **მიზანი 10** - შემცირებული უთანასწორობა **მიზანი 16** - მშვიდობა, სამართლიანობა, ძლიერი ინსტიტუციები

შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი							
	ინდიკატორის დასახელება	2026 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2027 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
გაზრდილია ახალგაზრდების მონაწილეობა ინტელექტუალურ-შემეცნებით პროექტებში	ინტელექტუალურ-შემეცნებითი პროექტების რაოდენობა, რომელიც ორგანიზებულია მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით	16	18	რაოდენობა	10%	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა, ტურიზმის და ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახური	წარმოდგენილი წლიური ანგარიში	ქვეყანაში არსებული საგანგებო მდგომარეობა
	მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით განხორციელებული ინტელექტუალურ-შემეცნებით პროექტებში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობა (არანაკლებ)	600 (მათ შორის გოგონა45%, ვაჟი55%)	630 (მათ შორის გოგონა 45%, ვაჟი55%)	რაოდენობა	10%		წარმოდგენილი წლიური ანგარიში	ქვეყანაში არსებული საგანგებო მდგომარეობა.

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 02 06
ქვეპროგრამის დასახელება:	ადგილობრივ დონეზე ქალთა სოციალური-ეკონომიკური გაძლიერება/ხელშეწყობა
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ქედის მუნიციპალიტეტის მერია, ადმინისტრაციული სამსახური/ქალთა ოთახი
ქვეპროგრამის დაფინანსების წყარო	2027-2030 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	45 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი	45 000

ქვეპროგრამის მიზანი

ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა, ქალთა გაძლიერება, ძლიერი მხარეების წახალისება, ადგილზე საკუთარი საქმის წამოწყების შესაძლებლობა, სუსტი მხარეების აღმოფხვრის ხელშეწყობა.

მუნიციპალურ დონეზე მეტი ჩართულობისა და გააქტიურებისათვის ზრუნვა, მოსახლეობის შესაძლებლობებისა და ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, რაც შემდგომში განაპირობებს ქალთა ეკონომიკურ და სოციალურ აქტიურობას, ეს იქნება სტიმული/წახალისება/მიმბაძველობა და მაგალითი სხვა ქალებისათვის, რათა უფრო გააქტიურდნენ და მიიღონ მონაწილეობა არა მარტო მუნიციპალიტეტის პროგრამებში, არამედ სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამოცხადებულ საგრანტო პროექტებში.

ქვეპროგრამის აღწერა

ქვეპროგრამა შემუშავებულია ქედის მუნიციპალიტეტის თანასწორობის სამოქმედოს გეგმის შესაბამისად; მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანამ და მათ შორის ქედის მუნიციპალიტეტმა გარკვეული პროგრესი განიცადა თანასწორობის მიღწევის თვალსაზრისით, მაინც დღის წესრიგში რჩება გარკვეული პრობლემები როგორიცაა, ქალთა და მამაკაცთა თანაბარი მონაწილეობა ოჯახის ეკონომიკურ საქმიანობებში, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთაართულობა და ა.შ. მზარდი ფაქტები და მონაცემები ადასტურებენ, რომ თანასწორობის მიღწევა ქალთა ეკონომიკური გაძლიერების/წახალისების გარეშე შეუძლებელია.

ქვეყნის განვითარების თანამედროვე ეტაპზე საკითხები გააქტიურებულია. დემოკრატიულმა პროცესებმა ქალთა ეკონომიკური აქტიურობის საკითხი დააყენა დღის წესრიგში, უდავოა რომ გედნდერული თანასწორობა დემოკრატიული პროცესებისა და ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს, ვინაიდან იგი დასაქმების, შემოსავლების ზრდისა და საყოველთაო კეთილდღეობის დამკვიდრების საფუძველია. ქვეყანაში გატარებული მნიშვნელოვანი ღონისძიებების მიუხედავად საჭიროა დამატებითი აქტივობების განხორციელება, ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: ქალთა ჩართულობის გააქტიურება ეკონომიკურ პროცესებში ადგილობრივ დონეზე და ქალთა ეკონომიკური შესაძლებლობები/გამოწვევები.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

ადგილობრივ დონეზე ქალთა სოციალური-ეკონომიკური გაძლიერება/ხელშეწყობა - ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა, მათი საქმიანობის წახალისება, ადგილზე დასაქმების შესაძლებლობა და მეწარმე ქალების რაოდენობის გაზრდა, რაც ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებას შეუწყობს ხელს.

შექმნილია „ქედის მუნიციპალიტეტში ქალთა სოციალური-ეკონომიკური გაძლიერება/ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი პროექტების შერჩევა - შეფასების საკონკურსო კომისია“, რომელიც ხელმძღვანელობს დებულებით, სადაც გაწერილია კომისიის მუშაობისა და კონკურსის ჩატარების წესი.

კონკურსის ეტაპები, ვადები და განაცხადების შერჩევა/შეფასება

1. კონკურსი შედგება შემდეგი ეტაპებისგან:

ა) I ეტაპი - ბიზნეს იდეის/გეგმის განაცხადის წარდგენა;

ბ) II ეტაპი - ბიზნეს იდეის /გეგმის შეფასება

გ) III ეტაპი - გასაუბრება/მონიტორინგი/ადგილზე ვიზიტი;

დ) IV ეტაპი - ქვეპროგრამის განაცხადის დამტკიცება/ხელშეკრულების გაფორმება.

პროექტის ღირებულება და დაფინანსება

1. განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი თითოეულ პროექტის ჯამური მინიმალური ღირებულების ოდენობა შეადგენს არანაკლებ 1250 ლარს (რომელიც მოიცავს: მერიის 80% - 1000 ლარს და გამცხადებლის 20% - 250 ლარს), ხოლო მაქსიმალური ღირებულების ოდენობა არ არის შეზღუდული.

2. თითოეულ პროექტზე, ქედის მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან თანადაფინანსების (სუბსიდირება) მინიმალური ოდენობა შეადგენს 1000 ლარს, ხოლო მაქსიმალური - 7000 ლარს, რაც განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი პროექტის ღირებულების - 80%-ია, ხოლო ბენეფიციარის თანამონაწილეობა - არანაკლებ - 20% და მისი ოდენობა (%) შეიძლება გაიზარდოს პროექტის ჯამური ღირებულების შესაბამისად.

კონკურსის შესახებ მოსახლეობის ინფორმირება

1. კომისია კონკურსის შესახებ აწარმოებს საინფორმაციო კამპანიას:

ა) პროექტის შესახებ საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში (დღის წესრიგის შედგენა);

ბ) საინფორმაციო კამპანიის შედეგად უზრუნველყოფილი იქნება ინფორმაციის მაქსიმალური გავრცელება სამიზნე ჯგუფებამდე, საკონკურსო პროგრამის მიზნების და მასში ჩართვის პირობების შესახებ;

გ) მოსახლეობას კონკურსთან დაკავშირებულ საკითხებზე დეტალური ინფორმაციის გაცნობა, მათ შორის საკონკურსო განაცხადის ფორმები, მათი შევსების და წარდგენის პროცედურებზე კონსულტაციის მიღება შესაძლებელი იქნება ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ქალთა ოთახის მეშვეობით. აგრეთვე განაცხადის ფორმები საჯაროთ გამოქვეყნდება ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე - www.keda.gov.ge

დასახელება	პროდუქტი		
	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი (ლარი)	სულ (ლარი)
სხვა ხარჯი	1	45 000	45 000
ჯამი			45 000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი

ადგილობრივ დონეზე ქალთა სოციალური-ეკონომიკური გაძლიერება/ხელშეწყობა	X	X	X	X

მოსალოდნელი შუალედური შედეგი

ჩატარებულია ქონების ნუსხის შექმნასთან დაკავშირებული საჭირო პროცედურები

დასახელება	2026 წელი გეგმა	2027 წელი პროგნოზი	2028 წელი პროგნოზი	2029 წელი პროგნოზი	2030 წელი პროგნოზი
ადგილობრივ დონეზე ქალთა სოციალური-ეკონომიკური გაძლიერება/ხელშეწყობა	45 000	45 000	60 000	80 000	100 000

დამატებითი ინფორმაცია

ფინანსური ანგარიშსწორების განხორციელების წესი:
1) პროგრამა საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო შესყიდვებს არ საჭიროებს;
2) დაფინანსება განხორციელდება ქედის მუნიციპალიტეტისა და გამარჯვებულ პირ(ებ)ს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.
3) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო (საანგარიშსწორებო) დოკუმენტაცია.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	**მიზანი 5 -** გენდერული თანასწორობა **მიზანი 8** - ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა **მიზანი 10 -** შემცირებული უთანასწორობა

შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი							
	ინდიკატორის დასახელება	2026 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2027 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
ხელშეწყობილი არიან მეწარმე ქალები და გაზრდილია მათი ფინანსებზე წვდომა	გამოცხადებული საგრანტო კონკურსი	1	1	რაოდენობა	0 %	ქედის მუნიციპალიტეტის მერია, ადმინისტრაციული სამსახური/ქალთა ოთახი	მონიტორინგი	5% - კონტრაქტორის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობა, გარეშე პირობების ფაქტორი
	სგარნტო კონკურსში მონაწილეთა რაოდენობა (არანაკლებ)	25	45	რაოდენობა	0 %			

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 02 07
ქვეპროგრამის დასახელება:	ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისთვის მხარდამჭერი მუნიციპალური პროგრამა
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ქედის მუნიციპალიტეტის მერია, ადმინისტრაციული სამსახური/ქალთა ოთახი
ქვეპროგრამის დაფინანსების წყარო	2027-2030 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	5 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი	5 000

ქვეპროგრამის მიზანი

ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სოციალური მხარდაჭერა, მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება.

ქვეპროგრამის აღწერა

ქვეპროგრამა შეესაბამებოდა ქედის მუნიციპალიტეტის თანასწორობის საბჭოს 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმის შესაბამისად(ტერიტორიის დოკუმენტი 2023 წელი, ხოლო წლების სამოქმედო გეგმის ამოცანების შესრულება კვლავ პრიორიტეტულია).

მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად ქვეყანამ და მათ შორის ქედის მუნიციპალიტეტმა გარკვეული პროგრესი განიცადა თანასწორობის მიღწევის თვალსაზრისით დღის წესრიგში მაინც რჩება პრობლემები, როგორიცაა ქალთა და მამაკაცთა თანაბარი მონაწილეობა ოჯახის ეკონომიკურ საქმიანობებში, ოჯახში ძალადობა, დისბალანსი, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა ჩართულობა და ა.შ.

ხელისუფლების მიერ არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება განხორციელდა ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის და პრევენციის მიზნით, მათ შორის, დაიხვეწა კანონმდებლობა, შეიქმნა დამატებითი საკანონმდებლო გარანტიები ძალადობის მსხვერპლთათვის და გაძლიერდა ინსტიტუციური მექანიზმები, ამის მიუხედავად პრობლემა კვლავ აქტუალურია, რასაც კიდევ უფრო ართულებს პანდემიის შედეგად გამოწვეული გარემოებები.

ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული კვლევები მოწმობს, რომ ოჯახში ყოველი მე-11 ქალი ძალადობის მსხვერპლია და ქალთა 35% აცხადებს რომ განუცდია მეუღლის მხრიდან მაკონტროლებელი ქცევა. განსაკუთრებით პრობლემატურია, რომ საზოგადოების დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ ოჯახში ძალადობა ოჯახური საკითხია და ოჯახშივე უნდა მოგვარდეს, რასაც არც თუ ისე იშვიათად სავალალო შედეგებამდე მივყავართ.

უნდა აღინიშნოს, რომ 1991 წლიდან დღემდე საქართველოს მიერ რატიფიცირებული იქნა ყველა ის ძირითადი საერთაშორისო დეკლარაცია, აქტი, კონვენცია, ხელშეკრულება თუ შეთანხმება, რომლებიც ავალდებულებს ხელისმომწერ სახელმწიფოებს თანასწორობის უზრუნველყოფასა და დაცვას საქართველოს მიერ მიღებული იქნა თანასწორობის უზრუნველყოფისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრის მიზნით სპეციალური კანონები და შესაბამისი ცვლილებები შეიცდა საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებში.

1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. გაეროს კონვენცია ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ CEDAW (სიდო კონვენცია);
3. ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმება (2014 წელს საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებას, რომლის ერთ-ერთი პუნქტით ხელისუფლებას, ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებასა და მმართველობით რგოლში ქალთა როლის გაზრდას ავალდებულებს);
4. ევროსაბჭოს კონვენცია ,,ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ" (იგივე სტამბულის კონვენცია), რომლის რატიფიცირება, საქართველომ 2017 წელს მოახდინა.
5. საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ;

ქედის პოლიციის რაინული სამმართველოდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, 2020-2021 წლებში ქალთა მიმართ ან/და ოჯახში მომხდარი ძალადობის ფაქტების შესახებ გამოცემული იქნა 43 შემაკავებელი ორდერი, მათ შორის 2020 წელში 19, ხოლო 2021 წელს 24 შემაკავებელი ორდერი.

ზემოხსენებული პრობლემებიდან გამომდინარე მიზანშეწონილად ჩაითვალა წინამდებარე ქვეპროგრამის მომზადება, აღნიშნულ პრობლემებზე მუშაობის გაგრძელება და საჭიროებებიდან გამომდინარე ახალი კომპონენტების დამატება.

1. შესაბამისად პროგრამის ფარგლებში ,,ქალთა მიმართ ძალადობის" 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში მომდევნო წლებშიც დაფინანსდება სხვადასხვა საგანმანათლებლო და საინფორმაციო ღონისძიებები, რომლის მიზანია მოსახლეობის ინფორმირებულობა და ცნობიერების ამაღლება, რომ საზოგადოების თითოეულმა წევრმა გააცნობიეროს, რომ თვალის დახუჭვა, გულგრილობა, გვერდზე დგომა დაუშვებელია, და რომ თითოეული ადამიანის ერთი ზარი შესაძლოა გადამწყვეტი აღმოჩნდეს სხვა ადამიანის სიცოცხლის ჯანმრთელობის დასაცავად.
2. ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა მუნიციპალიტეტის პრიორიტეტია, 2015 წლიდან დღემდე განხორციელდა არაერთი აქტივობა, რომელიც ძირითადად საინფორმაციო ხასიათის მატარებელი იყო, 2022 წლიდან პროგრამას დაემატა ახალი კომპონენტი, კერძოდ ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის (შემაკავებელი და დამცავი ორდერის მოქმედების პირობებში სასამართლოსა ან/და ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი გადაწყვეტილებით) მქონე პირთა ფინანსურ დახმარებას (400-800) (ოთხასი-რვაასი) ლარის ოდენობით, სტატუსის მოქმედების ვადის შესაბამისად, ასევე საჭიროების შემთხვევაში ძალადობის მსხვერპლის დროებით (სტატუსის მოქმედების ვადის შესაბამისად) ალტერნატიული საცხოვრებელი ფართის დაქირავებას.

საგანმანათლებლო და საინფორმაციო კამპანიის ქვე-აქტივობები:

1. არა ძალადობის კამპანია - ინფორმირებულობის გაზრდა ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის შესახებ სახელმწიფო და მუნიციპალური სერვისების შესახებ;
2. ქორწინება ადრეულ ასაკში და მისი შედეგები - საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდება ნაადრევი ქორწინების შესაძლო რისკებზე და უარყოფით მხარეებზე.
3. ,,ადამინის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღე"- მიზანი: ხაზგასმა, რომ ადამიანები თანასწორი ვართდა ყველას გვაქვს თანასწორი უფლებები მიუხედავად იმისა, რომელ სტრუქტურას წარმოვადგენთ, რომელსაც მსარებლობას მივყვებით, რა ენაზე ვმეტყველებთ, და ა. შ. ბალანსი ორ მნიშვნელოვან ამოცანას შორის:„ეს არის ადამიანის უფლებების დაცვა და ეს არის ადამიანის დაცვა";
4. ,,ფორთოხლისფერი მსოფლიო - შეწყვიტე ძალადობა ქალებისა და გოგონების მიმართ!" - მსოფლიო უთანასწორობის წინააღმდეგ- ქალებისა და გოგონების წინააღმდეგ მიმართულ ძალადობებზე და მათი აღმოფხვრის გზებზე ინფორმაციის მიწოდება ტრენინგები ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მასწავლებლებისთვის დაუფროსკლასელი მოსწავლეებისთვის;
5. ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის საკითხებზე სააქმანათლებლო-საინფორმაციო ტრენინგი/სემინარების ჩატარება ტრენინგები ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე ქალებისა და გოგონებისთვის;

დასახელება	პროდუქტი		
	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი	სულ
,,ფორთოხლისფერი მსოფლიო - შეწყვიტე ძალადობა ქალებისა და გოგონების მიმართ!“	1	750	750
ქორწინება ადრეულ ასაკში და მისი შედეგები	1	800	800
ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე საგანმანათლებლო-საინფორმაციო ტრენინგ/სემინარების ჩატარება	1	700	700
ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღე	1	750	750
არა - ძალადობის კამპანია	1	1000	1000
ბენეფიციარისათის ფინანსური დახმარების ან/და ბინის დაქირავების ხარჯი	1	1000	1000
ჯამი			5 000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი
ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისთვის მხარდამჭერი მუნიციპალური პროგრამა	X	X	X	X

მოსალოდნელი შუალედური შედეგი

გაზრდილია საზოგადოების ცნობიერება ძალადობის წინააღმდეგ საკითხებზე; ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლები უზრუნველყოფილი არიან ფინანსური მხარდაჭერით

დასახელება	2026 წელი გეგმა	2027 წელი პროგნოზი	2028 წელი პროგნოზი	2029 წელი პროგნოზი	2030 წელი პროგნოზი
ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისთვის მხარდამჭერი მუნიციპალური პროგრამა	5 000	5 000	5 000	5 000	5 000

დამატებითი ინფორმაცია

პროგრამაში ჩასართავად წარმოდგენილი უნდა იქნას შემდეგი დოკუმენტაცია:
1. განცხადება
2. პირადობის მოწმობის ასლი;
3. მომხდარი ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტი (შემაკავებელი ან დამცავი ორდერი/სასამართლოს გადაწყვეტილება ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის გადაწყვეტილება);
4. განმცხადებლის საბანკო რეკვიზიტები;
ძალადობის მსხვერპლის დროებით (სტატუსის მოქმედების ვადის შესაბამისად) ალტერნატიული საცხოვრებელი ფართის დაქირავება მოხდება არაუმეტეს 300 ლარის ოდენობით, დროებითი საცხოვრებელი ბინის ქირით უზრუნველყოფის მიზნით.
5. თანხა ჩაირიცხება გამქირავებლის საბანკო რეკვიზიტებზე.
ანგარიშსწორება მოხდება ყოველი თვის ბოლოს.
ფინანსური ანგარიშსწორების განხორციელების წესი:
1) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება;
2) ბინის ქირავნობის ხელშეკრულება
3) წერილობითი მოთხოვნა;
4) მიღება-ჩაბარების აქტი;
5) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო (საანგარიშსწორებო) დოკუმენტაცია.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	**მიზანი 1** - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა; **მიზანი 5 -** გენდერული თანასწორობა; **მიზანი 10 -** შემცირებული უთანასწორობა;

შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი							
	ინდიკატორის დასახელება	2026 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2027 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
გაზრდილია საზოგადოების ცნობიერება ძალადობის წინააღმდეგ საკითხებზე; ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლები უზრუნველყოფილი არიან ფინანსური მხარდაჭერით	განხორციელებული აქტივობები	5	8	რაოდენობა	10 %	ქედის მუნიციპალიტეტის მერია, ადმინისტრაციული სამსახური/ქალთა ოთახი	მონიტორინგი	5% - კონტრაქტორის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობა, გარემო პირობების ფაქტორი
	პროგრამით მოსარგებელ ბენეფიციარების რაოდენობა და აუდიტორია	12	14	რაოდენობა	10 %	ქედის მუნიციპალიტეტის მერია, ადმინისტრაციული სამსახური/ქალთა ოთახი	მონიტორინგი	

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 02 08
ქვეპროგრამის დასახელება:	თანასწორობის ხელშეწყობა/ცნობიერების ამაღლების მიზნობრივი პროგრამა
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ქედის მუნიციპალიტეტის მერია, ადმინისტრაციული სამსახური/ქალთა ოთახი
ქვეპროგრამის დაფინანსების წყარო	2027-2030 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	10 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი	10 000

ქვეპროგრამის მიზანი

თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლება/ადგილზე თანასწორუფლებიანი გარემოს შექმნა

ქვეპროგრამის აღწერა

ქვეპროგრამა შემუშავებულია ქედის მუნიციპალიტეტის თანასწორობის საბჭოს 2022-2024 წლების სამოქმედოს გეგმის შესაბამისად (სტრატეგიის დოკუმენტი 2025 წელი, წინა წლების სამოქმედო გეგმის ამოცანების შესრულება კვლავ პრიორიტეტულია).

მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად ქვეყანამ და მათ შორის ქედის მუნიციპალიტეტმა გარკვეული პროგრესი განიცადა თანასწორობის მიღწევის თვალსაზრისით დღის წესრიგში მაინც რჩება პრობლემები, როგორიცაა ქალთა და მამაკაცთა თანაბარი მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, დისბალანსი, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა ჩართულობა, ცნობიერება და ა.შ.

ხელისუფლების მიერ არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება განხორციელდა თანასწორობის მისაღწევად მათ შორის, დაიხვეწა კანონმდებლობა, ამის მიუხედავად პრობლემა კვლავ აქტუალურია.

ქალთა პოლიტიკაში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის გაუმჯობესების მიუხედავად, ქედის მუნიციპლიტეტში ქალები/გოგონები არ არიან ჯეროვნად ჩართულნი ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში.

ზემოხსენებული პრობლემებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად ჩაითვალა წინამდებარე ქვეპროგრამის მომზადება და აღნიშნულ პრობლემებზე მუშაობის გაგრძელება. შესაბამისად პროგრამის ფარგლებში მომდევნო წლებში დაფინანსდება სხვადასხვა საგანმანათლებლო და საინფორმაციო პროგრამები, რაც ხელს შეუწყობს ქალთა და მამაკაცთა თანაბარ წარმოჩენას, უფლებასმოსილებას, პასუხისმგებლობასა და თანასწორ მონაწილეობას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ქალისა და მამაკაცის თანაბარი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფას, მეინსტრიმინგის ხელშეწყობასა და სხვადასხვა ნიშნით დისკრიმინაციის აღმოფხვრას. ამასთან ჩატარდება საინფორმაციო შეხვედრები კლიმატის ცვლილებებით გამოწვეული კატასტროფების რისკების საკითხებზე, რათა გაიზარდოს ქალებისა და სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების ცნობიერება ბუნებრივი კატასტროფების რისკების საკითხებზე.

დასახელება	პროდუქტი		
	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი	სულ
"პროფესიული თანასწორობა"	1	1000	1000
"ნუ შეიზღუდავ - შენი გზა შენია"	1	1000	1000
სოფლად მცხოვრები ქალების საერთაშორისო დღე	1	4000	4000
გაიზიარე წარმატების მაგალითი	1	4000	4000
ჯამი			10 000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი
თანასწორობის ხელშეწყობა/ცნობიერების ამაღლების მიზნობრივი პროგრამა	X	X	X	X

მოსალოდნელი შუალედური შედეგი

ინფორმირებულია მიზნობრივი სეგმენტი თანასწორობის საკითხებზე

დასახელება	2026 წელი გეგმა	2027 წელი პროგნოზი	2028 წელი პროგნოზი	2029 წელი პროგნოზი	2030 წელი პროგნოზი
თანასწორობის ხელშეწყობა/ცნობიერების ამაღლების მიზნობრივი პროგრამა	10 000	10 000	15 000	20 000	25 000

დამატებითი ინფორმაცია

ფინანსური ანგარიშსწორების განხორციელების წესი:
1) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება;
2) წერილობითი მოთხოვნა;
3) მიღება-ჩაბარების აქტი;
4) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო (საანგარიშსწორებო) დოკუმენტაცია.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	**მიზანი 5** - გენდერული თანასწორობა; **მიზანი 10** - შემცირებული უთანასწორობა; **მიზანი 16** - მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუციები

შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი							
	ინდიკატორის დასახელება	2026 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2027 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
ინფორმირებულია მიზნობრივი სეგმენტი თანასწორობის საკითხებზე	ჩატარებული ტრენინგ-სემინარების რაოდენობა	8	8	რაოდენობა	10 %	ქედის მუნიციპალიტეტის მერია, ადმინისტრაციული სამსახური/ქალთა ...	მონიტორინგი	5% - კონტრაქტორის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობა, გარემო პირობების ფაქტორი
	პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების რაოდენობა	20	220	რაოდენობა	10 %	ქედის მუნიციპალიტეტის მერია, ადმინისტრაციული სამსახური/ქალთა ...	მონიტორინგი	

პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	კულტურის განვითარების ხელშეწყობა
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 02 09
ქვეპროგრამის დასახელება:	კულტურის სახლების, კლუბებისა და ბიბლიოთეკების მშენებლობა- რეაბილიტაცია და ინვენტარით აღჭურვა
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ქედის მუნიციპალიტეტის მერია
ქვეპროგრამის განხორციელების პერიოდი:	2027-2030 წწ.

ქვეპროგრამის მიზანი

კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება, მემკვიდრეობის ძეგლთა შენარჩუნება, დაცვა, პოპულარიზაცია და ცნობადობის ამაღლება.

ქვეპროგრამის აღწერა

ქედის კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება, კულტურული აქტივობების განვითარების ხელშეწყობა, კულტურული ცხოვრების აქტივობის გაზრდა, ხელოვანთა შემოქმედებითი ზრდის ხელშეწყობა, კულტურულ საგანმანათლებლო სფეროების განვითარების ხელშეწყობა, ეროვნული ღონისძიებების პაპულარიზაცია, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა შენარჩუნება, დაცვა, პოპულარიზაცია და ცნობადობის ამაღლება.

ქვეპროგრამების დასახელება	2026 წელი გეგმა	2027 წელი პროგნოზი	2028 წელი პროგნოზი	2029 წელი პროგნოზი	2030 წელი პროგნოზი
ქედის მუნიციპალიტეტის, წონიარისის ადმინისტრაციული ერთეულის კულტურის სახლისა და ადმინისტრაციული შენობის მშენებლობა	100 000	653 000	**0**	**0**	**0**
დაბა ქედის კულტურის სახლის რეაბილიტაცია	3 726 600	0	0	0	0
ჯამი	**3 826 600**	**653 000**	**0**	**0**	**0**

მოსალოდნელი შუალედური შედეგი

რეაბილიტირებულია კულტურის სახლები და ხელშეწყობილია კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობა, შენარჩუნებული და დაცულია კულტურული მემკვიდრეობა.	
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	**მიზანი 8 -** ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა **მიზანი 10 -** შემცირებული უთანასწორობა **მიზანი 11 -** მდგრადი ქალაქები და დასახლებები

შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი										
	ინდიკატორის დასახელება	2026 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	2027 წელი	2028 წელი	2029 წელი	2030 წელი	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
რეაბილიტირებულია კულტურის სახლები და ხელშეწყობილია კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობა, შენარჩუნებული და დაცულია კულტურული მემკვიდრეობა	რეაბილიტირებული ობიექტების რაოდენობა	1	2	2	2	რაოდენობა	10%	ქედის მუნიციპალიტეტის მერია	წარმოდგენილი წლიური ანგარიში	ქვეყანაში არსებული საგანგებო მდგომარეობა.	მონიტორინგი

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	კულტურის განვითარების ხელშეწყობა
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 02 09 01
ქვეპროგრამის დასახელება:	ქედის მუნიციპალიტეტის, წონიარისის ადმინისტრაციული ერთეულის კულტურის სახლისა და ადმინისტრაციული შენობის მშენებლობა
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური, ეკონომიკური განვითარების სამსახური
ქვეპროგრამის დაფინანსების წყარო	2027-2030 წწ.
სახელმწიფო ბიუჯეტი	653 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი	653 000

ქვეპროგრამის მიზანი

ქედის მუნიციპალიტეტის, წონიარისის ადმინისტრაციული ერთეულის კულტურის სახლისა და ადმინისტრაციული შენობის მშენებლობა

ქვეპროგრამის აღწერა

შენობა აშენებულია გასულ საუკუნეში, დაზიანებულია შიდა ფართის კედლები, იატაკი და კარ-ფანჯრები, რასაც ესაჭიროება კაპიტალური რემონტი.

დასახელება	პროდუქტი		
	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი (ლარი)	სულ (ლარი)
არაფინანსური აქტივები	1	653 000	653 000
ჯამი			653 000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი

ქედის მუნიციპალიტეტის, წონიარისის ადმინისტრაციული ერთეულის კულტურის სახლისა და ადმინისტრაციული შენობის მშენებლობა	X	X	X	X

მოსალოდნელი შუალედური შედეგი

რეაბილიტირებულია წონიარისის კულტურის სახლის შენობა და უზრუნველყოფილია კულტურული ღონისძიებების და სამუშაო პროცესის კომფორტულ და უსაფრთხო გარემოში

	ინდიკატორის დასახელება	2026 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2027 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
უზრუნველყოფილია ბენეფიციართა მატერიალური და ფინანსური დახმარება	ბენეფიციარების რაოდენობა	210 (მათ შორის ქალი 30, კაცი 80)	225 (მათ შორის ქალი 35, კაცი 90)	რაოდენობა	10%	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	შემოსული განცხადებების მიხედვით.	ქვეყანაში შექმნილი საგანგებო მდგომარეობა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	სოციალური უზრუნველყოფა
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	06 02 03
ქვეპროგრამის დასახელება:	ოთხ და მეტ შვილიან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ბავშვები) ერთჯერადი ფინანსური დახმარება
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური
ქვეპროგრამის დაფინანსების წყარო	2027-2030 წწ.
მუნიციპალური ბიუჯეტი	140 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი	140 000

ქვეპროგრამის მიზანი

ქედის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ოთხ და მეტ შვილიან ოჯახებზე (18 წლამდე ასაკის ბავშვები) ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაწევა

ქვეპროგრამის აღწერა

მრავალშვილიანი ოჯახებისათვის დახმარება ქვეყნის მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. დემოგრაფიული პრობლემების ფონზე დღის წესრიგში დადგა მრავალშვილიანი ოჯახების ფინანსური დახმარება. სწორედ ამიტომ, მე-4, მე-5 და მეტი შვილის შეძენასთან დაკავშირებით დახმარებას მიიღებენ მშობლები, რომლებიც რეგისტრირებული არიან ან/და ერთ-ერთი მშობელი რეგისტრირებულია ქედის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე.

დასახელება	პროდუქტი		
	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი	სულ
სოციალური უზრუნველყოფა	70	2 000	140 000
სულ ჯამი			140 000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი
ოთხ და მეტ შვილიან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ბავშვები) ერთჯერადი ფინანსური დახმარება	X	X	X	X

მოსალოდნელი შუალედური შედეგი
ოთხ და მეტ შვილიან ოჯახებზე (18 წლამდე ასაკის ბავშვები) ფინანსური დახმარება უზრუნველყოფილია

ქვეპროგრამების დასახელება	2026 წელი გეგმა	2027 წელი პროგნოზი	2028 წელი პროგნოზი	2029 წელი პროგნოზი	2030 წელი პროგნოზი
ოთხ და მეტ შვილიან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ბავშვები) ერთჯერადი ფინანსური დახმარება	105 000	140 000	180 000	200 000	220 000

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	**მიზანი 1 -** სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა; **მიზანი 2 -** შიმშილის აღმოფხვრა;
დამატებითი ინფორმაცია	
მრავალშვილიანი ოჯახებისათვის დახმარება ქვეყნის მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. დემოგრაფიული პრობლემების ფონზე დღის წესრიგში დადგა მრავალშვილიანი ოჯახების ფინანსური დახმარება. სწორედ ამიტომ, მე-4, მე-5 და მეტი შვილის შეძენასთან დაკავშირებით დახმარებას მიიღებენ მშობლები, რომლებიც რეგისტრირებული არიან ან/და ერთ-ერთი მშობელი რეგისტრირებულია ქედის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე. მოსარგებლის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი დოკუმენტაცია: 1. განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე; 2. მშობლების პირადობის მოწმობების ასლები დედანთან ერთად; 3. შვილების დაბადების მოწმობების ასლები დედანთან ერთად; 4. საბანკო რეკვიზიტები; 5. ერთ-ერთი მშობლის სხვა მუნიციპალიტეტში ან ქალაქში რეგისტრაციის შემთხვევაში შესაბამისი მუნიციპალიტეტიდან ცნობა, რომ არ უსარგებლია შესაბამისი პროგრამით. 6. ცნობა მაღალმთიანობის შესახებ ერთ ერთი მშობლის სახელზე; გამონაკლის შემთხვევაში 2027 წლის ქვეპროგრამის ფარგლებში ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაეწევა იმ ოჯახებს, რომლებსაც მე-4 შვილი შეეძინათ 2026 წლის დეკემბრის თვეში და არ უსარგებლიათ დახმარებით, ხოლო დახმარება გაიცემა 2026 წლის ქვეპროგრამული თანხის შესაბამისად.	

შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი							
	ინდიკატორის დასახელება	2026 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2027 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
ოთხ და მეტ შვილიან ოჯახებზე (18 წლამდე ასაკის ბავშვები) ფინანსური დახმარება უზრუნველყოფილია	ოჯახების რაოდენობა	66 (მათ შორის ქალი 30, კაცი 36)	70 (მათ შორის ქალი 34, კაცი 66)	რაოდენობა	10%	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	შემოსული განცხადებების მიხედვით.	ქვეყანაში შექმნილი საგანგებო მდგომარეობა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:		სოციალური უზრუნველყოფა
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:		06 02 04
ქვეპროგრამის დასახელება:		გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დასაფლავებისთვის ერთჯერადი ფინანსური დახმარება
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:		ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური
ქვეპროგრამის დაფინანსების წყარო		2027-2030 წწ.
მუნიციპალური ბიუჯეტი		60 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი		60 000

ქვეპროგრამის მიზანი

ქედის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 0-დან 120000 ქულის მქონე ოჯახებისათვის ოჯახის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში ერთჯერადი ფიანანსური დახმარების გაწევა

ქვეპროგრამის აღწერა

სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება ქვეყნის მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს, რის გამოც ქედის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშავა პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს 0-დან 120 000 ქულის მქონე ოჯახის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში ერთჯერადად ფინანსური დახმარებას 500 ლარის ოდენობით.

დასახელება	პროდუქტი		
	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი	სულ
სოციალური უზრუნველყოფა	120	500	60 000
სულ ჯამი			60 000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი

გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დასაფლავებისთვის ერთჯერადი ფინანსური დახმარება	X	X	X	X
მოსალოდნელი შუალედური შედეგი				
ოჯახის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში სოციალურად დაუცველი ოჯახები იღებენ ერთჯერად ფინანსურ დახმარებას				

ქვეპროგრამების დასახელება	2026 წელი გეგმა	2027 წელი პროგნოზი	2028 წელი პროგნოზი	2029 წელი პროგნოზი	2030 წელი პროგნოზი
გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დასაფლავებისთვის ერთჯერადი ფინანსური დახმარება	60 000	60 000	85 000	90 000	95 000

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	**მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა;**
დამატებითი ინფორმაცია	
წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი დოკუმენტაცია: 1. ოჯახის წევრის განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე; 2. განმცხედებლის პირადობის მოწმობის ასლი დედანთან ერთად; 3. გარდაცვალების მოწმობის ასლი დედანთან ერთად; 4. ცნობა სარეიტინგო ქულის შესახებ; 5. განმცხადებლის საბანკო რეკვიზიტები; გამონაკლის შემთხვევაში პროგრამით 2027 წელში ისარგებლებს ის ოჯახი, რომელსაც ოჯახის წევრი გარდაეცვალა 2026 წლის დეკემბრის თვეში და დახმარება გაეწევა 2026 წლის პროგრამით გათვალისწინებული ოდენობით.	

შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი							
	ინდიკატორის დასახელება	2026 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2027 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
ოჯახის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში სოციალურად დაუცველი ოჯახები იღებენ ერთჯერად ფინანსურ დახმარებას	ოჯახების რაოდენობა	116	120	რაოდენობა	10%	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	შემოსული განცხადებების მიხედვით.	ქვეყანაში შექმნილი საგანგებო მდგომარეობა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	სოციალური უზრუნველყოფა	
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:		06 02 05
ქვეპროგრამის დასახელება:	ჰემოდიალიზის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა მგზავრობის ხელშეწყობა	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	
ქვეპროგრამის დაფინანსების წყარო		2027-2030 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი		40 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი		40 000

ქვეპროგრამის მიზანი

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პაციენტების ტრანსპორტირება

ქვეპროგრამის აღწერა

პროგრამა ითვალისწინებს დიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარის ქ. ბათუმის კლინიკებში დიალიზის სეანსების ჩასატარებლად ტრანსპორტირებისათვის ფინანსურ დახმარებას. ტრანსპორტირების ხარჯი ერთ ბენეფიციარზე გათვლილია ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმოს მიერ მოწოდებული მგზავრობის ღირებულების მიხედვით, (პაციენტები ყოველთვიურად იტარებენ 13-მდე დიალიზის სეანს), ვინაიდან ხშირ შემთხვევაში აღნიშნული კატეგორიის ბენეფიციარებს არ აქვს ტრანსპორტირების ხარჯები, ძირითადად ცხოვრობენ სოფლად და უწევთ ორი სახის ტრანსპორტის შეცვლა. პროგრამით გათვალისწინებული დახმარება მათთვის მნიშვნელოვანი მხარდაჭერა იქნება.
მატერიალური რესურსის გაცემის სქემა:
ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა მონაცემების საფუძველზე ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური მიმართავს მერს პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარებზე ყოველთვიური სოციალური დახმარების თაობაზე დიალიზის ცენტრამდე და უკან ტრანსპორტის ხარჯების გაწევის თაობაზე, საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში მერიის საფინანსო სამსახური გადაურიცხავს ყოველთვიურად თვის ბოლო რიცხვებში პროგრამაში ჩართულ ბენეფიციარს შესაბამის პირად ანგარიშებზე თანხას.

დასახელება	პროდუქტი		
	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი	სულ
სოციალური უზრუნველყოფა			40 000

ტრანსპორტირების ხარჯები დანდალოს ადმინისტრაციული ერთეულიდან ქალაქ ბათუმამდე ორმხრივად თანმხლები პირის ერთად	ბენეფიციარი	13	10	130
	თანმხლები პირი	13	10	130
ტრანსპორტირების ხარჯები ცხმორისი ადმინისტრაციული ერთეულიდან ქალაქ ბათუმამდე ორმხრივად თანმხლები პირის ერთად	ბენეფიციარი	13	8	104
	თანმხლები პირი	13	8	104
ტრანსპორტირების ხარჯები წონიარისის ადმინისტრაციული ერთეულიდან ქალაქ ბათუმამდე ორმხრივად თანმხლები პირის ერთად	ბენეფიციარი	13	7	91
	თანმხლები პირი	13	7	91
ტრანსპორტირების ხარჯები ზვარის ადმინისტრაციული ერთეულიდან ქალაქ ბათუმამდე ორმხრივად თანმხლები პირის ერთად	ბენეფიციარი	13	7	91
	თანმხლები პირი	13	7	91
ტრანსპორტირების ხარჯები დაბა ქედის ადმინისტრაციული ერთეულიდან ქალაქ ბათუმამდე ორმხრივად თანმხლები პირის ერთად	ბენეფიციარი	13	6	78
	თანმხლები პირი	13	6	78
ტრანსპორტირების ხარჯები პირველი მაისი ადმინისტრაციული ერთეულიდან ქალაქ ბათუმამდე ორმხრივად თანმხლები პირის ერთად	ბენეფიციარი	13	6	78
	თანმხლები პირი	13	6	78
ტრანსპორტირების ხარჯები მახუნცეთის ადმინისტრაციული ერთეულიდან ქალაქ ბათუმამდე ორმხრივად თანმხლები პირის ერთად	ბენეფიციარი	13	5	65
	თანმხლები პირი	13	5	65
ტრანსპორტირების ხარჯები ოქტომბრის ადმინისტრაციული ერთეულიდან ქალაქ ბათუმამდე ორმხრივად თანმხლები პირის ერთად	ბენეფიციარი	13	9	117
	თანმხლები პირი	13	9	117
ტრანსპორტირების ხარჯები მერისის ადმინისტრაციული ერთეულიდან ქალაქ ბათუმამდე ორმხრივად თანმხლები პირის ერთად	ბენეფიციარი	13	10	130
	თანმხლები პირი	13	10	130
ტრანსპორტირების ხარჯები დოლოგნის ადმინისტრაციული ერთეულიდან ქალაქ ბათუმამდე ორმხრივად თანმხლები პირის ერთად	ბენეფიციარი	13	4	52
	თანმხლები პირი	13	4	52

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა				
დასახელება	I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი

0	X	X	X	X

მოსალოდნელი შუალედური შედეგი

ხელშეწყობილია ჰემოდიალიზის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა მგზავრობა

ქვეპროგრამების დასახელება	2026 წელი გეგმა	2027 წელი პროგნოზი	2028 წელი პროგნოზი	2029 წელი პროგნოზი	2030 წელი პროგნოზი
0	42 000	40 000	45 000	50 000	55 000

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	**მიზანი 1** - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა; **მიზანი 3** - ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა

დამატებითი ინფორმაცია

მატერიალური რესურსის გაცემის სქემა:
ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა მონაცემების საფუძველზე ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური მიმართავს მერს პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარებზე ყოველთვიური სოციალური დახმარების თაობაზე დიალიზის ცენტრამდე და უკან ტრანსპორტის ხარჯების გაწევის თაობაზე, საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში მერიის საფინანსო სამსახური გადაურიცხავს ყოველთვიურად თვის ბოლო რიცხვებში პროგრამაში ჩართულ ბენეფიციარს შესაბამის პირად ანგარიშებზე თანხას.
მოსარგებლეთა შერჩევის წესი:
1. დიალიზით დაავადებული მოქალაქის განცხადება მუნიციპალიტეტის მერის ან მერის მოადგილის სახელზე სახელზე;
2. შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა (ფორმა №100);
3. დიალიზით დაავადებული მოქალაქის პირადობის მოწმობის ქსეროასლი;
4. ბენეფიციარის საბანკო რეკვიზიტი;
პროგრამაში ბენეფიციარის მიერ დამაკმაყოფილებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში მგზავრობის ხარჯის ანაზღაურება მოხდეს განაცხადის შემოტანის დღიდან. პროგრამაში ასახული ბენეფიციართა რაოდენობა არის საორიენტაციო ციფრი და პროგრამა განხორციელდება რეალურად ჩართული ბენეფიციარების მიხედვით

შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი							
	ინდიკატორის დასახელება	2026 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2027 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
ხელშეწყობილია ჰემოდიალიზის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა მგზავრობა	პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	20 (მათ შორის ქალი 12, კაცი 8)	21 (მათ შორის ქალი 13, კაცი 8)	რაოდენობა	10%	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული ბენეფიციარების მომართვის საფუძველზე.	ქვეყანაში შექმნილი საგანგებო მდგომარეობა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	სოციალური უზრუნველყოფა			
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:				06 02 06
ქვეპროგრამის დასახელება:	სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბავშვთა აბილიტაცია/რებილიტაციის კურსებზე მგზავრობის ხელშეწყობა			
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური			
ქვეპროგრამის დაფინანსების წყარო				2027-2030 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი				60 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი				60 000

ქვეპროგრამის მიზანი

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სამედიცინო და სოციალური რებილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბავშვთა აბილიტაცია/რეაბილიტაციის კურსებზე მგზავრობის ხელშეწყობა

ქვეპროგრამის აღწერა

პროგრამა ითვალისწინებს ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბავშვთა აბილიტაცია/რეაბილიტაციის კურსებზე თანამხლებ პირთან ერთად მგზავრობის ღირებულების ანაზღაურებას, რომელთა კურსები დაფინანსებულია აჭარის ა.რ. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროგრამით.
აღნიშნული პროგრამით სარგებლობს ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები (ცერებრალური დამბლის, კუნთების პირველადი დაზიანების, ცენტრალური ნერვული სისტემის ანთებითი და სისხლძარღვოვანი დაავადებების ნარჩენი მოვლენების, ეპილეფსიის, სპინური კუნთოვანი ატროფიისა და მასთან დაკავშირებული სინდრომების, კუნთოვანი დისტროფიის, თანდაყოლილი მიოპათიების, კუნთების სხვა (მათ შორის დაუზუსტებელი) დაზიანების, ჰემიპლეგიის, პარაპლეგიის და ტეტრაპლეგიის მქონე 3 წლამდე ასაკის ბავშვები და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვები.

დასახელება		პროდუქტი		
		რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი	სულ
სოციალური უზრუნველყოფა		**60 000**		
ტრანსპორტირების ხარჯები დანდალოს ადმინისტრაციული ერთეულიდან	ბენეფიციარი	10	10	100

ქალაქ ბათუმამდე ორმხრივად თანმხლები პირის ერთად	თანმხლები პირი	10	10	100
ტრანსპორტირების ხარჯები ცხმორისი ადმინისტრაციული ერთეულიდან ქალაქ ბათუმამდე ორმხრივად თანმხლები პირის ერთად	ბენეფიციარი	10	8	80
	თანმხლები პირი	10	8	80
ტრანსპორტირების ხარჯები წონიარისის ადმინისტრაციული ერთეულიდან ქალაქ ბათუმამდე ორმხრივად თანმხლები პირის ერთად	ბენეფიციარი	10	7	70
	თანმხლები პირი	10	7	70
ტრანსპორტირების ხარჯები ზვარის ადმინისტრაციული ერთეულიდან ქალაქ ბათუმამდე ორმხრივად თანმხლები პირის ერთად	ბენეფიციარი	10	7	70
	თანმხლები პირი	10	7	70
ტრანსპორტირების ხარჯები დაბა ქედის ადმინისტრაციული ერთეულიდან ქალაქ ბათუმამდე ორმხრივად თანმხლები პირის ერთად	ბენეფიციარი	10	6	60
	თანმხლები პირი	10	6	60
ტრანსპორტირების ხარჯები პირველი მაისი ადმინისტრაციული ერთეულიდან ქალაქ ბათუმამდე ორმხრივად თანმხლები პირის ერთად	ბენეფიციარი	10	6	60
	თანმხლები პირი	10	6	60
ტრანსპორტირების ხარჯები მახუნცეთის ადმინისტრაციული ერთეულიდან ქალაქ ბათუმამდე ორმხრივად თანმხლები პირის ერთად	ბენეფიციარი	10	5	50
	თანმხლები პირი	10	5	50
ტრანსპორტირების ხარჯები ოქტომბრის ადმინისტრაციული ერთეულიდან ქალაქ ბათუმამდე ორმხრივად თანმხლები პირის ერთად	ბენეფიციარი	10	9	90
	თანმხლები პირი	10	9	90
ტრანსპორტირების ხარჯები მერისის ადმინისტრაციული ერთეულიდან ქალაქ ბათუმამდე ორმხრივად თანმხლები პირის ერთად	ბენეფიციარი	10	10	100
	თანმხლები პირი	10	10	100
ტრანსპორტირების ხარჯები დოლოგნის ადმინისტრაციული ერთეულიდან ქალაქ ბათუმამდე ორმხრივად თანმხლები პირის ერთად	ბენეფიციარი	10	4	40
	თანმხლები პირი	10	4	40

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა				
დასახელება	I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი
სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბავშვთა აბილიტაცია/რებილიტაციის კურსებზე მგზავრობის ხელშეწყობა	X	X	X	X

მოსალოდნელი შუალედური შედეგი
მხარდაჭერილია ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბავშვთა აბილიტაცია/რეაბილიტაციის კურსებზე მგზავრობა

ქვეპროგრამების დასახელება	2026 წელი გეგმა	2027 წელი პროგნოზი	2028 წელი პროგნოზი	2029 წელი პროგნოზი	2030 წელი პროგნოზი
სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბავშვთა აბილიტაცია/რებილიტაციის კურსებზე მგზავრობის ხელშეწყობა	60 000	60 000	65 000	70 000	75 000

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	**მიზანი 1** - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა; **მიზანი 3** - ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა; **მიზანი 10** - შემცირებული უთანასწორობა;

დამატებითი ინფორმაცია

მატერიალური რესურსის გაცემის სქემა:
ტრანსპორტირების ხარჯის ანაზღაურება მოხდება რეაბილიტაციის ცენტრიდან კურსების გავლის ცნობის წარმოდგენის შემდეგ სამსახურის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე და ჩაერიცხება ბენეფიციარის მშობლის პირად ანგარიშზე.
მოსარგებლეთა შერჩევის წესი:
1. პროგრამით მოსარგებლე ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ერთ-ერთი მშობლის განცხადება მუნიციპალიტეტის მერის ან მერის მოადგილის სახელზე;
2. შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა (ფორმა №100);
3. სარეაბილიტაციო ცენტრების მიერ გაცემული ცნობა კურსების გავლის შესახებ;
4. აჭარის ა. რ. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული ვაუჩერი;
3. პროგრამით მოსარგებლე ბავშვთა და მშობელთა პირადობის მოწმობის ქსეროასლი;
4. მშობლის საბანკო რეკვიზიტი;
5. ამონაწერი - სსიპ სოციალური მომსახურეობის სააგენტო - ქედის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზაში რეგისტრაციის შესახებ:
პროგრამაში ბენეფიციარის მიერ დამაკმაყოფილებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში მგზავრობის ხარჯის ანაზღაურება მოხდეს განაცხადის შემოტანის დღიდან.
პროგრამაში ასახული ბენეფიციართა რაოდენობა არის საორიენტაციო ციფრი და პროგრამა განხორციელდება რეალურად ჩართული ბენეფიციარების მიხედვით.

შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი							
	ინდიკატორის დასახელება	2026 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2027 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
მხარდაჭერილია ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბავშვთა აბილიტაცია/რეაბილიტაციის კურსებზე მგზავრობა	პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	73 (მათ შორის გოგო 25, ბიჭი 48)	73 (მათ შორის გოგო 25, ბიჭი 48)	რაოდენობა	10%	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	მოპაროვებაზე	ქმედებაში შეყვანილი საკანონმდებლო ბაზის

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	სოციალური უზრუნველყოფა	
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:		06 02 07
ქვეპროგრამის დასახელება:	მოვლის საჭიროების მქონე პირთათვის ფინანსური დახმარება	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	
ქვეპროგრამის დაფინანსების წყარო		2027-2030 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი		315 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი		315 000

ქვეპროგრამის მიზანი

მოვლის საჭიროების მქონე პირთათვის ფინანსური დახმარება

ქვეპროგრამის აღწერა

გამომდინარე იქედან, რომ სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა უმწეო მდგომარეობაში მყოფ ბენეფიციარებზე ზრუნვა და ხელშეწყობა, მაინც სრულად ვერ ხერხდება აღნიშნულ პირებზე სხვადასხვა მომსახურეობის უზრუნველყოფა, რის გამოც შემუშავებული იქნა მოვლის საჭიროების მქონე პირთათვის მატერიალური დახმარების პროგრამა.
ქვეპროგრამის ფარგლებში სამედიცინო/ჰიგიენური საგნების შესაძენად ფინანსური დახმარება გათვალისწინებული იქნება ყოველთვიურად, პროგრამით ისარგებლებს ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული:
1. 0-დან 18 წლამდე ასაკის შშმ პირები, თვეში 100 (ოთხმოცდა ათი) ლარის ოდენობით;
2.18 წლის ზემოთ ასაკის ბენეფიციარები, კერძოდ: ა) მუდმივად ეტლით მოსარგებლე; ბ) მუდმივად მწოლიარე , თვეში 150 (ასორმოცდაათი) ლარის ოდენობით;
პროგრამის განხორციელების მიზნით 18 წლის ზემოთ ასაკის ბენეფიციარების განცხადებების შესასწავლად მიზანშეწონილად მიგვაჩნია შეიქმნას შესაბამისი კომისია, რის საფუძველზეც მოხდება ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმების შეფასება და ბენეფიციარის პროგრამაში ჩართვა.

დასახელება	პროდუქტი		
	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი	სულ
0-დან 18 წლამდე ასაკის შშმ პირები (სოციალური უზრუნველყოფა)	93	1 200 100*12	111 600
18 წლის ზემოთ ასაკის ბენეფიციარები (სოციალური უზრუნველყოფა)	113	1 800 150*12	203 400
სულ ჯამი			315 000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი
მოვლის საჭიროების მქონე პირთათვის ფინანსური დახმარება	X	X	X	X
მოსალოდნელი შუალედური შედეგი				
უზრუნველყოფილია ფინანსური დახმარებით ბენეფიციართა ოჯახები				

ქვეპროგრამების დასახელება	2026 წელი გეგმა	2027 წელი პროგნოზი	2028 წელი პროგნოზი	2029 წელი პროგნოზი	2030 წელი პროგნოზი
მოვლის საჭიროების მქონე პირთათვის ფინანსური დახმარება	324 000	315 000	380 000	410 000	440 000

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	**მიზანი 1** - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა; **მიზანი 3** - ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა; **მიზანი 10** - შემცირებული უთანასწორობა;
დამატებითი ინფორმაცია	
პროგრამაში ჩასართავად წარმოდგენილი უნდა იქნას შემდეგი დოკუმენტაცია: 1. განცხადება მერის ან მერის მოადგილის სახელზე, 0-18 წლის ასაკის ბავშვების შემთხვევაში ერთ-ერთი მშობლის სახელზე; 2. განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი დედანთან ერთად; 3. შშმ პირის დამადასტურებელი მოწმობა ან/და ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოდან; 4. შშმ ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი დედანთან ერთად; 5. განმცხადებლის საბანკო რეკვიზიტები; 6. ექიმის მიერ გაცემული ცნობა (ფორმა N100), სადაც მითითებული იქნება 18 წლის ზემოთ ასაკის ბენეფიციარის მდგომარეობა (მუდმივად ეტლით მოსარგებლე ან მუდმივად მწოლიარე); 7. 18 წლის ზემოთ ასაკის ბენეფიციარებისთვის ცნობა 120 000 ჩათვლით სარეიტინგო ქულის შესახებ; მოვლის საჭიროების საგნების შესაძენად თანხა გაიცემა ყოველთვიურად, უნაღდო ანგარიშსწორებით, განმცხადებლის საბანკო ანგარიშზე თანხის გადარიცხვით. ანგარიშსწორება მოხდება ყოველი თვის ბოლოს.	

შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი							
	ინდიკატორის დასახელება	2026 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2027 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
ფინანსური დახმარებით უზრუნველყოფილი არიან 0-დან 18 წლამდე ასაკის შშმ პირები	ბენეფიციართა რაოდენობა	91 (მათ შორის ქალი 34, კაცი 57)	93 (მათ შორის ქალი 35, კაცი 58)	რაოდენობა	10%	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახური	შემოსული განცხადებების მიხედვით.	ქვეყანაში შექმნილი საგანგებო მდგომარეობა
ფინანსური დახმარებით უზრუნველყოფილი არიან 18 წლის ზემოთ ასაკის ბენეფიციარები	ბენეფიციართა რაოდენობა	112 (მათ შორის ქალი 69, კაცი 43)	113 (მათ შორის ქალი 67, კაცი 46)	რაოდენობა	10%			

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	სოციალური უზრუნველყოფა			
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:				06 02 08
ქვეპროგრამის დასახელება:	0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებზე სპეციალური სამკურნალო კვების პროდუქტების შესაძენად ფინანსური დახმარება			
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური			
ქვეპროგრამის დაფინანსების წყარო				2027-2030 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი				18 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი				18 000
ქვეპროგრამის მიზანი				
მოვლის საჭიროების მქონე პირთათვის ფინანსური დახმარება				
ქვეპროგრამის აღწერა				
არსებობს იშვიათი დაავადებები (ფენილკეტონურია, გლუტენის აუტანლობა, ლაქტოზის აუტანლობა და ა.შ.), რომელთა მკურნალობის ძირითადი საშუალებაა დიეტათერაპია, დროული და სწორი დიეტის შემთხვევაში ბავშვი სრულფასოვნად განვითარდება და არაფერი შეაწუხებს. ასეთი პაციენტების სხვა ბავშვებისგან განმასხვავებელი ერთადერთი ნიშანი კვების რაციონი არის, რისთისაც საჭიროა შესაბამისი პროდუქტის შეძენა, რაც საკმაოდ დიდ თანხებთან არის დაკავშირებული და აღნიშნულ ოჯახებს ფინანსური ხარჯები მძიმე ტვირთად აწევს. გამომდინარე აქედან მუნიციპალიტეტის მერიამ მიზანშეწონილად მიიჩნია ასეთ კატეგორიის ბენეფიციარებს სპეციალური-სამკურნალო კვების პროდუქტების შესაძენად ყოველთვიურად გაუწიოს ფინანსური დახმარება არაუმეტეს 800 ლარის ოდენობით.				

დასახელება	პროდუქტი		
	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი	სულ
სოციალური უზრუნველყოფა	1	18 000 12*1500	18 000
სულ ჯამი			18 000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა				
დასახელება	I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი

0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებზე სპეციალური სამკურნალო კვების პროდუქტების შესაძენად ფინანსური დახმარება	X	X	X	X
მოსალოდნელი შუალედური შედეგი				
0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვები უზრუნველყოფილი არიან სპეციალური სამკურნალო კვების პროდუქტების შესაძენად საჭირო ფინანსური დახმარებით				

ქვეპროგრამების დასახელება	2026 წელი გეგმა	2027 წელი პროგნოზი	2028 წელი პროგნოზი	2029 წელი პროგნოზი	2030 წელი პროგნოზი
0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებზე სპეციალური სამკურნალო კვების პროდუქტების შესაძენად ფინანსური დახმარება	19 200	18 000	25 000	28 000	30 000

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	**მიზანი 1** - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა; **მიზანი 2** - შიმშილის აღმოფხვრა;
დამატებითი ინფორმაცია	
პროგრამით ისარგებლებს 0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვები. პროგრამაში ჩასართავად წარმოდგენილი უნდა იქნას შემდეგი დოკუმენტაცია: 1. ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ერთერთი მშობლის განცხადება მუნიციპალიტეტის მერის ან მერის მოადგილის სახელზე; 2. განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი დედანთან ერთად; 3. ბენეფიციარის დაბადების მოწმობის ასლი დედანთან ერთად; 4. ექიმის მიერ გაცემული ფორმა N100, სადაც მითითებული იქნება, რომ მოქალაქე ნამდვილად საჭიროებს სპეციფიკურ-სამკურნალო კვებას; 5. განმცხადებლის საბანკო რეკვიზიტები; ანგარიშსწორება მოხდება ყოველთვიურად.	

შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი							
	ინდიკატორის დასახელება	2026 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2027 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვები უზრუნველყოფილი არიან სპეციალური სამკურნალო კვების პროდუქტების შესაძენად საჭირო ფინანსური დახმარებით	დახმარების მიმღებ პირთა რაოდენობა	2 (მათ შორის გოგო 1, ბიჭი 1)	1 (მათ შორის გოგო 1)	რაოდენობა	10%	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის	პირდაპირი მომართვიანობა	მომართვიანობის სიმცირე

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	**სოციალური უზრუნველყოფა**
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	**06 02 09**
ქვეპროგრამის დასახელება:	**საქმიანობათა ცენტრი ქედაში უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის**
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	**ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური**
ქვეპროგრამის დაფინანსების წყარო	**2027-2030 წელი**
მუნიციპალური ბიუჯეტი	**35 000**
საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება	**31 165**
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი	**66 165**

ქვეპროგრამის მიზანი

უსაფრთხო თემების ჩამოყალიბების/განვითარების ხელშეწყობა კატასტროფებისთვის მზადებით, ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობის გაზრდითა და სოციალური მხარდაჭერით

ქვეპროგრამის აღწერა

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება, როგორც ჰუმანიტარულ სფეროში მთავრობის დამხმარე ორგანიზაცია (საქართველოს კანონი „საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების შესახებ“ 15/07/2017), ემსახურება განსაცდელში ჩავარდნილი ადამიანების ხვედრის შემსუბუქებას, მათი სიცოცხლისა და ღირსების დაცვას. აღსანიშნავია, რომ დღეისათვის საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება წარმოადგენს ერთადერთ არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელსაც ქვეყნის სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის (საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის #508 დადგენილება) შესაბამისად შემდეგი ფუნქციები აქვს: მონაწილეობს სამძებრო და სამაშველო საქმიანობებში; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს კოორდინირებით ორგანიზებას უწევს საგანგებო სიტუაციის შედეგების აღმოფხვრაში ჩართული არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობებს; არის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დამხმარე რგოლი დაზარალებული მოსახლეობისათვის პირველი დახმარების უზრუნველყოფაში და საველე ჰოსპიტალის მოწყობაში; ასევე ეხმარება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაზარალებული მოსახლეობისათვის წყლისა და საკვების მიწოდებაში საგანგებო სიტუაციის დროს.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას აქვს როგორც თემებში მოწყვლადი ჯგუფების ((სკოლამდელი ასაკის ბავშვები და მოზარდები, ხანდაზმულები, ასევე იძულებით გადაადგილებული, განსაკუთრებული საჭიროებების მქონე და სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი პირები) წინაშე არსებულ გამოწვევებზე მყისიერი რეაგირების, ასევე პრევენციული ღონისძიებების განხორციელებისა და რისკების შემცირების მრავალწლიანი გამოცდილება, ცოდნა და პოტენციალი. იგი ხელს უწყობს უსაფრთხო ადგილობრივი თემების განვითარებას საერთაშორისო თუ ადგილობრივ დონეზე პარტნიორთა მობილიზებით და თთგ (თემის თანამონაწილეობით განვითარება) მიდგომის გამოყენებით, რომლის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ის ყველა დაინტერესებულ მხარეს თემის საჭიროებებზე რეაგირების პროცესში აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობას აძლევს, განსაკუთრებით ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებსა და თვით თემის წევრებს, რაც შემდგომში არის ამ პროცესის მდგრადობის წინაპირობა.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების მოხალისეთა ჯგუფი ქედაში აქტიურად ახორციელებს მოწყვლადი ჯგუფების, მათ შორის ხანდაზმულების, სოციალურ მხარდაჭერასა და თემის უნარიანობის ამაღლებაზე ორიენტირებულ საქმიანობებს. იგი ასევე მუშაობს ახალგაზრდების გაძლიერების და მოხალისეთა ინიციატივების განვითარების მიმართულებით, კვალიფიციურ მოხალისეთა ქსელის საშუალებით აწვდის სხვადასხვა სახის სერვისებს დაუცველ ჯგუფებს და აქტიურად და მჭიდროდ თანამშრომლობს ადგილობრივ ხელისუფლებასთან. სულ უფრო თვალსაჩინო და ხელშესახები ხდება სარგებელი როგორც მიზნობრივი ჯგუფებისათვის, ასევე მთლიანად თემის წევრებისათვის. სასწავლო ტრენინგ მოდულებისა და კვალიფიციური ტრენერების არსებობა საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად საშუალებას აძლევს განახორციელოს როგორც თემის წევრების სწავლება, ასევე მოახდინოს სათანადო რეაგირება საჭიროებებისა და გამოწვევების საპასუხოდ.

პროექტი საშუალებას მისცემს თემს შეისწავლოს და პრაქტიკაში გამოიყენოს ის ცოდნა და გამოცდილება, რომელსაც წითელი ჯვრის საზოგადოება გადასცემს თემის წევრებს თავის პარტნიორებთან ერთად. თემის წევრები მიღებულ ცოდნასა და გამომუშავებულ უნარ-ჩვევებზე დაყრდნობით შეძლებენ უფრო მეტად უსაფრთხო და სტაბილური თემების ჩამოყალიბებას, რომელსაც შესწევს უნარი ადგილობრივ ხელისუფლებასთან და ქედაში წითელი ჯვრის გუნდთან კოორდინირებაში მოახდინონ კატასტროფების მიმართ მოწყვლადობის რისკის შემცირება და გაუმკლავდნენ ადგილზე წარმოქმნილ სხვადასხვა ტიპის გამოწვევებს, მათ შორის covid-19-ით მიღებულ ზიანს. შეთავაზებული პროექტის განხორციელებით, საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას და მოხალისეთა ჯგუფს ქედაში შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს კატასტროფებისადმი მოწყვლადი ჯგუფების, ახალგაზრდების, ხანდაზმულების და მთლიანად თემის ჯანმრთელობისა და ცხოვრების პირობების

დასახელება	პროდუქტი		
	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი	სულ
სუბსიდია	1	35 000	35 000
ჯამი			35 000

ძირითადი პროგრამული ხარჯები	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი (ალრი)	პროექტის სრული ღირებულება	წითელი ჯვრის ფონდიდან	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან
სხვადასხვა სოციალური ღონისძიებები (ექსკურსია, შემოქმედებითი საღამოები, ღირშესანიშნავი თარიღების აღნიშვნა და სხვა)	200	3	600	0	600
გაცვლითი ვიზიტები თანამშრომლებისა და მოხალისეებისათვის	380,80	1	381	0	380,80
მოხალისეთა ინიციატივების განხორციელება საჭიროებებზე ქმედებისათვის	450	4	1 800	0	1 800
პირველი დახმარების სწავლების ტრენინგების ჩატარება სხვადსხვა მიზნობრივ ჯგუფებში (ხულოს სკოლების მასწავლებლები, მე- 10-12 კლასებში, ბავშვთა ბაღების მასწავლებლები, ავტოტრანსპორტის მძღოლები და სხვა რისკის ჯგუფები, მინიმუმ 150 ბენეფიციარი)	400	4	1 600	0	1 600
მოწყვლადი ჯგუფების ჰუმანიტარული მხარდაჭერა, მათ შორის სამედიცინო აქცია (სასტუმრო, ტრანსპორტირება, კვება და სხვა ხარჯები) დაუცველი ჯგუფებისათვის	150	100	15 000	12 000	3 000
ბინაზე მოვლის ბენეფიციართა მხარდამჭერი საქმიანობები	180	12	2 160	0	2 160
საინფორმაციო მასალა (პლაკატები, ფლაერები და სხვა)	600	2	1 200	1 200	0
ქვე ჯამი			**22 740,80**	**13 200**	**9 540,80**
სხვა პროგრამული ხარჯი					
საქმიანობათა ცენტრის აღჭურვა	392,70	2	785,40	0	785,40
ცენტრის მიმდინარე ხარჯები	120	12	1 440	0	1 440
სატრანსპორტო ხარჯები	130	12	1 560	0	1 560
საინფორმაციო მასალა (პლაკატები, ფლაერები და სხვა)	90	12	1 080	0	1 080
ქვე ჯამი			**4 865,40**	**0**	**4 865,40**
ადმინისტრაციული ხარჯები					
პროგრამების კოორდინატორი ცენტრალურ/რეგიონულ დონეზე	1 361	12	16 332	8 166	8 166

საქმიანობათა ცენტრის მენეჯერი	1 036	12	12 428	0	12 428
პროგრამების კოორდინატორი ცენტრალურ/რეგიონულ დონეზე (კატასტროფების მართვა, ჯანდაცვა და სოციალური მხარდაჭერა, პირველი დახმარება, ფილიალების განვითარება, ფინანსები და ლოჯისტიკა)	816,60	12	9 799	9 799,20	0
ქვე ჯამი			**38 559,00**	**17 965,20**	**20 593,80**
სულ ჯამი			**66 165,20**	**31 165,20**	**35 000,00**

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა				
დასახელება	I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი
საქმიანობათა ცენტრი ქედაში უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის	X	X	X	X

მოსალოდნელი შუალედური შედეგი
გაზრდილია ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობა და სოციალური მხარდაჭერა

ქვეპროგრამების დასახელება	2026 წელი გეგმა	2027 წელი პროგნოზი	2028 წელი პროგნოზი	2029 წელი პროგნოზი	2030 წელი პროგნოზი
საქმიანობათა ცენტრი ქედაში უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის	30 000	35 000	35 000	40 000	45 000

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	**მიზანი 1** - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა; **მიზანი 3** - ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა; **მიზანი 10** - შემცირებული უთანასწოროება; **მიზანი 16** - მშვიდობა, სამართლიანობა, ძლიერი ინსტიტუციები;

დამატებითი ინფორმაცია
საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას და ქედის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული თანადაფინანსების ხელშეკრულების საფუძველზე კვარტალში ერთხელ ხორციელდება სუხსიდირება მათ მიერ მოთხოვნილი წერილის საფუძველზე, ხოლო კვარტლის ბოლოს წარმოადგენს დოკუმენტაციას გაწეული მომსახურეობის შესახებ.

შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი							
	ინდიკატორის დასახელება	2026 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2027 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
გაზრდილია ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობა და სოციალური მხარდაჭერა;	ბენეფიციართა რაოდენობა	174 (მათ შორის ქალი 83, კაცი 91)	174 (მათ შორის ქალი 83, კაცი 91)	რაოდენობა	10%	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	შემოსული განცხადებების მიხედვით.	ქვეყანაში შექმნილი საგანგებო მდგომარეობა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	სოციალური უზრუნველყოფა
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	06 02 10
ქვეპროგრამის დასახელება:	სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე (ბინის ქირით უზრუნველყოფა) ფინანსური დახმარება
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური
ქვეპროგრამის დაფინანსების წყარო	2027-2030 წელი
სახელმწიფო ბიუჯეტი	1 700 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი	1 700 000

ქვეპროგრამის მიზანი

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ, სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე ბინის ქირით უზრუნველსაყოფად მატერიალური დახმარება.

ქვეპროგრამის აღწერა

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ და გადაადგილებას დაქვემდებარებულ ოჯახებზე მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან ხორციელდებოდა დროებითი საცხოვრებლის ბინის ქირის უზრუნველსაყოფად მატერიალური დახმარება. ვინაიდან, საგრძნობლად იზრდება ასეთი ოჯახების რაოდენობა, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი არასაკმარისი გახდა დაზარალებულ ოჯახებზე ბინის ქირის თანხით უზრუნველყოფა, რის გამოც საჭირო გახდა მიზნობრივი პროგრამის შემუშავება. აღნიშნული პროგრამით ისარგებლებს:

1)ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახი, რომელსაც საკუთრებაში ან მფლობელობაში გააჩნია ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სტიქიური პროცესის ზონაში მოხვედრილი საცხოვრებელი სახლი, რომლის ნაწილი ან მთლიანად დანგრეულია ნებისმიერი სტიქიური მოვლენით (მეწყერი, ღვარცოფი, კლდეზვავი, ქვათაცვენა, მდინარის, წყლის მოქმედების შედეგად ნაპირების გარეცხვა, ჯდენადი გრუნტი, თოვლ/ზვავი და სხვა) და შესაბამისი კომპეტენტური უწყებიდან გაცემული გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე ექვემდებარება ადგილმონაცვლეობას.

2)ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახი, რომლის ფლობელობაში/საკუთრებაში არსებული სახლი იმყოფება სტიქიური მოვლენების ზონაში და გეოლოგიური თვალსაზრისით საცხოვრებელი სახლების შედგომი ექსპლუატაციის მიზნით, სხვადასხვა სახის პრევენციული ღონისძიების განხორციელებამდე შესაბამისი კომპეტენტური უწყებიდან წარმოდგენილი გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე ექვემდებარება დროებით გაყვანას უსაფრთხო ადგილას.

3) ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახი, რომელსაც საკუთრებაში ან მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი სახლი დაიწვა მთლიანად ან/და ნაწილობრივ სხვადასხვა მიზეზით და მასში ცხოვრება შეუძლებელია.

4) დაუშვებელია ერთზე მეტი თვის შესაბამისი თანხის ერთდროულად გაცემა.

5) დაუშვებელია ამორტიზირებულ ფართში მცხოვრები ოჯახების დაყოფა და ცალკე-ცალკე ფართის დაქირავება კომპენსაციის დადგენილზე მეტი ოდენობის მიღების მიზნით, გარდა იმ შემთხვევისა თუ ოჯახი დაყოფილი იყო დაზარალებამდე, ეწეოდა ცალკ-ცალკე მეურნეობას და არიან ენერგომოხმარების დამოუკიდებელი აბონენტები, რაც დადასტურდება მოხსენებითი ბარათით შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლის მიერ, იმ შემთხვევაში თუ დაზიანებულ სახლში ცხოვრობს ოჯახი, რომელიც 10 ან მეტი წევრისგან შედგება (საფუძველი: სოციალურად დაუცველთა ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან ამონაწერი) საჭიროების შემთხვევაში მოხდება მათი დაყოფა და ბინის ქირის თანხა აუნაზღაურდებათ ცალკ-ცალკე.

6) დაუშვებელია ქირის თანხის გაცემა იმ ოჯახზე, სადაც რომელიმე წევრს საკუთრებაში ალტერნატიული საცხლოვრებელი ფართი გააჩნია.

დასახელება	პროდუქტი		
	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი	სულ
სხვა ხარჯები	354	4 800 12*400	1 700 000

სულ ჯამი				**1 700 000**
ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა				
დასახელება	I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი
სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე (ბინის ქირით უზრუნველყოფა) ფინანსური დახმარება	X	X	X	X
მოსალოდნელი შუალედური შედეგი				
სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახები უზრუნველყოფილი არიან ბინის ქირით				

ქვეპროგრამების დასახელება	2026 წელი გეგმა	2027 წელი პროგნოზი	2028 წელი პროგნოზი	2029 წელი პროგნოზი	2030 წელი პროგნოზი
სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე (ბინის ქირით უზრუნველყოფა) ფინანსური დახმარება	1 774 000	1 700 000	1 700 000	1 800 000	1 900 000

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	**მიზანი 1 -** სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა
დამატებითი ინფორმაცია	
პროგრამაში ჩასართავად წარმოდგენილი უნდა იქნას შემდეგი დოკუმენტაცია: 1. განცხადება დაზარალებულის მიერ მუნიციპალიტეტის მერის ან მერის მოადგილის სახელზე; 2. დაზარალებულის პირადობის მოწმობის ასლი და საბანკო რეკვიზიტი; 3. შესაბამისი კომპეტენტური უწყებიდან გაცემული გეოლოგიური დასკვნა; 4.ხანძრის შემთხვევაში შესაბამისი სამსახურიდან ცნობა; 5. სოციალურად დაუცველთა ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან ამონაწერი; ანგარიშსწორება მოხდება ყოველთვიურად, შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის წარმომდგენლის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, რომელშიც მითითებული იქნება, რომ აღნიშნული ოჯახი ნამდვილად არ ცხოვრობს დაზიანებულ სახლში. ქირის თანხის გაცემა შეწყდება შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილების მიღებიდან ორი თვის შემდეგ;	

შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი							
	ინდიკატორის დასახელება	2026 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2027 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახები უზრუნველყოფილი არიან ბინის ქირით	დახმარების მიმღები ოჯახების რაოდენობა	361	354	რაოდენობა	20%	ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	მონიტორინგი	ინფორმაციის სიმცირე

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	სოციალური უზრუნველყოფა
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	06 02 11
ქვეპროგრამის დასახელება:	მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე და მარჩენალდაკარგულ პირებზე ფინანსური დახმარება
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური
ქვეპროგრამის დაფინანსების წყარო	2027-2030 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	100 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი	100 000

ქვეპროგრამის მიზანი

მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე და მარჩენალდაკარგულ პირებზე ყოველთვიურად ფინანსური დახმარების გაწევა

ქვეპროგრამის აღწერა

საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლი ბავშვზე ზრუნვის ტვირთს ორივე მშობელს თანაბრად აკისრებს, თუმცა პირს, რომელიც მარტო (მეორე მშობლის გარეშე) ზრდის თავის არასრულწლოვან შვილ(ებ)ს, მშობლის უფლებები და ვალდებულებები მხოლოდ საკუთარ თავზე აქვს აღებული, ასევე მარჩენალის (მშობელი/მშობლები) დაკარგვის შემთხვევაში ოჯახის სოციალური მდგომარეობა უარესდება, რამიც იგულისხმება ბავშვის/ბავშვების მორალური და ფინანსური კეთილდღეობის უზრუნველყოფა.
ვინაიდან, შვილის აღზრდა–განვითარება დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული გამომდინარე აქედან, მუნიციპალიტეტის მერიამ მიზანშეწონილად მიიჩნია ასეთი კატეგორიის პირებს ყოველთვიურად გაუწიოს ფინანსური დახმარება

დასახელება	პროდუქტი		
	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი	სულ
მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირი (სოციალური უზრუნველყოფა)	4	2 400 12*200	9 600,00
მარჩენალდაკარგული (სოციალური უზრუნველყოფა)	75	1 200 12*100	90 400
სულ ჯამი			**100 000**

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი
მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე და მარჩენალდაკარგულ პირებზე ფინანსური დახმარება	X	X	X	X
მოსალოდნელი შუალედური შედეგი				
მარტოხელა მშობლები და მარჩენალდაკარგული პირები უზრუნველყოფილი არიან ფინანსური დახმარებით				

ქვეპროგრამების დასახელება	2026 წელი გეგმა	2027 წელი პროგნოზი	2028 წელი პროგნოზი	2029 წელი პროგნოზი	2030 წელი პროგნოზი
მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე და მარჩენალდაკარგულ პირებზე ფინანსური დახმარება	100 000	100 000	150 000	170 000	190 000

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	**მიზანი 1** - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა;
დამატებითი ინფორმაცია	
პროგრამით ისარგებლებს: 1) მარტოხელა მშობელი, რომელთაც ჰყავთ ქორწინების გარეშე დაბადებული 18 წლამდე ასაკის შვილი, თუ დაბადების აქტში არ არის შეტანილი ჩანაწერი ბავშვის მამის ან/დედის შესახებ, აგრეთვე პირი, რომელთაც შვილად ჰყავთ აყვანილი 18 წკლამდე ასაკის ბავშვი და რომლებიც ბავშვის შვილად აყვანის მომენტში არ იმყოფებოდნენ რეგისტრირებულ ქორწინებაში. 2) მარჩენალდაკარგული პირი - ერთ-ერთი ან ორივე გარდაცვლილი მშობლის შვილი/შვილები 18 წლამდე ასაკის მიღწევამდე. პროგრამაში ჩასართავად წარმოდგენილი უნდა იქნას შემდეგი დოკუმენტაცია: 1. ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მშობლის განცხადება მუნიციპალიტეტის მერის ან მერის მოადგილის სახელზე; 2. განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი დედანთან ერთად; 3. ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი დედანთან ერთად; 4. ცნობა მარტოხელა მშობლის სტატუსის შესახებ; 5. ცნობა სააგენტოდან, იმის შესახებ რომ სახელმწიფოს მიერ სარგებლობს მარჩენალდაკარგულის შეღავათებით; 5. განმცხადებლის საბანკო რეკვიზიტი; ანგარიშსწორება მოხდება ყოველთვიურად.	

შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი							
	ინდიკატორის დასახელება	2026 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2027 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
მარტოხელა მშობლები და მარჩენალდაკარგული პირები უზრუნველყოფილი არიან ფინანსური დახმარებით	დახმარების მიმღები პირების რაოდენობა	80 (მათ შორის ქალი80)	79 (მათ შორის ქალი80)	რაოდენობა	10%	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	შემოსული განცხადებების მიხედვით.	ინფორმაციის სიმცირე



ქედის მუნიციპალიტეტის 2027-2030 წლების საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტი

შესავალი

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარება ძირითადად ეფუძნება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პოლიტიკას, თავისუფალი ბაზრის პრინციპებს. მუნიციპალიტეტის მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს მოსახლეობის ეკონომიკურ და სოციალური პირობების გაუმჯობესებას. აღნიშნულიდან გამომდინარე ყურადღება დაეთმობა ინფრასტრუქტურის სწრაფ განვითარებას, როგორც ეკონომიკური ზრდის მასტიმულირებელ ფაქტორს.

გრძელვადიანი და მაღალი ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად, ადგილობრივი ხელისუფლება იმუშავებს ეკონომიკის სტრუქტურულ ტრანსფორმაციაზე და ეკონომიკის ფაქტორების, ასევე მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული რესურსების მაქსიმალურ ჩართვაზე ეკონომიკურ აქტივობაში.

ამასთან, აქტიურად გაგრძელდება შესაბამისი მუნიციპალური ინსტიტუტების მუშაობის ხარისხობრივი გაუმჯობესება, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანად განხორციელებას.

მუნიციპალიტეტის 2027-2030 წლების პრიორიტეტების დოკუმენტს საფუძვლად დაედო საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 34-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნათა გათვალისწინებით საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს პარლამენტში წარდგენილი ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური და ფისკალური პარამეტრების დოკუმენტი და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებული წერილი 2026 საბიუჯეტო წლის ძირითად საბიუჯეტო პარამეტრების შესახებ.

მუნიციპალიტეტის 2027-2030 წლების პრიორიტეტების დოკუმენტში ასახულია ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ, მუნიციპალიტეტის შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებელი 2027-2030 წლებისთვის, 2025 წლის და მიმდინარე 2026 წლის 9 თვის ბიუჯეტის შესრულების მონაცემები და მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში. დაგეგმილია მუნიციპალიტეტის კომპეტენციის სფეროში/დარგში/მიმართულებაში ქალისა და მამაკაცის თანასწორობის პრინციპების და ბავშვთა დაცვის საკითხების გათვალისწინება.

თავი I. ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ

ქედის მუნიციპალიტეტი როგორც ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული შედის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შემადგენლობაში.



ქედის მუნიციპალიტეტი მდებარეობს მდინარე აჭარისწყლის შუა წელზე. ჩრდილოეთით 38 კმ. სიგრძეზე ქობულეთი ესაზღვრება, აღმოსავლეთით 24 კმ. სიგრძეზე შუახევი, დასავლეთით 24 კმ. სიგრძეზე ხელვაჩაური, სამხრეთით კი თურქეთის 17 კილომეტრიანი საზღვარი აკრავს. ქედის რაიონს სამხრეთით მიუყვება შავშეთის ქედი, ჩრდილო-აღმოსავლეთით მესხეთის ქედი, ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით ქობულეთის ქედი.

მუნიციპალიტეტის საერთო ფართობი 452 კვ კმ-ია. ადმინისტრაციული ცენტრი დაბა ქედაა, რომელიც ზღვის დონიდან 200 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. ყველაზე მაღალი მწვერვალია ყანლი (2987 მეტრი). მუნიციპალიტეტში 664,2 კმ. ადგილობრივი მნიშვნელობის გზებია, რომლებიც აკავშირებენ თემისა და სოფლის ცენტრებს ცენტრალურ საავტომობილო გზასთან და სოფლების ცალკეულ უბნებთან. შიდა უბნებთან დამაკავშირებელი გზების 80% ბეტონირებულია და ეტაპობრივად მიმდინარეობს დარჩენილი ნაწილის ბეტონირება. გზებზე მდინარეების გადაკვეთებზე თანამედროვე სტანდარტებით აგებულია გადასასვლელი ხიდები.

ქედის მუნიციპალიტეტის უახლესი აეროპორტიდან (ალექსანდრე ქართველის ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი) დაშორებულია 39,9 კმ-ით, ხოლო ბათუმის რკინიგზის სადგურამდე - 45,4 კმ-ით

მუნიციპალიტეტში 1 დაბა და 64 სოფელია, სულ 10 ადმინისტრაციული ერთეული.

2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოსახლეობის რაოდენობა 16 299 (2024 წლის აღწერის წინასწარი მონაცემებით) ადამიანია, მათ შორის დაბაში ცხოვრობს 1055 მოქალაქე, ხოლო სასოფლო დასახლებებში - 15 244. 2024 წელს მუნიციპალიტეტში 183 ბავშვი დაიბადა (მათ შორის 96 ბიჭი, 87 გოგო). შობადობის ზოგადი კოეფიციენტი (მოსახლეობის 1 000 კაცზე) არის 11.2, ხოლო მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი (მოსახლეობის 1 000 კაცზე) 8.7, ბუნებრივი მატება 41.0; 2024 წელს გარდაიცვალა 142 ადამიანი (მათ შორის 75 კაცი, 67 ქალი).

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 1 სახელოვნებო სკოლა, 1 სასპორტო სკოლა და 29 საჯარო სკოლა, მათ შორის 18 საშუალო, 8 საბაზო და 3 დაწყებითი საჯარო სკოლა სულ 1847 მოსწავლე.



ბუნება მდინარე აჭარისწყლის გასწვრივ ხმელთაშუა ზღვის ტიპის მსგავსი სუპტროპიკული ჰავაა. სიმაღლის მატების შესაბამისად ჰავა ნოტიო ხდება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ძირითადად ორი ნიადაგური ზონაა: მთა-ტყისა და მთა-მდელოს ნიადაგები. მდიდარი და მრავალფეროვანია მცენარეული საფარი. ძირითადად გავრცელებულია ფოთლოვანი და მცირე რაოდენობით წიწვოვანი მცენარეები. მრავალფეროვანია ცხოველთა სამყარო. სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგებია მეხილეობა, მევენახეობა, მემცენარეობა, მებოსტნეობა, მეფუტკრეობა. განვითარებულია საკალმახე მეურნეობა (ოქტომბერი, აგარა, წონიარისი, ცხმორისი).

ქედა გამოირჩევა ყურძნის უნიკალური ჯიშებით. რაიონში წარმოებული ღვინოები „ქედის ცოლიკოური“ და „ჩხავერი“ დიდი პოპულარობით სარგებლობს.

მუნიციპალიტეტი მდიდარია სხვადასხვა ბუნებრივი წიაღისეულით – სპილენძისა და ოქროს საბადოებით (მერისი, ვაიო). სამკურნალო და მინერალური წყლებიდან აღიარებულია „კოკოტაურისა“ და „გუნდაურის“ წყლები. „კოკოტაურს“ მინიჭებული აქვს საერთაშორისო სერთიფიკატი.

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე 2026 წლის 9 თვის ბიუჯეტით დაგეგმილი იყო 4 490.522 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 4 341.799 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 96.69%. ამ დარგში გაერთიანებულია ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფის, ფინანსური და ფისკალური საქმიანობის (სარეზერვო ფონდი), ვალის მომსახურებასთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯები, საერთო დანიშნულების სხვა მომსახურების, წინა პერიოდის დავალიანებების დაფარვის (მათ შორის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების) ხარჯები. მისი ხვედრითი წილი საერთო საკასო ხარჯებში შეადგენს 21.24%-ს.

ეკონომიკური საქმიანობისთვის დაგეგმილი იყო 1 677.300 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 789.816 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 47.09%. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 3.86%-ს. აღნიშნული სფერო მოიცავს სოფლის მეურნეობის, საავტომობილო ტრანსპორტი და გზების რეაბილიტაცია და კაპიტალური მშენებლობისა და შპს ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრის ფუნქციონირებას.

გარემოს დაცვაზე გათვალისწინებული იყო 1 590.600 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 1 573.998 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 98.96%. ამ სფეროში გაერთიანებულია მუნიციპალიტეტის დასუფთავება და ნარჩენების გატანის ღონისძიებები. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში 7.70%-ია.

საბინაო-კომუნალურ მეურნეობაზე გამოყოფილი სახსრების გეგმა, რომელშიც შედის კომუნალური მეურნეობის განვითარება, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის

შედგენის და ექსპერტიზის, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების, წყლის სისტემების რეაბილიტაციის, გარე განათების ქსელის განვითარება და მოვლა-პატრონობის, მესამე კვარტლის გეგმა შეადგენს 3 968.080 ათას ლარს, ფაქტიურმა ხარჯებმა 1 893.996 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 47.73%-ია. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 9.26%-ს.

ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსების მიზნით განსაზღვრული იყო 1 039.160 ათასი ლარი, გაწეული საკასო ხარჯი შეადგენს 979.482 ათას ლარს, რაც დაგეგმილის 94.26%-ია. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 4.79%-ს. მასში გაერთიანებულია მოწყვლადი სოციალური ჯგუფების მქონე პირთა მედიკამენტებითა უზრუნველყოფის, სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურეობის, თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთათვის, ოპერაციული მკურნალობის თანადაფინანსების, ქრონიკული დაავადებების სამკურნალო სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამის, შშმ პირთა პერსონალური ასისტენტის მომსახურების ხარჯები.

დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროსთვის გამოყოფილი სახსრების გეგმა შეადგენდა 5 018.020 ათას ლარს, ფაქტიურმა ხარჯებმა 4 240.745 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 84.51%-ია. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 20.74%-ს. ამ სეროში გაერთიანებულია სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერის, სპორტული მოედნების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და მშენებლობის, სასპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობის და რეაბილიტაციის, სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერის, ა(ა)იპ ქედის კულტურის ცენტრის, ა(ა)იპ ქედის ისტორიული მუზეუმის, კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, მხარდაჭერა და ხელშეწყობის, ინტელექტუალურის და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა.

განათლების სფეროზე გათვალისწინებული იყო 4 203.317 ათასი ლარი, საკასო შესრულება შეადგენს 3 873.852 ათას ლარს, ანუ გეგმის 92.16%-ს. ამ დარგში გაერთიანებულია სკოლამდელი აღზრდა და განათლების, ერთიან ეროვნულ გამოცდებში საუკეთესო შეფასების მქონე სტუდენტების ფულადი ჯილდოთი წახალისების, ა.ა.(ი)პ. ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების, ა.ა.(ი).პ ქედის სასპორტო სკოლის, ა.ა.(ი).პ ქედის სახელოვნებო სკოლის ხარჯები. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 18.95%-ს.

სოციალურ დაცვაზე დაგეგმილი იყო 3 135.459 ათასი ლარი, ფაქტიურად გახარჯულ იქნა 2 750.848 ათასი ლარი, რაც გეგმის 87.73%-ია. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 13.46%-ს. იგი მოიცავს სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური, ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფის, ვეტერანთა უკვდავყოფის, სარიტუალო მომსახურების, სადღესასწაულო დღეების ორგანიზება და დახმარების, ოთხ და მეტ შვილიან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ბავშვები) ერთჯერადი მატერიალური დახმარების, გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დასაფლავებისთვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების, ჰემოდიალიზის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა მგზავრობის ხელშეწყობის, სამედიცინო და სოციალური რებილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბავშვთა აბილიტაცია-რებილიტაციის

კურსებზე მგზავრობის ხელშეწყობის, ძველი საცხოვრებელი სახლების მქონე ოჯახებზე ახალი საცხოვრებელი სახლით შეცვლის პროგრამის, შშმ პირთა მოვლის საჭიროებისათვის ფინანსური დახმარებით უზრუნველყოფის, 0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებზე სპეციალური სამკურნალო კვების პროდუქტების შესაძენად ფინანსური დახმარების, საქმიანობათა ცენტრი ქედაში უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის, სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე (ბინის ქირით უზრუნველყოფა) ფინანსური დახმარების, მარტოხელა სტატუსის მქონე პირებზე ფინანსური დახმარების, ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშემწყობი სერვისების თანადაფინანსების, ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამის, სტიქიისა და უბედური შემთხვევების შედეგათ დაზარალებული მოსახლეობის ერთჯერადი ფინანსური დახმარების ხარჯებს.

ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები

ეკონომიკურ ჭრილში

ქედის მუნიციპალიტეტის 2026 წლის 9 თვის ბიუჯეტის გადასახდელებს

ეკონომიკურ ჭრილში აქვს შემდეგი სახე:

№	დასახელება	2026 წლის გეგმა	**2026** წლის 9 თვე			
			გეგმა	საკასო შესრულება	შესრუ-ლების %	%-ლი წილი
1	შრომის ანაზღაურება	**9 551 664**	7 337 634	7 134 459	97,2%	34,87%
2	საქონელი და მომსახურება	**4 899 768**	3 567 558	3 190 322	89,4%	15,59%
3	პროცენტი	**1 500**	1 000	576	57,6%	0,003%
4	სუბსიდიები	**4 453 180**	3 372 060	3 152 577	93,5%	15,41%
6	სოციალური უზრუნველყოფა	**1 986 118**	1 583 400	1 498 280	94,6%	7,32%
7	სხვა ხარჯები	**3 745 741**	2 978 359	2 584 984	86,8%	12,64%
8	არაფინანსური აქტივები	**10 584 767**	6 282 447	2 883 339	45,9%	14,09%

9	ვალდებულებები	**14 400**	13 400	13 393	99,9%	0,07%
გადასახდელების ჯამი		**35 237 138**	25 135 858	20 457 930	81,4%	0,0%

შრომის ანაზღაურებაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 7 134.459 ათას ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან ასიგნებებში არის 34.87%;

საქონელზე და მომსახურებაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 3 190.322 ათასი ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში არის 15.59%;

პროცენტების დაფარვის ხარჯებმა შეადგინა 0.576 ათასი ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში არის 0.003%;


სუბსიდიების სახით გაწეული ხარჯი შეადგენს 3 152.577 ათას ლარს, მისი ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში არის 15.41%;

სოციალურ უზრუნველყოფაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 1 498.280 ათასი ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში არის 7.32%;

სხვა ხარჯებზე გაიხარჯა 2 584.984 ათასი ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში არის 12.64%;

არაფინანსური აქტივების ზრდამ შეადგინა 2 883.339 ათასი ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში არის 14.09%;

ვალდებულებების კლებაზე მიიმართა 13.393 ათასი ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში არის 0.07%;



ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები

პროგრამულ ჭრილში


პროგრამულ ჭრილში ქედის მუნიციპალიტეტის 2026 წლის 6 თვის

ბიუჯეტის ხარჯებს შემდეგი სახე აქვს:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა	2026 წლის გეგმა	2026 წლის 9 თვე		
			გეგმა	საკასო შესრულება	შესრულების %
1	**ქედის მუნიციპალიტეტი**	**35 237 138**	**25 135 858**	**20 457 930**	81,39%
01 00	**მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები**	**6 483 764**	**4 503 922**	**4 355 192**	96,70%
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	6 327 882	4 449 522	4 320 223	97,09%
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	155 882	54 400	34 969	64,28%

02 00	**ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება**	**8 679 000**	**5 645 380**	**2 683 812**	47,54%
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	1 544 400	1 182 100	377 854	31,96%
02 02	საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის და სერვისების განვითარება	1 484 300	1 152 800	737 337	63,96%
02 02 01	წყლის სიტემების რეაბილიტაცია და ახლის მშენებლობა	656 200	514 200	137 172	26,68%
02 02 02	შპს ქედის წყალკანალი	828 100	638 600	600 166	93,98%
02 03	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	3 261 900	1 643 780	643 078	39,12%
02 03 01	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი	575 000	214 400	212 497	99,11%
02 03 02	ნაპირსმაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	1 946 600	977 400	68 656	7,02%
02 03 03	პარკების, სკვერების, ატრაქციონების, ბილბორდების, ქუჩებისა და დასახლებული ტერიტორიების კეთილმოწყობა და მოვლა შენახვა	740 300	451 980	361 925	80,08%
02 04	მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, სარეგისტრაციო, ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯები	269 300	129 500	58 607	45,26%
02 05	სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა	17 000	0	0	#DIV/0!
02 06	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	750 000	400 000	338 090	84,52%

02 07	საცხოვრებელ და არასაცხოვრებელ შენობა-ნაგებობებში ელექტრო მეურნეობის აღდგენა	15 000	12 000	6 700	55,83%
02 08	შპს ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი	707 100	495 200	411 962	83,19%
02 09	მთა ტბათში ელექტრო-გადამცემი ხაზის მოწყობა	630 000	630 000	110 183	17,49%
03 00	**დასუფთავება და გარემოს დაცვა**	**2 099 700**	**1 590 600**	**1 573 998**	98,96%
03 01	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასუფთავებისა და გარემოს დაცვის სფეროში	2 099 700	1 590 600	1 573 998	98,96%
04 00	**განათლება**	**3 883 517**	**3 124 817**	**2 853 969**	91,33%
04 01	სკოლამდელი აღზრდა და განათლება	3 764 000	3 020 800	2 765 052	91,53%
04 02	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	119 517	104 017	88 917	85,48%
05 00	**კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი**	**9 086 700**	**6 096 520**	**5 260 628**	86,29%
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	1 845 300	1 521 200	1 358 731	89,32%
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	7 241 400	4 575 320	3 901 898	85,28%
06 00	**ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**	**5 004 457**	**4 174 619**	**3 730 329**	89,36%
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	1 237 680	1 039 160	979 482	94,26%
06 02	სოციალური უზრუნველყოფა	3 766 777	3 135 459	2 750 848	87,73%



ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მოქმედი საბიუჯეტო კანონმდებლობის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტში შეიქმნა სარეზერვო ფონდი 250.0 ათასი ლარის ოდენობით, რაც ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმიური მაჩვენებლის 0.71%-ს შეადგენს. სარეზერვო ფონდიდან სახსრები მიიმართებოდა იმ ღონისძიებების დასაფინანსებლად, რომელიც არ იყო გათვალისწინებული დამტკიცებულ ბიუჯეტში.

2026 წლის 9 თვეში სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრების მოცულობამ 109 664.17 ლარი შეადგინა.

ქედის მუნიციპალიტეტის 2027-2030 წლების საშუალოვადიანი პრიორიტეტები

პრიორიტეტის დასახელება: ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება

პრიორიტეტის დასაბუთება:

მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის და მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ განმსაზღვრელ წინაპირობას მუნიციპალური და კომუნალური მომსახურების ხარისხი წარმოადგენს, რაც უშუალო კავშირშია მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომ გაუმჯობესებასთან. „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით, მუნიციპალიტეტის ექსკლუზიური უფლებამოსილებების მნიშვნელოვანი ნაწილი ინფრასტრუქტურულ საკითხებს უკავშირდება. შესაბამისად მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისი მუნიციპალური და კომუნალური მომსახურების ინფრასტრუქტურის განვითარება და მართვის მდგრადი სისტემის დანერგვა, რომელიც სრულად დააკმაყოფილებს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მოთხოვნილებებს, უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს წარმოადგენს.

ქედის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტი და 2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი მოქალაქეთა ჩართულობის სხვადასხვა ფორმების გამოყენებით შემუშავდა. საჭიროებათა იდენტიფიცირებისა და პრიორიტეტიზაციის მიზნით ჩატარდა ფოკუს-ჯგუფები, სამუშაო შეხვედრები და რაოდენობრივი გამოკითხვა. ბიუჯეტის შემუშავების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის პრაქტიკის გაუმჯობესებაში ქედის მუნიციპალიტეტს ტექნიკური მხარდაჭერა გაუწია გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტმა „სოფლის განვითარების გაუმჯობესება საქართველოში“, რომელიც ევროკავშირის (EU) პარტნიორია საქართველოში სოფლის განვითარების მხარდაჭერის საქმეში.

პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავების პროცესში მოქალაქეთა საჭიროებების გამოკვეთის მიზნით მაისის თვეში ჩატარდა 5 ფოკუს-ჯგუფი, რომლებზეც მოწვეული იყვნენ მოქალაქეები ქედის მუნიციპალიტეტის ათივე ადმინისტრაციული ერთეულის სხვადასხვა სოფლებიდან. ფოკუს-ჯგუფებში მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივმა სათემო აქტივისტებმა, LAG-ის წარმომადგენლებმა, ადგილობრივმა ფერმერებმა, სკოლის პედაგოგებმა, შშმ პირებმა, ახალგაზრდებმა და სხვა დაინტერესებულმა პირებმა.

ფოკუს-ჯგუფების შემდეგ გაიმართა სამუშაო შეხვედრა-დისკუსია, სადაც მოწვეული იყვნენ ხუთივე ფოკუს-ჯგუფის აქტიური მონაწილეები. შეხვედრაზე იმსჯელეს დაბა ქედასა და სოფლებში არსებულ გამოწვევებზე და გამოკვეთეს ის პრიორიტეტული საკითხები, რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვანი იქნებოდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

ფოკუს-ჯგუფებისა და სამუშაო შეხვედრის შემდეგ მომზადდა მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებული პრობლემების ჩამონათვალი: შიდა გზების მოწესრიგება; საინიაღვრე სისტემების მოწესრიგება; საგზაო მოძრაობის მოწესრიგება (სკოლებთან და ბაღებთან) და დამცავი ბარიერები; ტროტუარების მოწესრიგება გზების უხვი ნალექისგან გაწმენდა; გარე განათება; მუნიციპალური ტრანსპორტი; სასმელი წყლის მიწოდების გაუმჯობესება; სარწყავი სისტემის მოწესრიგება; საბავშვო-გასართობი ინფრასტრუქტურის შექმენა; სპორტულ-განაჯანსაღებელი ობიექტების მოწყობა: საცურაო აუზი, ტრენაჟორები, სპროტული მოედნები; კანალიზაციის მოწყობა; დასუფთავების სერვისის გაუმჯობესება; სოფლებში საბავშვო ბაღების აშენება; სკოლისგარეშე განათლების ცენტრების ფუნქციონირება; ბაზრები/ბაზრობები და გამოფენა-გაყიდვების ორგანიზება; კულტურულ-საგანმანათლებლო ობიექტების (ბიბლიოთეკა, კულტურის ცენტრები, თეატრი და სხვა) ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება; შეკრებისთვის თავისუფალი სივრცეების მოწყობა, მთების ელექტროფიკაცია და სხვა.

პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით ასევე მოხდა მოსახლეობის გამოკითხვის ჩატარება, რისთვისაც მომზადდა რაოდენობრივი კვლევის კითხვარი. განხორციელდა პირისპირ გამოკითხვა მუნიციპალიტეტის ათივე ადმინსტრაციულ ერთეულში, რომელშიც მონაწილეობა 150-მა მოქალაქემ მიიღო.

კვლევის მონაწილეთა მიერ სამ ყველაზე პრიორიტეტულ საკითხად დასახელდა: ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, დასაქმების ხელშეწყობა და ეკონომიკური განვითარება და მოსახლეობისთვის სოციალური და ჯანდაცვის სერვისების მიწოდება.

გამოკითხულთა აზრით, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისთვის კი მნიშვნელოვანია სოფლებში შიდა საუბნო გზების მოწესრიგება, გარე განათების მოწყობა, წყალმომარაგების სისტემის გაუმჯობესება, სანიაღვრე არხებისა და ფერდსამაგრი კედლების მოწყობა.
მუნიციპალიტეტის მხრიდან ბოლო წლებში ჯეროვანი ყურადღება ექცევა სოფლებში საგზაო ინფრასტრუქტურისა და განვითარების საკითხებს. რეაბილიტაცია ჩაუტარდა 6 ლოკაციაზე საავტომობილო გზებს კერძოდ: სოფელ აქუცა ვაიოს დამაკავშირებელ საავტომობილო გზას, აიგო მდინარე აჭარისყალზე აქუცის ხიდი, დაბა ქედაში რეაბილიტირებულია ეგრეთწოდებული სამრეწველო გზა, სოფელ ჩეტკიძეებში ბერიძეების უბნის საავტომობილო გზაზე მოეწყო ხიდბოგირი და რეაბილიტირებულია სავალი ნაწილი. სოფელ ვარჯანისში ბაიძეების უბნის საავტომობილო გზა და სხვა... 2025 წელში საუბნო-საავტომობილო გზებზე ბეტონის საფარი მოეწყო 4300 გრძივ მეტრზე, 28 ლოკაციაზე განხორციელდა ფერდსამაგრი კედლების მოწყობა, საყრდები კედლების მშენებლობა, სანიაღვრე და საწრეტი არხების მოწყობა, მილხიდების მშენებლობა, გზების რეაბილიტაცია და ბეტონის საფარით დაფარვა.

მუნიციპალიტეტის სოფლების გეოგრაფიულ-რელიეფური მდებარეობის გამო, წლების განმავლობაში ვითარდება მეწყრული პროცესები, რომელთა გააქტიურების პირობებში საფრთხე ექმნება საცხოვრებელ სახლებსა და ინფრასტრუქტურას. გეოლოგიური შესწავლისა და დასკვნების საფუძველზე ჩატარებული საპროექტო სამუშაოების გათვალისწინებით განხორციელდა ღონისძიებები, რომლებიც მიმართული იყო მეწყერის რისკის შემცირებისა და მის შედეგად გამოწვეული ზარალის თავიდან აცილებისაკენ. უკანასკნელ წლებში მუნიციპალიტეტის 60-მდე სოფელში განხორციელდა 272 პროექტი მეწყერული პროცესების შეჩერებისა და პრევენციის მიზნით. განხორციელებული პროექტების ამოქმედებით მოეწყო ფერდსამაგრი კედლები, სანიაღვრე არხები და მილხიდები, ასევე დაბა ქედაში მდინარების აკავრეთასა და აჭარისწყლის სანაპიროებზე მოეწყო რკინა ბეტონის ჯებირები 975 ზე მეტი გრძივი მეტრი, რითაც დაბის დასახლება და ინფრასტრუქტურა დაცული იქნა წყალმოვარდნის საფრთხისაგან, რაც გასულ წლებში სერიოზულ საფრთხეს შეადგენდა. 2025 წელს განხორციელდა 7 პროექტი მუნიციპალიტეტის სოფლებში მეწყერული პროცესების რისკების აღმოსაფხვრელად. ანალოგიური საფრთხეებისათვის სამომავლოდ მიმდინარეობს საკითხების პერიოდულად შესწავლა და შესაბამისი სამუშაოების ჩატარება.

დამეწყრილი ტერიტორიებიდან მოსახლეობის უსაფრთხოების მიზნით, მათი ახალი საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილებისათვის აშენდა ორი მრავალბინიანი სახლი 32 ეკომიგრანტი ოჯახისათვის.

ქედის მუნიციპალიტეტში ცხოვრობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კატეგორია, რომელთა საცხოვრებელი სახლები სიძველის გამო ამორტიზირებულია და საცხოვრებლად საფრთხეს წარმოადგენს. ბოლო წლებში სხვადასხვა სოფლებში 22 ოჯახისათვის აშენდა ინდივიდუალური ტიპიური საცხოვრებელი სახლები. ასევე, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ეფექტური მხარდაჭერის, საცხოვრებელი გარემოს სტანდარტების ამაღლების, საცხოვრებელი შენობების უსაფრთხოებისა და კომფორტის გაუმჯობესების მიზნით, ბოლო წლებში განხორციელდა 7 მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში შენობების ფასადების მოპირკეთება, სახურავის რეაბილიტაცია, სადარბაზოების კეთილმოწყობა და სხვა.

ელექტროენერგიის მიწოდების ხარისხის გაუმჯობესების, ქსელის გამართულად ფუნქციონირების უზრუნველყოფის, მოსახლეობისა და ობიექტების უსაფრთხო

ელექტრომომარაგების მიზნით, ორ ლოკაციაზე 2025 წელში გომის მთისა და პირველი მაისის მთა ,,ტბათში“ აშენდა და რეაბილიტაცია ჩაუტარდა ელექტრო გადამცემ ხაზებს. ახალი ხაზების გაშლის შედეგად სოფლის მეურნეობის ფერმერები და მოსახლეობა იღებენ უწყვეტ ელექტრო ენერგიას.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია დაბასა და სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის ბიოლოგიურად სუფთა, უწყვეტი რეჟიმით წყალმომარაგების გადაწყვეტა. უკანასკნელი 7 წლის მანძილზე 26 სოფელში მოეწყო ახალი წყლის მაგისტრალი, რითაც წყლით უზრუნველყოფის საკითხი გაუუმჯობესდა 900-ზე მეტ აბონენტს. დაბის წყალმომარაგების ქსელისათვის აშენდა 500 ტონიანი სამარაგო ავზი და დამონტაჟდა მექანიკური და ქიმიური გამწმენდი საშუალებები, რითაც მიღებულია დაბის მცხოვრებთა და საწარმოების უწყვეტი წყალმომარაგება. გატარებული ღონისძიებებით მიღწეული იქნა შედეგი, რომ ლაბორატორიული კვლევის შედეგად დაბინძურების ფაქტები მინიმუმამდე შემცირდა.

სამომავლოდ იგეგმება წყლის მომხმარებელი აბონენტების გამრიცხველიანება, ასევე ადრე აგებული წყლის მაგისტრალების სარეაბილიტაციო სამუშაოები: მილების ამოცვლა, სამარაგო ავზების რემონტი და მფილტრავი დანადგარების დაყენება. წყლის სისტემებისა და გამწმენდი ნაგებობის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაგეგმილია დაბა ქედის ღარათის წყალსადენზე. ასევე, ახალი წყლის სისტემის მშენებლობა დაგეგმილია სოფელ , ვაიოში, მილისში,ტიბეთაში, ნამლისევში და აქუცაში.

პარალელურად თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მოეწყო საკანალიზაციო სისტემები გამწმენდი ნაგებობები დაბა ქედაში, აწჰესის დასახლებაში, ზვარის, ცხმორისის და მახუნცეთის თემებში. შედეგად მიღწეულია მოხმარებული წყლების გაუვნებელყოფა. სამომავლოდ იგეგმება გამწმენდ ნაგებობებზე წყლის ქიმიური დამუშავებისათვის საქლორატოროებით აღჭურვა.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარემოს დაბინძურების თავიდან აცილებისა და ნარჩენების მართვის კუთხით მნიშვნელოვანი ღონისძიებებია გატარებული ბოლო წლებში. ნარჩენების შეგროვება ხდებოდა მხოლოდ 10 თემის ცენტრებიდან. სოფლის დასახლებებში ნარჩენების გადაყრა ხდებოდა თვითნებურად შექმნილ ნაგავსაყრელებსა და მდინარეების ნაპირებზე. დღეისათვის მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში ორგანიზებულია ნარჩენების შეგროვებისა და გატანის პროცესები, რისთვისაც ადგილობრივი ბიუჯეტით ბოლო წლებში შეძენილ იქნა 3 მაღალი გამავლობის ნაგავმზიდი და 600-ზე მეტი ნაგავშემკრები კონტეინერი. მიღწეულია შედეგი, რომ თავიდან იქნას აცილებული გარემოს მოსალოდნელი დაბინძურების ფაქტები, მუნიციპალიტეტის სოფლებში 95 პროცენტამდე მოსახლეობისგან ორგანიზებულად ხდება ნარჩენების შეგროვება და გადატვირთვა. მინიმუმამდე შემცირდა უკანონო ნაგავსაყრელების გამოვლენა.

დაბასა და სოფლებში სხვა ინფრასრუქტურულ ღონისძიებების განხორციელებასთან ერთად გეგმიურად მიმდინარეობს გარე-განათების ქსელი გაფართოება. 2018-ი წლიდან დღემდე სხვადასხვა სოფლებსა და დაბის ცენტრში 800-მდე ლოკაციაზე მოეწყო გარე-განათების სისტემები, სულ 2700 ზე მეტი ერთეული. 2025 წელს გარე-განათების ქსელს დაემატა 751 ერთეული. აღნიშნული მიმართულებით სამომავლოდაც იგეგმება ქსელის გაფართოება.

2018-2025 წლებში ქუჩების და თემის ცენტრების კეთილმოწყობისათვის განხორციელებული იქნა მნიშვნელოვანი პროექტები. დაბა ქედაში სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა გოგებაშვილის, აბაშიძის, 26 მაისის, თამარ მეფის, სახოკიას და წერეთლის ქუჩებს. 10 თემის ცენტრებსა და სოფლებში მოეწყო თავშეყრის ადგილები, სანიაღვრეები, დამცავი კედლები და საცალფეხო ბილიკები. მოწესრიგდა დაბა ქედის ცენტრში კიბე, საცალფეხო ბილიკები სოფელ ქვედა ბზუბზუსა და სოფელ ზენდიდში. მოეწყო დასასვენებელი პარკი ზვარის თემის ცენტრში

და 9 პრილის ქუჩაზე. რეაბილიტაცია ჩაუტარდა და გაფართოვდა დაბა ქედის ცენტრალური პარკი, სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა რუსთაველის და აღმაშენებლის ქუჩებზე არსებულ სკვერებს.

მნიშვნელოვანი პროექტები განხორციელდა დაბასა და სოფლებში სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების მშენებლობისათვის. ბოლო 6 წელიწადში აშენდა ცხრა ახალი სპორტული მოედანი დაბა ქედაში ტბელ აბუსერიძის ქუჩაზე, ზედა მახუნცეთში, სოფელ ხარაულაში, კვაშტაში. რეაბილიტაცია ჩაუტარდა სოფელ ცხმორისის, ახოს, წონიარისის, ნამლისევის, ვაიოს, ზუნდაგის, გოგიაშვილების, პირველი მაისის, ძენწმანის, გულების, მახუნცეთის თემის ცენტრის, უჩხითის, კოლოტაურის, ხარაულის, აქუცისა და დაბა ქედაში 9 აპრილის ქუჩაზე არსებულ მინი სპორტულ მოედნებს. ასევე, სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა დაბა ქედაში საფეხბურთო სტადიონს.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ქსელის გაფართოებისა და მოზარდთა აღზრდა-განათლების მიზნით განხორციელდა მნიშვნელოვანი პროექტები. რეაბილიტაცია ჩაუტარდა 6 ბაგა-ბაღის შენობას. დაბასა და სოფლებში. მიღწეულია შედეგი, რომ სკოლამდელი ასაკის ბავშვთა აბსოლუტური უმრავლესობა ჩაბმულია სწავლებაში.

დაბისა და სოფლების მოსახლეობის კულტურული მომსახურების გაუმჯობესების მიზნით უკანასკნელ წლებში განხორციელდა 9 პროექტი, ახალი კულტურული ობიექტების მშენებლობისა და არსებული ობიექტების რეაბილიტაციის მიზნით. ახალი კლუბის შენობა აშენდა სოფელ პირველ მაისში, მეძიბნაში, ზვარეში, მახუნცეთში, რეაბილიტაცია ჩაუტარდა ცხმორისის კულტურის სახლს. აშენდა ახალი შენობა ფრიდონ ხალვაშის სახლ-მუზეუმისათვის. დაბა ქედაში აშენდა ხანდაზმულთა კლუბის შენობა. რეაბილიტაცია უტარდება დაბა ქედის კულტურის სახლის შენობას. ასევე, მიმდინარე წელში იგეგმება წონიარისის კულტურის სახლის მშენებლობა.

არსებითად მნიშვნელოვანია, მუნიციპალური ინფრასტრუქტურისა და მომსახურების განვითარების პროცესში, სრულად უნდა იყოს გათვალისწინებული ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის (მ.შ. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების) საჭიროებები. ასევე, მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ტურისტების საჭიროებებზე ადაპტირებული მუნიციპალური ინფრასტრუქტურისა და სერვისების განვითარება.

პრიორიტეტის საშუალოვადიანი მიზანი:

- საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, მუნიციპალიტეტში მდგრადი კომუნალური სისტემის შექმნა, კეთილმოწყობის ღონისძიებების სრულყოფილად და ეფექტურად განხორციელება, ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;
- ეფექტური და მოთხოვნაზე ორიენტირებული მუნიციპალური სერვისების განვითარება;

სამოქმედო გეგმა:

პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი პროგრამების განხორციელება:

- საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება;
- საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის და სერვისების განვითარება;
- მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები.
- მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, სარეგისტრაციო, ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯები;
- სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა;

- საცხოვრებელ და არასაცხოვრებელი შენობა ნაგებობებში ელექტრო მეურნეობის აღდგენა;
- შ.პ.ს. ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი;

ცხრილი №1
(ათას ლარებში)

N	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2025 წლის ფაქტი	2026 წლის გეგმა	2027 წლის პროექტი	2028 წლის პროექტი	2029 წლის პროექტი	2030 წლის პროექტი
02 00	**ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება**	**8 084,1**	**8 679,0**	**11 916,9**	**7 505,6**	**7 271,2**	**9 499,9**
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	2 519,2	1 544,4	2 033,8	1 744,1	1 988,9	2 030,2
02 02	საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის და სერვისების განვითარება	1 627,3	1 484,3	1 985,3	1 860,4	2 162,1	2 805,9
02 02 01	წყლის სიტემების რეაბილიტაცია და ახლის მშენებლობა	784,213	656,2	1 097,0	800,0	1 000,0	1 500,0
02 02 02	შპს ქედის წყალკანალი	843,062	828,1	888,3	1 060,4	1 162,1	1 305,9
02 03	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	1 525,4	3 261,9	5 200,0	2 420,0	1 530,0	2 900,0
02 03 01	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი	733,6	575,0	2 700,0	1 800,0	900,0	900,0
02 03 02	ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	458,0	1 946,6	500,0	500,0	500,0	500,0
02 03 03	პარკების, სკვერების, ატრაქციონების, ბილბორდების, ქუჩებისა და დასახლებული ტერიტორიების კეთილმოწყობა და მოვლა შენახვა	333,8	740,3	2 000,0	120,0	130,0	1 500,0
02 04	მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, სარეგისტრაციო, ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯები	381,5	269,3	460,0	430,0	435,0	440,0
02 05	სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა	0	17,0	8,0	16,0	20,0	23,0

02 06	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	670,8	750,0	0	0	0	0
02 07	საცხოვრებელ და არასაცხოვრებელ შენობა-ნაგებობებში ელექტრო მეურნეობის აღდგენა	12,8	15,0	10,0	20,0	0,0	0,0
02 08	შპს ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი	556,8	707,1	719,8	1 025,1	1 125,2	1 290,8
02 09	ქედის მუნიციპალიტეტში გარე განათებისა და ელექტროგადამცემი ქსელების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	0	0	1 000,0	0	0	0
02 10	მერისის სამთო იალაღებზე ელექტრო-გადამცემი ხაზის მშენებლობა	0	0	500,0	0	0	0
02 11	მთა ,,ტბათში'' ელექტრო-გადამცემი ხაზის მოწყობა	250,0	630,0	0	0	0	0
02 11	,,გომის'' მთის ელექტრო-გადამცემი ხაზის მოწყობა	540,4	0	0	0	0	0

პროგრამა: საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:
ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება

პროგრამის განხორციელების ვადები: 2027-2030 წლები

პროგრამის ბიუჯეტი: იხ. ცხრილი №1

პროგრამული კოდი: 02 01

პროგრამის მიზანი:
საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხო და შეუფერხებელი გადაადგილებისთვის გარემოს შექმნა.

პროგრამის აღწერა:
პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

- შიდა სასოფლო-საუბნო გზების რეაბილიტაცია;

- დაბა ქედაში დავით აღმაშენებლის ქუჩაზე (ქედა-მერისი) დამაკავშირებელ საავტომობილო გზაზე საყრდენი კედლის მოწყობა;
- მთებზე მოიალაღეთა ტრანსპორტირება;
- ბურღვა აფეთქება;
- საზოგადოებრივი ტრანპორტით უზრუნველყოფა;
- შპს ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო;
- მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ამბულატორიებში დასაქმებული ექიმების ტრანსპორტით უზრუნველყოფა.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

მუნიციპალიტეტში მოწესრიგებულია საგზაო ინფრასტრუქტურა და კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკების პრევენციის მიზნით მოწყობილია სათანადო ინფრასტრუქტურა, შექმნილია პირობები ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა, შშმ პირთა და საბავშვო ეტლით მოსარგებლეთა უსაფრთხო გადაადგილებისთვის.

პროგრამა: საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის და სერვისების განვითარება

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:
ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება

პროგრამის განხორციელების ვადები: 2027-2030 წლები

პროგრამის ბიუჯეტი: იხ. ცხრილი №1

პროგრამული კოდი: 02 02

პროგრამის მიზანი:
მუნიციპალიტეტში მდგრადი კომუნალური სისტემის შექმნა და მოსახლეობის წყალმომარაგებით უზრუნველყოფა

პროგრამის აღწერა:
პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

- წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ახლის მშენებლობა;
- შპს „ქედის წყალკანალი“-ს სუბსიდირება;

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:
ქედის მუნიციპალიტეტის საზღვრებში რეაბილიტირებული და მოწყობილია წყალმომარაგების სისტემა, უზრუნველყოფილია მოსახლეობის უწყვეტი და მოთხოვნის შესაბამისი წყალმომარაგება, გაუმჯობესებული ეკოლოგიური და საცხოვრებელი გარემო.

პროგრამა: მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება

პროგრამის განხორციელების ვადები: 2027-2030 წლები

პროგრამის ბიუჯეტი: იხ. ცხრილი №1

პროგრამული კოდი: 02 03

პროგრამის მიზანი:
მუნიციპალიტეტის მნიშვნელოვანი და აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების სრულყოფილად და ეფექტურად განხორციელება;

პროგრამის აღწერა:
პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი;
- ნაპირსმაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია;
- პარკების, სკვერების, ატრაქციონების, ბილბორდების, ქუჩებისა და დასახლებული ტერიტორიების კეთილმოწყობა და მოვლა შენახვა;

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:
მუნიციპალიტეტში შექმნილია ინკლუზიური და თანაბრად ხელმისაწვდომი კეთილმოწყობილი საზოგადოებრივი სივრცეები და გაუმჯობესებულია მოსახლეობის საცხოვრებელი გარემო

პროგრამა: მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, სარეგისტრაციო, ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯები

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:
ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება

პროგრამის განხორციელების ვადები: 2027-2030 წლები
პროგრამის ბიუჯეტი: იხ. ცხრილი №1
პროგრამული კოდი: 02 04

პროგრამის მიზანი:
ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და ქონების ნუსხის შექმნასთან დაკავშირებული საჭირო პროცედურების ჩატარება

პროგრამის აღწერა:
პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

- ძირითადი და დამატებითი ქონების ნუსხის შექმნასთან დაკავშირებით საჭირო სამუშაოების ჩატარების და აღრიცხული ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისათვის საჭირო საიდენტიფიკაციო დოკუმენტის შექმნა (მიწის ნაკვეთის საკადასტრო-აზომვითი ნახაზები და მასზე განლაგებული შენობა- ნაგებობის გეგმა- ნახაზების შედგენა) გეოლოგიური დასკვნები;

- პრიორიტეტული ღონისძიებების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა;
- მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული ობიექტების სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურების გაწევა.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:
მომზადებული ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და ჩატარებული ქონების ნუსხის შექმნასთან დაკავშირებული საჭირო პროცედურები.

პროგრამა: სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:
ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება

პროგრამის განხორციელების ვადები: 2027-2030 წლები

პროგრამის ბიუჯეტი: იხ. ცხრილი №1

პროგრამული კოდი: 02 05

პროგრამის მიზანი:
ეკოლოგიურად სუფთა ადგილობრივი პროდუქციის წარმოების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

პროგრამის აღწერა:
პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:
- აგრო-სასურსათო პროდუქციის ადგილობრივი და საერთაშორისო გამოფენა-გაყიდვებში მონაწილეობა;

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:
ხელშეწყობილია და პოპულარულია ეკოლოგიურად სუფთა ადგილობრივი პროდუქცია

პრიორიტეტის დასახელება - დასუფთავება და გარემოს დაცვა

პრიორიტეტის დასაბუთება:
აღსანიშნავია, რომ მუნიციპალური და კომუნალური მომსახურების ხარისხი, მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ეკონომიკის განვითარებაზე. მნიშვნელოვანია მისი პირდაპირი კავშირი მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების პერსპექტივებთან. ქედის მუნიციპალიტეტის ხედვა მუნიციპალური ინფრასტრუქტურისა და მომსახურების სფეროში უკავშირდება ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის განვითარებას. ასევე, გარდა ეკონომიკური განვითრებისა, თავის მხრივ, გამართული კომუნალური ინფრასტრუქტურის არსებობა ხელს უწყობს ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფას და საცხოვრებელი გარემოს ხარისხის გაუმჯობესებას.

მუნიციპალიტეტში ერთ-ერთ ძირითად საზრუნავს წარმოადგენს კეთილსაიმედო სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა. შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია დაბისა და თემების ცენტრების ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა. ქვეპროგრამის ფარგლებში, ზამთრის პერიოდში განხორციელდება გზების,

ქუჩების და სკვერების გაწმენდა თოვლის საფარისაგან. განხორციელდება დაბასა და თემებში საზოგადოებრივი სარგებლობის 13 საპირფარეშოს პერიოდული დასუფთავებისა და მოვლა-პატრონობის ღონისძიებები, ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მაწანწალა ცხოველების გაუვნებელყოფითი ღონისძიებები, რითაც უზრუნველყოფლი იქნება შესაბამისი საფრთხის თავიდან აცილება.

პრიორიტეტის საშუალოვადიანი მიზანი:

- ეფექტური კომუნალური მომსახურების დანერგვა მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე;

დასუფთავების მუნიციპალური სერვისის გამართული ფუნქციონირება, გარე- განათების მოვლა პატრონობა, უპატრონო და მაწანწალა ცხოველების გაუვნებელყოფა, გზის გაწმენდა ჩამოწოლილი მეწყერის მასისაგან, გზის გაწმენდა თოვლის საფარისგან. საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოვლა პატრონობა.

უზუნველყოფილია - დასუფთავების მუნიციპალური სერვისის ხარისხიანი ფუნქციონირება, გარე- განათების მოვლა პატრონობა, უპატრონო და მაწანწალა ცხოველების გაუვნებელყოფა, გზის გაწმენდა ჩამოწოლილი მეწყერისაგან, გზის გაწმენდა თოვლის საფარისგან. საზოგადოებრივი საპირფარეშოებოის მოვლა-პატრონობა.

პროგრამა: საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის და სერვისების განვითარება

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:
ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება

პროგრამის განხორციელების ვადები: 2027-2030 წლები

პროგრამის ბიუჯეტი: იხ. ცხრილი №2

პროგრამული კოდი: 03 00

პროგრამის მიზანი:
მუნიციპალიტეტში მდგრადი კომუნალური სისტემის შექმნა

პროგრამის აღწერა:
პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასუფთავებისა და გარემოს დაცვის სფეროში;

- შპს „ქედის კომუნალურსერვისი“-ს სუბსიდირება;

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:
დასუფთავების მუნიციპალური სერვისის გამართული ფუნქციონირება, გარე- განათების მოვლა პატრონობა, უპატრონო და მაწანწალა ცხოველების გაუვნებელყოფა, გზის გაწმენდა ჩამოწოლილი მეწყერის მასისაგან, გზის გაწმენდა თოვლის საფარისგან. საზოგადოებრივი საპირფარეშოებოის მოვლა პატრონობა.
უზუნველყოფილია - დასუფთავების მუნიციპალური სერვისის ხარისხიანი ფუნქციონირება, გარე- განათების მოვლა პატრონობა, უპატრონო და მაწანწალა ცხოველების გაუვნებელყოფა, გზის

გაწმენდა ჩამოწოლილი მეწყერისაგან, გზის გაწმენდა თოვლის საფარისგან. საზოგადოებრივი საპირფარეშოებოის მოვლა-პატრონობა.

ცხრილი №2
(ათას ლარებში)

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2025 წლის ფაქტი	2026 წლის გეგმა	2027 წლის პროექტი	2028 წლის პროექტი	2029 წლის პროექტი	2030 წლის პროექტი
03 00	**დასუფთავება და გარემოს დაცვა**	**1 862,5**	**2 099,7**	**2 178,1**	**2 735,9**	**2 947,9**	**3 140,8**
03 01	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასუფთავებისა და გარემოს დაცვის სფეროში	1 862,5	2 099,7	2 178,1	2 735,9	2 947,9	3 140,8

პრიორიტეტის დასახელება - განათლება

პრიორიტეტის დასაბუთება:

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებას წარმოადგენს. საქართველოს კანონი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის ვალდებულებებსა და უფლებამოსილებებს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ძლიერი და მდგრადი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის უზრუნველყოფა ქედის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

მუნიციპალიტეტის განვითარებასთან ერთად, მოთხოვნა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებზე დღითიდღე იზრდება. არსებული მუნიციპალური საბავშვო ბაღები რთულად უმკლავდებიან მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებას, რაც ქმნის ბაგა-ბაღების კეთილმოწყობის აუცილებლობას. გარდა ამისა, სააღმზრდელო პროცესის ხარისხიანად მიწოდება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მუდმივ განახლებასა და აღმზრდელთა პერმანენტულ პროფესიულ გადამზადებას მოითხოვს.

არსებული სიტუაციის ანალიზიდან და მოქალაქეთა საჭიროებებიდან გამომდინარე, ქედის მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტულია სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი, საყოველთაოდ და თანაბრად ხელმისაწვდომი, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა ქედის მოსახლეობისთვის.

პრიორიტეტის საშუალოვადიანი მიზანი:

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში ხარისხიანი სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესისათვის ხელშეწყობა; ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი მომავალი თაობის ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფაა. იმისათვის, რომ კიდევ უფრო მეტად ამაღლდეს მოსწავლის, აბიტურიენტისა და სტუდენტის სწავლის ხარისხი.

სამოქმედო გეგმა:

პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი პროგრამების განხორციელება:

- სკოლამდელი აღზრდა და განათლება;
- სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში;

ცხრილი №3

(ათასლარებში)

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2025 წლის ფაქტი	2026 წლის გეგმა	2027 წლის პროექტი	2028 წლის პროექტი	2029 წლის პროექტი	2030 წლის პროექტი
04 00	**განათლება**	**3 623.9**	**3 883,5**	**4 122,6**	**4 714,3**	**5 111,3**	**5 615,9**
04 01	სკოლამდელი აღზრდა და განათლება	3 501.3	3 764,0	4 052,6	4 669,3	5 061,3	5 560,9
04 02	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	122.6	119.5	70,0	45,0	50,0	55,0

პროგრამა: სკოლამდელი აღზრდა და განათლება

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:
განათლება

პროგრამის განხორციელების ვადები: 2027-2030 წლები

პროგრამის ბიუჯეტი: იხ. ცხრილი №3

პროგრამული კოდი: 04 01

პროგრამის მიზანი:

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში ხარისხიანი სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესისათვის ხელშეწყობა; საბავშვო ბაღებში სწავლების ხარისხის და აღმზრდელების კვალიფიკაციის ამაღლება განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებული და მთავრობის სხვადასხვა დადგენილებით დამტკიცებული სტანდარტების შესაბამისად.

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

- ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება;

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

გაზრდილია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ხელმისაწვდომობა და შექმნილია ბავშვების განვითარებაზე ორიენტირებული სააღმზრდელო გარემო;

პროგრამა:სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

განათლება

პროგრამის განხორციელების ვადები: 2027-2030 წლები

პროგრამის ბიუჯეტი: იხ. ცხრილი №3

პროგრამული კოდი: 04 02

პროგრამის მიზანი:

დაბა ქედის საჯარო სკოლაში საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის დანერგვის ხელშეწყობის მიზნით შესაბამისი ფართის რემონტი და ინვენტარის შეძენა და განათლებული საზოგადოება ძლიერი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი საყრდენია. ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი მომავალი თაობის ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფაა. იმისათვის, რომ კიდევ უფრო მეტად ამაღლდეს მოსწავლის, აბიტურიენტისა და სტუდენტის სწავლის ხარისხი, ძალზე მნიშვნელოვანია მათი მოტივირება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება წარმოდგენილი განცხადებების მიღება, განხილვა და დაზუსტება. შერჩეულ ბენეფიციარზე წლის განმავლობაში გაიცემა ერთჯერადი დახმარება, რომელსაც ბოლო ორი წელი ნასწავლი აქვს ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლაში.

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

- ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ წარმატებულ სტუდენტთა, ოქროსა და ვერცხლის მედალოსან მოსწავლეთა ხელშეწყობის პროგრამა;

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

უზრუნველყოფილია ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული წარმატებული აბიტურიენტების, სტუდენტებისა და მოსწავლეების მოტივაციის ამაღლება და სწავლის მიმართ ინტერესის გაზრდა.

პრიორიტეტი: კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

პრიორიტეტის საშუალოვადიანი მიზანი:

ქედის მუნიციპალიტეტის, როგორც მაღალმთიანი მუნიციპალიტეტის კულტურული და სპორტული ცენტრის ცნობადობის ამაღლება; ახალგაზრდების განვითარებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის შესაძლებლობების განვითარება.

პრიორიტეტის დასაბუთება:

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ საკუთარ უფლებამოსილებას წარმოადგენს ადგილობრივი თვითმყოფადობის, შემოქმედებითი საქმიანობისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და

განვითარება; მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ბიბლიოთეკების ფუნქციონირების უზრუნველყოფა და ახალი ობიექტების მშენებლობა.

ამასთან, უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში, მუნიციპალიტეტი ეტაპობრივად ყალიბდება, როგორც მნიშვნელოვანი ტურისტული და კულტურული ცენტრი. მუნიციპალიტეტში რეგულარულად იმართება რეგიონული და მუნიციპალური მასშტაბის ფესტივალები და კულტურული ღონისძიებები.

ქედის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს ქედის, როგორც მაღალმთიანი მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კულტურული ცენტრის განვითარება, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის ამაღლებას. ამასთან, ასევე მნიშვნელოვანია ადგილობრივი ხელოვანების განვითარების შესაძლებლობის უზრუნველყოფა.

აღსანიშნავია, რომ კულტურული ცენტრის ფორმირების პროცესში, მუნიციპალიტეტის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მისი თვითმყოფადობის შენარჩუნება და ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა.

სპორტის სფეროში თვითმმართველი ერთეულის ვალდებულებები და უფლებამოსილებები განსაზღვრულია კანონმდებლობით (საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი," საქართველოს კანონი ,,სპორტის შესახებ'' და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 4 აპრილის განკარგულება #601 ,,სპორტის სახელმწიფო დოკუმენტის'' დამტკიცების შესახებ.)

ქედის მუნიციპალიტეტისათვის, მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება, ასევე მასობრივი სპორტის განვითარება და პროფესიული სპორტის განვითარების ხელშეწყობა. როგორც კულტურის სფეროში, ასევე სპორტის მიმართულებითაც, მუნიციპალიტეტის პრიორიტეტია სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება და რაც მთავარია, მოსახლეობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება. მუნიციპალიტეტის ხედვა სპორტის მიმართულებით უკავშირდება მასობრივ სპორტში ჩართვის ხელმისაწვდომობის ამაღლებას, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ადგილობრივი პროფესიული სპორტული გაერთიანებების განვითარებას.

ქედის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტი ახალგაზრდობის სრულფასოვანი განვითარების ხელშეწყობაა. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მიხედვით მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ საკუთარ უფლებამოსილებას წარმოადგენს ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობა, (საქართველოს მთავრობის განკარგულება #553 2.04. 2014 წ.)

ქედის მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანია უზრუნველყოს ახალგაზრდების საზოგადოებრივ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართვის და მონაწილეობის შესაძლებლობები და ასევე ხელი შეუწყოს ახალგაზრდობის განვითარებას, კონკურენტუნარიანობის ზრდას და სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას.

პრიორიტეტის საშუალოვადიანი მიზანი:

ქედის, როგორც მაღალმთიანი მუნიციპალიტეტის კულტურული და სპორტული ცენტრის ცნობადობის ამაღლება; ახალგაზრდების განვითარებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის შესაძლებლობების განვითარება.

სამოქმედო გეგმა:

პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი პროგრამების განხორციელება:

- სპორტის განვითარების ხელშეწყობა;
- კულტურის განვითარების ხელშეწყობა;

<u>ცხრილი №4</u>

(ათასლარებში)

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2025 წლის ფაქტი	2026 წლის გეგმა	2027 წლის პროექტი	2028 წლის პროექტი	2029 წლის პროექტი	2030 წლის პროექტი
05 00	**კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი**	**6 461,1**	**9 086,7**	**6 880,1**	**7 271,3**	**7 863,9**	**8 392,9**
05 01	**სპორტის განვითარების ხელშეწყობა**	**2 633,8**	**1 845,3**	**2 857,2**	**3 300,1**	**3 531,8**	**3 700,5**
05 02	**კულტურის განვითარების ხელშეწყობა**	**3 827,3**	**7 241,4**	**4 022,9**	**3 971,2**	**4 332,1**	**4 692,4**

პროგრამა: სპორტის განვითარების ხელშეწყობა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:
კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

პროგრამის განხორციელების ვადები: 2027-2030 წლები

პროგრამის ბიუჯეტი: იხ. ცხრილი №4

პროგრამული კოდი: 05 01

პროგრამის მიზანი:

მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია, სპორტზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და სპორტული მიღწევების გაუმჯობესების ხელშეწყობა, მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ჩართულობა სპორტულ ღონისძიებებში. გამოვლენილი ახალგაზრდები, რომელთაც აღმოაჩნდათ განსაკუთრებული ნიჭი და შესაძლებლობები. პერსპექტიული მოსწავლე სპორტსმენების შერჩევა, სასპორტო სკოლის და მუნიციპალიტეტის ნაკრები გუნდების დაკომპლექტება და სპორტსმენთა მიერ მაღალი სპორტული შედეგების მიღწევა. პროგრამა ხელს უწყობს სპორტულ აქტივობებში ქალისა და მამაკაცის თანასწორობის პრინციპებზე დაფუძნებული ღონისძიებების განხორციელებას და სპორტული წრეების საქმიანობაში გოგონებისა და ბიჭების განსხვავებული საჭიროებების გათვალისწინებას. ქვეპროგრამების ფარგლებში სერვისები შეთავაზებულია ის, რომ გამოირიცხოს ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაცია.

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

- ა(ა)იპ ქედის სასპორტო სკოლა
- სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა;
- სპორტული კლუბების განვითარების მხარდაჭერა;
  - შპს სარაგბო კლუბი ფირალები;
  - ააიპ ,,ბავშვთა საფეხბურთო კლუბი ქედა"
- სასპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია;

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

ხელშეწყობილია ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, ქალისა და მამაკაცის თანასწორობის პრინციპების დაცვით უზრუნველყოფილია სპორტის სხვადასხვა სახეობების თანაბარი ხელმისაწვდომობა, გამოვლენილია განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდები და წახალისებულია სპორტული მიღწევები.

პროგრამა: კულტურის განვითარების ხელშეწყობა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:
კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი
პროგრამის განხორციელების ვადები: 2027-2030 წლები

პროგრამის ბიუჯეტი: იხ. ცხრილი №4

პროგრამული კოდი: 05 02

პროგრამის მიზანი:

ქედის კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება, კულტურული აქტივობების განვითარების ხელშეწყობა, კულტურული ცხოვრების აქტივობის გაზრდა, ხელოვანთა შემოქმედებითი ზრდის ხელშეწყობა, კულტურულ საგანმანათლებლო სფეროების განვითარების ხელშეწყობა, ეროვნული ღონისძიებების პაპულარიზაცია, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა შენარჩუნება, დაცვა და პოპულარიზაცია. ახალგაზრდობის გააქტიურება და სამოქალაქო აქტივობებში ჩართვა, ახალგაზრდული ინიციატივების წახალისება, ახალგაზრების შესაძლებლობების რეალიზება და მათი სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა. არსებული კულტურის სახლის შენობის რეაბილიტაცია და ინვენტარით აღჭურვა.

პროგრამის აღწერა:
პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

- ა(ა)იპ - ქედის კულტურის ცენტრი;
- ა(ა)იპ - ქედის სახელოვნებო სკოლა;
- ა(ა)იპ - ქედის ისტორიული მუზეუმი;
- კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, მხარდაჭერა და ხელშეწყობა;
- ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა:
  - ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა;
- კულტურის სახლების, კლუბებისა და ბიბლიოთეკების მშენებლობა- რეაბილიტაცია და ინვენტარით აღჭურვა:

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

გაზრდილია მუნიციპალიტეტის კულტურული აქტივობა, ხელშეწყობილია კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობა, შენარჩუნებული და დაცულია კულტურული მემკვიდრეობა, შექმნილია ახალგაზრდების განვითარებაზე ორიენტირებული გარემო, უზრუნველყოფილია ახალგაზრდების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობა და ხელშეწყობილია მათი სამოქალაქო ინიციატივები.

პრიორიტეტის დასახელება - ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

პრიორიტეტის დასაბუთება :

მოსახლეობისთვის სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და ასევე სოციალური უზრუნველყოფის სისტემის გაუმჯობესება საქართველოს მთავრობისთვის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს, რაც განსაზღვრულია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიით - „საქართველო- 2020“. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამედიცინო სერვისებზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის კუთხით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია სოციალურად დაუცველი და სხვა სოციალურად მოწყვლადი კატეგორიის მოსახლეობისათვის მკურნალობასთან დაკავშირებული იმ ფინანსური რისკებისაგან დაცვა, რომელიც ვერ იფარება მოქმედი სახელმწიფო სამედიცინო პროგრამებით. ხოლო სოციალური დაცვის სერვისების განვითარების კუთხით, რეგიონის პრიორიტეტს სოციალური დახმარების ხელმისაწვდომობის გაზრდა, ასევე, მოწყვლადი ჯგუფების სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაცია და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა წარმოადგენს.

ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სამედიცინო დახმარება ძირითადად უზრუნველყოფილია სახელმწიფო ბიუჯეტით (საქართველოსა და აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროების პროგრამები) დაფინანსებული პროგრამებით, თუმცა რჩება სამედიცინო სერვისების ნაწილი, რომელთა სრულად დაფინანსება აღნიშნული პროგრამების ფარგლებში ვერ ხერხდება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ქედის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიან პრიორიტეტს წამოადგენს სოციალური თანასწორობის უზრუნველყოფა ადგილობრივი მოსახლეობისთვის, რაც დაკავშირებულია მკურნალობასთან და რეაბილიტაციასთან დაკავშირებული ხარჯების შემცირებასთან სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის, ასევე საზოგადოების მოწყვლადი ჯგუფებისათვის და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მიმართულებით ასევე წარმოადგენს ავადობისა და სიკვდილიანობის ძირითადი მიზეზების პრევენცია, ასევე შესაძლებლობების შეზღუდვის შემცირება, რაც საზოგადოების ჯანმრთელობის გაუმჯობესებასა და ცხოვრების ხარისხის ამაღლებას შეუწყობს ხელს. აღნიშნულის მისაღწევად, აგრეთვე ფუნდამენტურ მნიშვნელობას იძენს ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო და ეპიდემიურად კეთილსაიმედო გარემოს უზრუნველყოფა.

სოციალური უზრუნველყოფის მიმართულებით, ქედის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტი თანხვედრაში მოდის საქართველოს მთავრობის პრიორიტეტულ მიმართულებებთან და მიმართულია სოციალურად დაუცველი ოჯახების, საზოგადოების მოწყვლადი ჯგუფების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების საბაზისო სოციალური გარანტიებით და მიზნობრივი სოციალური დახმარებით უზრუნველყოფისკენ.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებები ძირითადად ხორციელდება ცენტრალური ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების

ფარგლებში. თუმცა რჩება სოციალური უზრუნველყოფის მომსახურეობის ნაწილი, რომლის დაფინანსება აუცილებელია განხორციელდეს როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთარი უფლებამოსილებიდან, ასევე მოსახლეობის მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებიდან და გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე.

პრიორიტეტის საშუალოვადიანი მიზანი:

მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება; ავადობის და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის განვითარების რისკის შემცირება; ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა; მოქალაქეთა ღირსეული ცხოვრების პირობების უზრუნველყოფა; მოსახლეობის სიღარიბით, ხანდაზმულობით და შეზღუდული შესაძლებლობებით გამოწვეული სოციალური რისკების შემცირება.

სამოქმედო გეგმა:

პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი პროგრამების განხორციელება:
- ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა;
- სოციალური უზრუნველყოფის პროგრამა.

ცხრილი №5
(ათას ლარებში)

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2025 წლის ფაქტი	2026 წლის გეგმა	2027 წლის პროექტი	2028 წლის პროექტი	2029 წლის პროექტი	2030 წლის პროექტი
06 00	**ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**	**5 172,1**	**4 844.3**	**3 828,0**	**4 283,0**	**4 728,0**	**5 172,0**
06 01	**ჯანმრთელობის დაცვა**	**899,2**	**1 237.7**	**1 200,0**	**1 423,0**	**1 643,0**	**1 863,0**
06 02	**სოციალური უზრუნველყოფა**	**4 272,9**	**3 606,6**	**2 628,0**	**2 860,0**	**3 085,0**	**3 309,0**

პროგრამა: ჯანმრთელობის დაცვა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:
ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

პროგრამის განხორციელების ვადები: 2027-2030 წლები

პროგრამის ბიუჯეტი: იხ. ცხრილი №5

პროგრამული კოდი: 06 01

პროგრამის მიზანი:

მოსახლეობის სიცოცხლის გახანგრძლივება, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება და ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა.

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

- სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურეობა;
- თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისათვის;
- ოპერაციული მკურნალობის თანადაფინანსება;
- მოწყვლადი სოციალური ჯგუფების ბენეფიციართა მედიკმანტებით უზრუნველყოფა;
- ქრონიკული დაავადებების სამკურნალო სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა;
- შშმ პირთა პერსონალური ასისტენტის მომსახურების პროგრამა;

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

გაზრდილია ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობა.

პროგრამა: სოციალური უზრუნველყოფა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.

პროგრამის განხორციელების ვადები: 2027-2030 წლები

პროგრამის ბიუჯეტი: იხ. ცხრილი №5

პროგრამული კოდი: 06 02

პროგრამის (დასაბუთება) მიზანი:

საზოგადოების ცალკეული კატეგორიების სოციალური პირობების გაუმჯობესება

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

- სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური, ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფა;
- ვეტერანთა უკვდავყოფის, სარიატუალო მომსახურების, სადღესასწაულო დღეების ორგანიზება და დახმარება;
- ოთხ და მეტ შვილიან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ბავშვები) ერთჯერადი ფინანსური დახმარება;
- გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დასაფლავებისთვის ერთჯერადი ფინანსური დახმარება;
- ჰემოდიალეზის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა მგზავრობის ხელშეწყობა;
- სამედიცინო და სოციალური რებილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბავშვთა აბილიტაცია/რებილიტაციის კურსებზე მგზავრობის ხელშეწყობა;
- მოვლის საჭიროების მქონე პირთათვის ფინანსური დახმარება;

- 0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებზე სპეციალური სამკურნალო კვების პროდუქტების შესაძენად ფინანსური დახმარება;
- საქმიანობათა ცენტრი ქედაში უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის;
- სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე (ბინის ქირით უზრუნველყოფა) ფინანსური დახმარება;
- მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირებზე ფინანსური დახმარება;

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:
გაუმჯობესებულია საზოგადოების ცალკეული კატეგორიების სოციალური პირობები.

განმარტებითი ბარათი

საკრებულოს დადგენილების პროექტზე

„ქედის მუნიციპალიტეტის 2027 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია დადგენილების შესახებ:

ა.ა) დადგენილების მიღების მიზეზი:

დადგენილება მომზადებულია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე და 91 მუხლების შესაბამისად და განსაზღვრავს 2026 წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებლებს.

ა.ა.ა) პრობლემა რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს დადგენილება:

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ, მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობას.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად დადგენილების მიღების აუცილებლობა:

საქართველოს ადგილობრივი თვითმმარტველობის კოდექსის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ მომზადება და მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განხილვა და დამტკიცება ხორციელდება ყოველწლიურად.

ა.ბ) დადგენილების პროექტის მოსალოდნელი შედეგი:

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 77-ე მუხლის შესაბამისად, 2026 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების დამტკიცება.

ა.გ) დადგენილების პროექტის ძირითადი არსი:

ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები

ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები დამოკიდებულია საქართველოში არსებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დასაცავად განსახორციელებელ ღონისძიებებსა და შეზღუდვებზე.

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ 2027-2030 წლების ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების საბაზო სცენარის (2027 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტის თანდართული მასალები) მიხედვით 2027 წლისთვის ნომინალური მშპ-ს ზრდის ტემპი განსაზღვრულია 8,7 პროცენტით. აღნიშნულიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტის 2027 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლით განსაზღვრული ასიგნებების ზრდა შეესაბამება საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 155^1 მუხლის 2-ე პუნქტის მოთხოვნებს.

ბიუჯეტის პარამეტრები

საგადასახადო შემოსავლები

საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის 6-ე და 6^1-ე პუნქტების გათვალისწინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებულ საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს.

2027 წლის პროგნოზით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 10 000 ათას ლარს შეადგენს. 2026 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 2027 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი იზრდება 1 725,3 ათასი ლარით (8,12%-ით).

2026 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

- **დამატებული ღირებულების** გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 22 273,7 ათასი ლარით;

  2026 წლის მაჩვენებელთან შედარებით დღგ გაზრდილია 8,40%-ით (1 725.3 ათასი ლარით). აღნიშნული მოცულობით ზრდა გამოწვეულია მიმდინარე წელს, დაგეგმილზე მაღალი ეკონომიკური ზრდის შედეგად მოსალოდნელი გადაჭარბების და მომდევნო წელს ეკონომიკის ნომინალური ზრდის ფისკალური ეფექტებით;

- **ქონების** გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 700,0 ათას ლარს;

2026 წელს არასაგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

- **გრანტების** სახით დაგეგმილი მაჩვენებლები განისაზღვრება 13 150,0 ათასი ლარამდე, მათ შორის:

  - ✓ სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მისაღები გრანტები 13 150,0 ათასი ლარი;

- **შემოსავლები საკუთრებიდან განსაზღვრულია 230,4 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:**

  - ✓ პროცენტები 106,4 ათასი ლარი.
  - ✓ რენტა 124,0 ათასი ლარი;

- **შემოსავლები საქონელისა და მომსახურების რეალიზაციიდან განსაზღვრულია 75,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:**

  - ✓ ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები 70,0 ათასი ლარი;
  - ✓ არა საბაზრო დაწესებულების მიერ განხორციელებული გაყიდვები 5,0 ათასი ლარი;

- **შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან განსაზღვრულია 41,0 ათასი ლარი;**

- ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული განსაზღვრულია 180.0 ათასი ლარი;

ქედის მუნიციპალიტეტის 2027 წლის ბიუჯეტის პროექტში ქალისა და მამაკაცის თანასწორობის პრინციპების გათვალისწინების თაობაზე

საქართველოს ფინანსთა მინისტრის №385 ბრძანებით „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ განსაზღვრულია, რომ პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, ერთ-ერთი ინდიკატორი შეიძლება იყოს თანასწორობაზე ორიენტირებული, ასეთის არსებობის შემთხვევაში. მეთოდოლოგიის მიხედვით, ასეთი ინდიკატორები შემუშავებული უნდა იყოს პროგრამისა და ქვეპროგრამის საბოლოო და შუალედური შედეგებისთვის.

ამდენად, ქალისა და მამაკაცის თანასწორობის უზრუნველყოფის მიზნით, 2027 წელს მუნიციპალიტეტის ფინანსური დოკუმენტების შემუშავების დროს, 2027-2030 წლის პრიორიტეტების დოკუმენტსა და 2027 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებული იქნა ქალისა და მამაკაცის თანასწორობის პრინციპები.

ქედის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 25 თებერვლის №ბ94.94260561 ბრძანების შესაბამისად შექმნილი პრიორიტეტების დოკუმენტის სამუშაო ჯგუფის ჩართულობით შეირჩა პროგრამები და ქვეპროგრამები, რომელიც მუნიციპალიტეტის მერიის დარგობრივი სამსახურებისა და პროგრამების განმახორციელებელი ა(ა)იპ-ების გაანალიზდა ქალისა და მამაკაცის თანასწორობის პრინციპების გათვალისწინებით, GIZ-ის ტექნიკური მხარდაჭერით. ანალიზის შედეგების საფუძველზე 2027 წლის ბიუჯეტის პროექტში აღნიშნული პროგრამების/ქვეპროგრამების მოდიფიცირება მოხდა. კერძოდ, ქალისა და მამაკაცის თანასწორობის საკითხები ასახულია პროგრამის აღწერისა და შედეგების ნაწილში, ამასთან პროგრამებს/ქვეპროგრამებს აქვთ შესაბამისი ინდიკატორები.

პროგრამები და ქვეპროგრამები, რომლებშიც გათვალისწინებულია ქალისა და მამაკაცის თანასწორობისა და ინკლუზიურობის პრინციპები:

- პროგრამა - საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება (0201); ქვეპროგრამები: გზების რეაბილიტაცია (020101);
- პროგრამა - საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის და სერვისების განვითარება (0202); წყლის სიტემების რეაბილიტაცია და ახლის მშენებლობა (020201);
- პროგრამა - კეთილმოწყობის ღონისძიებები (0203); პარკების, სკვერების, ატრაქციონების, ბილბორდების, ქუჩებისა და დასახლებული ტერიტორიების კეთილმოწყობა და მოვლა შენახვა (020303);
- პროგრამა - სკოლამდელი აღზრდა და განათლება (0401); ა(ა)იპ - ქედის ბაგა-ბაღების ბაღების გაერთიანება (040101);
- პროგრამა - სპორტის განვითარების ხელშეწყობა (0501); ქვეპროგრამა - ა(ა)იპ ქედის სასპორტო სკოლა (050101);

- პროგრამა - კულტურის განვითარების ხელშეწყობა (0502); ქვეპროგრამა - ა(ა)იპ ქედის კულტურის ცენტრი (050201); ქედის სახელოვნებო სკოლა (050202);

სამომავლოდ, კვლავ გაგრძელდება მუშაობა ბიუჯეტის პროგრამებსა და ქვეპროგრამებში ქალისა და მამაკაცის თანასწორობისა და ინკლუზიურობის პრინციპების გათვალისწინების მიმართულებით.

კატასტროფების რისკების პრევენციის ღონისძიებების ბიუჯეტში გათვალისწინება

კლიმატის ცვლილებით გამოწვეული სტიქიური მოვლენების (ძლიერი ნალექები, ღვარცოფები, მეწყერები და სხვ.) სიხშირისა და ინტენსივობის ზრდამ მნიშვნელოვნად გაამწვავა ინფრასტრუქტურული ობიექტებისა და მოსახლეობის უსაფრთხოებისთვის არსებული საფრთხეები, რაც ასევე უარყოფითად აისახა მუნიციპალური სერვისების უწყვეტობაზე. ამ მდგომარეობამ კიდევ უფრო აუცილებელი გახადა პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება, რომლებიც მიმართულია კატასტროფების რისკების შემცირებასა და გარემოზე კლიმატური გავლენების ეფექტიან მართვაზე.

კატასტროფების რისკებით გამოწვეული საფრთხეების შემცირების მიზნით მუნიციპალიტეტის 2027-2030 წლების პრიორიტეტების დოკუმენტსა და 2027 წლის ბიუჯეტის პროექტის „ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარების“ პრიორიტეტის ფარგლებში გათვალისწინებულია პრევენციული ღონისძიებები შემდეგი პროგრამების ფარგლებში:

- ✓ პროგრამა - საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება (02 01)
- ✓ პროგრამა - საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის და სერვისების განვითარება (02 02)
- ✓ პროგრამა - მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (02 03)
- ✓ პროგრამა - მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, სარეგისტრაციო, ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯები (02 04)

აღნიშნული პროგრამების ფარგლებში გათვალისწინებული პრევენციული ღონისძიებების განხორციელება გულისხმობს:

- ინფრასტრუქტურული ობიექტების დაგეგმვას და მშენებლობას გეოლოგიური, ჰიდროლოგიური და კლიმატური რისკების გათვალისწინებით;
- წყლის დამრეგულირებელი, სადრენაჟე და დამცავი ნაგებობების მოწყობას სტიქიური მოვლენების ზემოქმედების შესამცირებლად;
- სოფლის გზების, ხიდების, წყალმომარაგებისა და წყალამომყვანი სისტემების კლიმატურ საფრთხეებზე გამძლეობის გაზრდას;
- გეოდინამიკური პროცესების (მეწყერი, ეროზია, ქვათა ჩამოშლა) მონიტორინგს და საჭირო გამაგრებით სამუშაოებს;
- პროექტირების, ზედამხედველობისა და ექსპერტიზის ეტაპებზე უსაფრთხოების, მდგრადობისა და რისკების შემცირების სტანდარტების ინტეგრირებას.

აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს, რომ მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურა იყოს კლიმატის ცვლილებით გამოწვეული სტიქიური მოვლენების მიმართ უფრო გამძლე, შემცირდეს სოციალური და ეკონომიკური ზარალი და გაიზარდოს მოსახლეობის უსაფრთხოება.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები

მუნიცპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა შეადგენს 36 125.2 ათას ლარს.

პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია:

- **ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება - 11 916,9 ათასი ლარი; მათ შორის:**
  - ✓ **საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება** - 2 033,8 ათასი ლარი;

    განხორციელდება შემდეგი ობიექტების მშენებლობა რეაბილიტაცია:

    - შიდა სასოფლო-საუბნო გზების რეაბილიტაცია;
    - დაბა ქედაში დავით აღმაშენებლის ქუჩაზე (ქედა-მერისი) დამაკავშირებელ საავტომობილო გზაზე საყრდენი კედლის მოწყობა;
    - მთებზე მოიალაღეთა ტრანსპორტირება;
    - ბურღვა აფეთქება;
    - საზოგადოებრივი ტრანპორტით უზრუნველყოფა;
    - შ.პ.ს. ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო;
    - მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ამბულატორიებში დასაქმებული ექიმების ტრანსპორტით უზრუნველყოფა.
  - ✓ **საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის და სერვისების განვითარება** 1 985,3 ათასი ლარი,

    განხორციელდება შემდეგი ობიექტების მშენებლობა რეაბილიტაცია:

    - სოფელ სირაბიძეების სასმელი წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოები;
    - კოლოტაურის (ჯინიშის უბნის) წყლის სისტემის მშენებლობა;
    - შპს ქედის წყალკანალი სუბსიდირება;

    მუნიციპალური მომსახურეობის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენს მოსახლეობის ხარისხიანი სასმელი წყლით უზრუნველყოფა. ქვეპროგრამის ფარგლებში სუბსიდირება გაეწევა შპს ქედის წყალკანალს, რომელიც უზრუნველყოფს დაბისა და სოფლების წყალსადენების სათავე-ნაგებობების და მაგისტრალური ქსელის მოვლა-შენახვას, ქლორირებას, ფილტრაციას, საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემების მოვლა-შენახვას.
  - ✓ **მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები** -5 200,0 ათასი ლარი;

    განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

    - ბინათმესაკუთრეტა ამხანაგობების მხარდაჭერა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება;
    - მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის რემონტი;
    - ძველი საცხოვრებელი სახლების მქონე ოჯახებზე ახალი საცხოვრებელი სახლებით შეცვლის პროგრამა;

- მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებები;
- მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების ცენტრებისა და მასში შემავალი სოფლების ცენტრების კეთილმოწყობის სამუშაოები;
- დაბა ქედა, 26 მაისის ქუჩის რეაბილიტაცია;

✓ **მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, სარეგისტრაციო, ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯები - 460,0 ათასი ლარი;**

განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

- ძირითადი და დამატებითი ქონების ნუსხის შექმნასთან დაკავშირებით საჭირო სამუშაოების ჩატარების და აღრიცხული ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისათვის საჭირო საიდენტიფიკაციო დოკუმენტის შექმნა (მიწის ნაკვეთის საკადასტრო-აზომვითი ნახაზები და მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობის გეგმა-ნახაზების შედგენა) გეოლოგიური დასკვნები;
- პრიორიტეტული ღონისძიებების საპროექტო- სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა;
- მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული ობიექტების სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურების გაწევა;

  პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისათვის საჭირო ხარჯების ანაზღაურება.

✓ **სოფლის მეურნეობის ხელშეყყობა - 8,0 ათასი ლარი;**

განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

- აგრო-სასურსათო პროდუქციის ადგილობრივი და საერთაშორისო გამოფენა-გაყიდვებში მონაწილეობა;

✓ **საცხოვრებელ და არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობებში ელექტრომეურნეობის აღდგენა 10,0 ათასი ლარი;**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის მიერ 2019-2026 წლებში ახლადაშენებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების ელექტრომეურნეობის გამართვა, შესაბამისი ხარჯების გადახდა და მათი გამრიცხველიანება. ასევე, სოფლის საერთო სარგებლობის წისქვილები, რომლებიც აშენებულია ბიუჯეტის ხარჯებით, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, საჭიროა ელექტრომეურნეობის ქსელში ჩართვა და სათანადო ფინანსირება. მუნიციპალიტეტის კუთვნილ ზოგიერთ შენობებში დაზიანებულია ელექტრომრიცხველები და საჭიროა ახლით შეცვლა.

✓ **შპს ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი 719,8 ათასი ლარი.**

შპს ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი 2020 წლის 5 მარტს შეიქმნა. ორგანიზაციის დამფუძნებელია ქედის მუნიციპალიტეტის მერია და მის 100% წილს ფლობს. ძირითად საქმიანობებს წარმოადგენს:

ა) ტურისტული ობიექტების მოვლა შენახვა;

ბ) ტურისტული სერვისების შექმნა და განვითარება; გ) გადასახადების ამოღება;

დ) ქედის მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის შესწავლა და შესაბამისი სტრატეგიული გეგმის შექმნა;

დ) მუნიციპალიტეტში მოქმედ კვების თუ განთავსების ობიექტებზე დახმარება, როგორც ბიზნესის მართვის მხრივ, ასევე რჩევების და რეკომენდაციების მიცემა და მათი გადამზადება;

ე) მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის პიარი;

ვ) ქედის მუნიციპალიტეტში არსებული ტურისტული ბიზნეს სუბიექტების პიარში მხარდაჭერა;

ზ) პროექტი „კარვების ქალაქი“ მართვა და განვითარება;

თ) პროექტი „ციფრული წიგნიერების ცენტრი“-ს- მართვა და განვითარება.

ორგანიზაციამ 2020-2026 წელს შეისწავლა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ათეულობით ტურისტული ობიექტი, ასევე ობიექტები, რომელიც სამომავლოდ შესაძლოა გახდეს ახალი ტურისტული ლოკაცია. შესწავლის შემდეგ მოხდა ანალიზი და ჩამოყალიბდა პრიორიტეტული ღონისძიებები, რომელიც გათვალისწინებული იქნება 2027 წლის ტურისტულ ბიუჯეტში. აქედან გამომდინარე, „შპს ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი“ ხელს უწყობს მცირე და საშუალო ბიზნესს განვითარებაში და მათი საჭიროებისამებრ იმ ინფრასტრუქტურული გარემოს შექმნაში , რომელიც დაეხმარება ბიზნესს. ორგანიზაციის მიზანია ადვოკატირების და ლობირების განხორციელება ბიზნესისთვის სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაციებთან, სამინისტროებთან და მათ საქვეუწყებო დაწესებულებებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

2027 წელს ორგანიზაცია ბიუჯეტის განაცხადის პროგრამის ფარგლებში გეგმავს ინფო და მედია ტურს მუნიციპალიტეტის პოპულარიზაციისათვის, რაც თავის მხრივ გულისხმობს საინფორმაციო ტურების მოწყობას ტურისტული კომპანიებისთვის, მედიასა და ბლოგერებისთვის. აღნიშნული ღონისძიება ხელს შეუწყობს სოციალურ ქსელში ნახვების გაზრდას და ქედის მუნიციპალიტეტის შესახებ ცნობადობის გაზრდას.

2027 წლისთვის ორგანიზაცია გაზრდილი ბიუჯეტით ჩაატარებს სახალხო დღესასწაულს შემოდგომა ქედაში, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს მუნიციპალიტეტში აგროტურიზმის განვითარების, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ღონისძიების ხარისხისა და მასშტაბის გაზრდას და რაც ხელს შეუწყობს ფართო აუდიტორიისთვის ქედის ტურისტული ღირსშესანიშნაობების გაცნობა, ვიზიტორების რაოდენობის ზრდას.

2027 წლისთვის სიახლეა ტურიზმის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომლის მიზანია ტურიზმის მსოფლიო დღის აღნიშვნა, ადგილობრივი ტურისტული პროდუქტების პოპულარიზაცია, სტუმრების მოზიდვა, რაც თავის მხივ, ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის შესახებ ცნობადობის გაზრდასა და ვიზიტორების მოზიდვას, ადგილობრივი ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარებას და სხვა.

2027 წელს იგეგმება წიგნიერების ცენტრში ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენლებისთვის სასწავლო კურსების გაზრდა, რაც ხელს შეუწყობს ცნობადობის ამაღლებას ამა თუ იმ კონკრეტული საკითხების შესახებ, მომსახურების სფეროში მომსახურის ხარისხის გაზრდას. ამ მიმართულებით 2027 წელს წიგნიერების ცენტრში მიღებული და გადამზადებული მსმენელთა რაოდენობა უნდა გაიზარდოს 3000-მდე; შპს ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი 2020 წლის 5 მარტს შეიქმნა. ორგანიზაციის დამფუძნებელია ქედის მუნიციპალიტეტის მერია და მის 100% წილს ფლობს. ძირითად საქმიანობებს წარმოადგენს: ა) ტურისტული ობიექტების მოვლა შენახვა; ბ) ტურისტული სერვისების შექმნა და განვითარება; გ) გადასახადების ამოღება; დ) ქედის მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის შესწავლა და შესაბამისი სტრატეგიული გეგმის შექმნა; დ) მუნიციპალიტეტში მოქმედ კვების თუ განთავსების ობიექტებზე დახმარება, როგორც ბიზნესის მართვის მხრივ, ასევე რჩევების და რეკომენდაციების მიცემა და მათი გადამზადება; ე) მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის პიარი; ვ) ქედის მუნიციპალიტეტში არსებული ტურისტული ბიზნეს სუბიექტების პიარში მხარდაჭერა.ზ) პროექტი „კარვების ქალაქი“ მართვა და განვითარება თ) პროექტი „ციფრული წიგნიერების ცენტრი“-ს- მართვა და განვითარება. ორგანიზაციამ 2020-2026 წელს შეისწავლა მუნიციპალიტეტის ტერიოტირაზე ათეულობით ტურისტული ობიექტი, ასევე ობიექტები, რომელიც სამომავლოდ შესაძლოა გახდეს ახალი ტურისტული ლოკაცია. შესწავლის შემდეგ მოხდა ანალიზი და ჩამოყალიბდა პრიორიტეტული ღონისძიებები, რომელიც გათვალისწინებული იქნება 2027 წლის ტურისტულ ბიუჯეტში. აქედან გამომდინარე, „შპს ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი“ ხელს უწყობს მცირე და საშუალო ბიზნესს განვითარებაში და მათი საჭიროებისამებრ იმ ინფრასტრუქტურული გარემოს შექმნაში , რომელიც დაეხმარება ბიზნესს.

2027 წელს ორგანიზაცია ბიუჯეტის განაცხადის პროგრამის ფარგლებში გეგმავს ინფო და მედია ტურს, მუნიციპალიტეტის პოპულარიზაციას, რაც თავის მხრივ გულისხმობს საინფორმაციო ტურების მოწყობას ტურისტული კომპანიებისთვის, მედიასა და ბლოგერებისთვის. აღნიშნული ღონისძიება ხელს შეუწყობს სოციალურ ქსელში ნახვების გაზრდას და ქედის მუნიციპალიტეტის შესახებ ცნობადობის გაზრდას.

ჩატარდება სახალხო დღესასწაულს შემოდგომა ქედაში, ტურიზმის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, ტურისტული სეზონის გახსნის ღონისძიება, ორგანიზაცია 2026 წელსაც აგრძელებს პროექტს ,,ბედნიერი ბილიკები", წიგნიერების ცენტრში ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენლებისთვის სასწავლო კურსები, რაც ხელ შეუწყობს აგროტურიზმის განვითარებას, ფართო აუდიტორიისთვის ქედის ტურისტული ღირსშესანიშნაობების გაცნობას, ადგილობრივი ტურისტული პროდუქტების პოპულარიზაციას, ეკოტურიზმისა და საფეხმავლო მარშრუტების პოპულარიზაციას, ქმნის ჯანსაღი დასვენების შესაძლებლობას, იზიდავს ეკოტურისტებს და სხვა. 2027 წელს საშუალოდ 200- ზე მეტი მოლაშქრე ქედის ღირსშესანიშნაობებს და ტურისტულ ობიექტებს ნახავს.

- ✓ **ქედის მუნიციპალიტეტში გარე განათებისა და ელექტროგადამცემი ქსელების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია – 1 000,0 ათასი ლარი;**
- ✓ **მერისის სამთო იალაღებზე ელექტრო-გადამცემი ხაზის მშენებლობა - 500,0 ათასი ლარი.**

- ➢ **დასუფთავება და გარემოს დაცვა განისაზღვრა - 2 178,1 ათასი ლარი; მათ შორის:**

- ✓ **სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა და სუფთავებისა და გარემოს დაცვის სფეროში - 2 178,1 ათასი ლარი,**
  - **შპს ქედის კომუნალურსერვისი;**

ქვეპროგრამა გულისხმობს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სხვადასხვა საყოფაცხოვრებო მომსახურებების უზრუნველყოფას. კერძოდ, დაბის მთლიან ტერიტორიაზე ხდება ქუჩების დაგვა დასუფთავება, სპეციალურად განთავსებულ ურნებში საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება და შემდეგ გატანა გონიოს ნაგავსაყრელზე სპეციალური ნაგავმზიდებით. ამ სფეროში დასაქმებულია ცხრა თანამშრომელი, გვაქვს სამი ერთეული ნაგავმზიდი ავტომობილი. მუნიციპალიტეტის 64-ვე სოფელში და დაბის ტერიტორიაზე განლაგებულია ქუჩების გარე-განათება, ყოველწლიურად ემატება გარეგანათებების რაოდენობა სოფლებში რომლებიც პერიოდულად საჭიროებენ მოვლაპატრონობას, (დამწვარი ნათურების გამოცვლა, მეწყერების და სხვა რიგი მიზეზებით გამოწვეული დაზიანებული კაბელების და ე.წ. პლაფონების აღდგენა), რის უზრუნველსაყოფად ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება გარე განათების არსებული წერტილების ექსპლუატაცია, რეაბილიტირებულ ქუჩებსა და გზებზე, სადღესასწაულო დღეებში დაბაში და თემების ცენტრებში დეკორატიული განათებების მოწყობა. ძირითადად წინასაახალწლო პერიოდში და მათი დემონტაჟი ახალი წლის დღეების შემდეგ. ამ სფეროში დასაქმებულია 16 თანამშრომელი და ორი სპეციალური ამწე-კალათა, რომელთაგან ერთი მათგანი ამორტიზებულია და თითქმის აღარ არის ექსპლუატაციაში, ამიტომ ორგანიზაცია აუცილებლად საჭიროებს ერთი ახალი ამწეკალათის დამატებას. ქვეპროგრამის ფარგლებში, ზამთრის პერიოდში ხორციელდება გზების, ქუჩების და სკვერების გაწმენდა თოვლის საფარისაგან. ხორციელდება აგრეთვე დაბასა და თემებში საზოგადოებრივი სარგებლობის საპირფარეშოების პერიოდული დასუფთავებისა და მოვლა-პატრონობის ღონისძიებები, რომლებისთვისაც გამოყოფილია 12 თანამშრომელი, ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მაწანწალა ცხოველების გაუვნებელყოფითი ღონისძიებები, რისთვისაც წელიწადში გამოყოფილია 33 750 ათას ლარამდე და გამოცხადებული ტენდერის შედეგად გამოვლენილი გამარჯვებულ ფირმასთან ხდება ხელშეკრულების დადება რითაც უზრუნველყოფლი იქნება შესაბამისი საფრთხის თავიდან აცილება. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება აგრეთვე ადგილობრივი პარკებისა და სკვერების მოვლაპატრონობა, კერძოდ დაბის ტერიტორიაზე არსებობს რამოდენიმე პარკი და სკვერი სადაც წლის განმავლობაში პერიოდულად ხდება ბილიკებსა და გაზონებზე გაზრდილი ბალახების გაცელვა, ხეებისა და დეკორატიული ბუჩქების გასხვლა და სხვა დასხვა

დასუფთავებითი სამუშაოების ჩატარება, რომელსაც ემსახურება ხუთი მებაღე და სამი დარაჯი. ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე ხორციელდება მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე ე.წ. შიდა საუბნო გზების მოვლაპატრონობა მეწყერების გაწმენდითი სამუშაოები და ასევე ზამთარში თოვლისაგან გაწმენდა. ამ სფეროში გაგვაჩნია მძიმე ტექნიკა კერძოდ თვითმცლელი ავტომაქანა, მრავალფუნქციური ორი ექსკავატორი და ე.წ. ბელარუსის ტიპის დანიანი ტრაქტორი.

- **განათლება - 4 122,6 ათასი ლარი, მათ შორის:**
  - ✓ **სკოლამდელი აღზრდა და განათლება - 4 052,6 ათასი ლარი;**
  - ✓ **სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში - 70.0 ათასი ლარი;**

განათლებული საზოგადოება ძლიერი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი საყრდენია. ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი მომავალი თაობის ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფაა. იმისათვის, რომ კიდევ უფრო მეტად ამაღლდეს მოსწავლისა და სტუდენტის სწავლის ხარისხი, ძალზედ მნიშვნელოვანია მათი მოტივირება.

- **კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 6 880,1 ათასი ლარი, მათ შორის:**
  - ✓ **სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 2 857,2 ათასი ლარი;**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სპორტული სკოლების ფუნქციონირების ხელშეწყობა ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდის მიზნით. ასევე, სპორტის სხვადასხვა სახეობაში გაიმართება ტურნირები მოყვარულ და პროფესიონალ სპორტსმენებს შორის, მოხდება სპორტული სკოლების უზრუნველყოფა საჭირო ინვენტარით. პროგრამა ითვალისწინებს ქედის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებს.

  - ✓ **კულტურის განვითარების ხელშეწყობა - 4 022,9 ათასი ლარი,**

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი განახორციელებს სახელოვნებო სკოლების, ბიბლიოთეკების, მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის, მუზეუმისა და კულტურის ცენტრის დაფინანსებას, უზრუნველყოფს მათი ფუნქციონირებისთვის საჭირო მატერიალური და ფინანსური ბაზის შექმნას. მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული და დასვენების ობიექტის ფინანსური მხარდაჭერა, განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიება, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიება და სხვა.

- **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 4 031,6 ათასი ლარი, მათ შორის:**
  - ✓ **ჯანმრთელობის დაცვა - 1 200,0 ათასი ლარი;**

პროგრამა ითვალისწინებს შემდეგი ქვეპროგრამების დაფინანსება:

- სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება;
- თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისათვის;
- ოპერაციული მკურნალობის დაფინანსება;
- მოწყვლადი სოციალური ჯგუფების ბენეფიციართა მედიკამენტებით უზრუნველყოფა;

- ქრონიკული დაავადების სამკურნალო სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა;
- შშმ პირთა პერსონალური ასისტენტის მომსახურების პროგრამა;

✓ **სოციალური უზრუნველყოფა - 2 628,0 ათასი ლარი;**

გათვალისწინებულია შემდეგი პროგრამების:

- სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური, ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფა
- ვეტერანთა უკვდავყოფის, სარიტუალო მომსახურების, სადღესასწაულო დღეების ორგანიზება და დახმარება;
- ოთხ და მეტ შვილიან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ბავშვები) ერთჯერადი ფინანსური დახმარება;
- გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დასაფლავებისათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარება;
- ჰემოდიალეზის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა მგზავრობის ხელშეწყობა;
- სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბავშვთა აბილიტაცია-რეაბილიტაციის კურსებზე მგზავრობის ხელშეწყობა;
- მოვლის საჭიროების მქონე პირთათვის ფინანსური დახმარება;
- 0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებზე სპეციალური სამკურნალო კვების პროდუქტების შესაძენად ფინანსური დახმარება;
- საქმიანობათა ცენტრი ქედაში უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის;
- სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე (ბინის ქირით უზრუნველყოფა);
- მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე და მარჩენალდაკარგულ პირებზე ფინანსური დახმარება;

➢ **მმართველობა - 7 396,0 ათასი ლარი, მათ შორის:**

✓ საკრებულოს დაფინანსება - 1 913,5 ათასი ლარი;

✓ მუნიციპალიტეტის მერია - 5 589,9 ათასი ლარი;

✓ სარეზერვო ფონდი - 200,0 ათასი ლარი;

✓ მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებითი მონაწილეობა საგრანტო და ადგილობრივ პროექტებში - 50,0 ათასი ლარი;

✓ "წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების ფინანსური უზრუნველყოფა" – 1,0 ათასი ლარი;

ასიგნებები შემდეგნაირად განისაზღვრება:

/ათასი ლარი/

პროგრამული კოდი	დასახელება	2026 წლის გეგმა
	სულ ჯამი	36 680.1
01 01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო	1 913.5
01 01 02	მუნიციპალიტეტის მერია	5 589.9
01 02 01	სარეზერვო ფონდი	200.0
01 02 03	მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებითი მონაწილეობა საგრანტო და ადგილობრივ პროექტებში	50.0
01 02 04 01	წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების ფინანსური უზრუნველყოფა	1.0
02 01 01	შიდა სასოფლო-საუბნო გზების რეაბილიტაცია	1 000.0
02 01 02	დაბა ქედაში დავით აღმაშენებლის ქუჩაზე (ქედა-მერისი) დამაკავშირებელ საავტომობილო გზაზე საყრდენი კედლის მოწყობა	500.0
02 01 02	მთებზე მოიალაღეთა ტრანსპორტირება	10.0
02 01 03	ბურღვა აფეთქება	10.0
02 01 04	საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფა	141.1
02 01 05	შ.პ.ს. ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო	150.3
02 01 06	მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ამბულატორიებში დასაქმებული ექიმების ტრანსპორტით უზრუნველყოფა	122.4
02 02 01 01	სოფელ სირაბიძეების წყალმომარაგება	497.0
02 02 01 02	კოლოტაურის (ჯინიშის უბნის) წყლის სისტემის მშენებლობა	600.0
02 02 02	შპს ქედის წყალკანალი	888.3
02 03 01 01	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება	1 200.0
02 03 01 02	მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის რემონტი	1 000.0
02 03 01 03	ძველი საცხოვრებელი სახლების მქონე ოჯახებზე ახალი საცხოვრებელი სახლებით შეცვლის პროგრამა	500.0
02 03 02 01	მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება	500.0
02 03 03 01	მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების ცენტრებისა და მასში შემავალი სოფლების ცენტრების კეთილმოწყობის სამუშაოები	1 000.0
02 03 03 02	დაბა ქედა, 26 მაისის ქუჩის რეაბილიტაცია	1 000.0
02 04 01	ძირითადი და დამატებითი ქონების ნუსხის შექმნასთან დაკავშირებით საჭირო სამუშაოების ჩატარების და აღრიცხული ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისათვის საჭირო საიდენტიფიკაციო დოკუმენტის შექმნა (მიწის ნაკვეთის საკადასტრო-აზომვითი ნახაზები და მასზე განლაგებული შენობა- ნაგებობის გეგმა-ნახაზების შედგენა) გეოლოგიური დასკვნები	10.0
02 04 02	პრიორიტეტული ღონისძიებების საპროექტო- სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა	250.0
02 04 03	მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული ობიექტების სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურების გაწევა	200.0
02 05 01	აგრო-სასურსათო პროდუქციის ადგილობრივი და საერთაშორისო გამოფენა-გაყიდვებში მონაწილეობა	8.0

02 07	საცხოვრებელ და არასაცხოვრებელ შენობა-ნაგებობებში ელექტრო მეურნეობის აღდგენა	10.0
02 08	შპს ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი	719.8
02 09	ქედის მუნიციპალიტეტში გარე განათებისა და ელექტროგადამცემი ქსელების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	1 000.0
02 10	მერისის სამთო იალაღებზე ელექტრო-გადამცემი ხაზის მშენებლობა	500.0
03 01 01	შპს ქედის კომუნალურსერვისი	2 178.1
04 01 01	ა.ა.ი.პ. ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება	4 052.6
04 02 01	ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ წარმატებულ სტუდენტთა, ოქროსა და ვერცხლის მედალოსან მოსწავლეთა ხელშეწყობის პროგრამა	70.0
05 01 01	ა.ა.ი.პ. ქედის სასპორტო სკოლა	955.1
05 01 02	სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა	170.0
05 01 03 02	შ.პ.ს. სარაგბო კლუბი ფირალები	170.8
05 01 03 03	ააიპ ,,ბავშვთა საფეხბურთო კლუბი ქედა"	561.3
05 01 04 01	მინი სტადიონების რეაბილიტაცია	1 000.0
05 02 01	ა.(ა).ი.პ ქედის კულტურის ცენტრი	2 453.4
05 02 02	ა.ა.ი.პ. ქედის სახელოვნებო სკოლა	443.0
05 02 03	ა.ა.ი.პ. ქედის ისტორიული მუზეუმი	258.5
05 02 04	კულტურული ღონისძიების ორგანიზება, მხარდაჭერა და ხელშეწყობა	110.0
05 02 05 01	ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა	45.0
05 02 06	ადგილობრივ დონეზე ქალთა სოციალური-ეკონომიკური გაძლიერება/ხელშწყობა	45.0
05 02 07	ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისთვის მხარდამჭერი მუნიციპალური პროგრამა	5.0
05 02 08	თანასწორობის ხელშეწყობა/ცნობიერების ამაღლების მიზნობრივი პროგრამა	10.0
05 02 09 01	ქედის მუნიციპალიტეტის, წონიარისის ადმინისტრაციული ერთეულის კულტურის სახლისა და ადმინისტრაციული შენობის მშენებლობა	653.0
06 01 01	სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურეობა	244.0
06 01 02	თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისათვის	93.6
06 01 03	ოპერაციული მკურნალობის თანადაფინანსება	100.0
06 01 04	მოწყვლადი სოციალური ჯგუფების ბენეფიციართა მედიკამენტებით უზრუნველყოფა	550.0
06 01 05	ქრონიკული დაავადებების სამკურნალო სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა	12.4
06 01 06	შშმ პირთა პერსონალური ასისტენტის მომსახურების პროგრამა	200.0
06 02 01	სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური, ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფა	30.0
06 02 02	ვეტერანთა უკვდავყოფის, სარიატუალო მომსახურების, სადღესასწაულო დღეების ორგანიზება და დახმარება	130.0
06 02 03	ოთხ და მეტ შვილიან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ბავშვები) ერთჯერადი ფინანსური დახმარება	140.0

06 02 04	გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დასაფლავებისთვის ერთჯერადი ფინანსური დახმარება	60.0
06 02 05	ჰემოდიალეზის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა მგზავრობის ხელშეწყობა	40.0
06 02 06	სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბავშვთა აბილიტაცია/რეაბილიტაციის კურსებზე მგზავრობის ხელშეწყობა	60.0
06 02 07	მოვლის საჭიროების მქონე პირთათვის ფინანსური დახმარება	315.0
06 02 08	0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებზე სპეციალური სამკურნალო კვების პროდუქტების შესაძენად ფინანსური დახმარება	18.0
06 02 09	საქმიანობათა ცენტრი ქედაში უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის	35.0
06 02 10	სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე (ბინის ქირით უზრუნველყოფა) ფინანსური დახმარება	1 700.0
06 02 11	მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე და მარჩენალდაკარგულ პირებზე ფინანსური დახმარება	100.0

ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში

- *საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 7 753,4 ათასი ლარი;*
- *ეკონომიკური საქმიანობა - 2 761,6 ათასი ლარი;*
- *დასუფთავება და გარემოს დაცვა - 2 178,1 ათასი ლარი;*
- *საბინაო-კომუნალური მეურნეობა - 9 155,3 ათასი ლარი;*
- *ჯანმრთელობის დაცვა - 1 200,0 ათასი ლარი;*
- *დასვენება, კულტურა და რელიგია - 5 520,7 ათასი ლარი;*
- *განათლება - 5 520,7 ათასი ლარი;*
- *სოციალური დაცვა - 2 628,0 ათასი ლარი;*

„ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტთან ერთად წარმოდგენილია:

1. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი (2027-2030 წლები);
2. ინფორმაცია 2026 წლის 9 თვის შესრულების შესახებ;
3. ინფორმაციას ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების/ქვეპროგრამების, მათი მოსალოდნელი შედეგებისა და შესრულების შეფასების ინდიკატორების შესახებ;

ბ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:

წლიური ბიუჯეტის პროექტი არ ანიჭებს ან ზღუდავს ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობას და ასახავს არსებული პოლიტიკის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების დასაფინანსებლად საჭირო რესურსებს პასუხისმგებელი მხარჯავი დაწესებულებების შესაბამის პროგრამულ კოდებში.

ე) დადგენილების ავტორი

მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური

ვ) დადგენილების ინიციატორი

მუნიციპალიტეტის მერი



მოქალაქის გზამკვლევი 2027

ქედის მუნიციპალიტეტის 2027 წლის ბიუჯეტის პროექტის მოქალაქის გზამკვლევი

ქედის მუნიციპალიტეტის მოკლე აღწერა



ქედის მუნიციპალიტეტი მდებარეობს საქართველოში და შედის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შემადგენლობაში. მას ჩრდილო-აღმოსავლეთით ქობულეთის მუნიციპალიტეტი, აღმოსავლეთით შუახევის მუნიციპალიტეტი, დასავლეთით ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი და სამხრეთით თურქეთის რესპუბლიკა ესაზღვრება.

მუნიციპალიტეტის საერთო ფართობი 452 კვ კმ-ია. მოსახლეობის რაოდენობა - 21 244. ქედის მუნიციპალიტეტში შედის 10 საკრებულო და 64 დასახლებული პუნქტი. ადმინისტრაციული ცენტრი დაბა ქედაა, რომელიც ზღვის დონიდან 200 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. ყველაზე მაღალი მწვერვალია ყანლი (2 987 მეტრი).

ქედა გამოირჩევა ყურძნის უნიკალური ჯიშებით. რაიონში წარმოებული ღვინოები „ქედის ცოლიკოური“ და „ჩხავერი“ დიდი პოპულარობით სარგებლობს. მოწყობილია ღვინის მარნები (მ. შერვაშიძე - სოფ. პირველი მაისი, ლადო შავიშვილი - სოფ. ვაიო, ნური სირაბიძე - სოფ. გეგელიძეები).



სოფლის მეურნეობაში წამყვანი საქმიანობებია მეთევზეობა, მებოსტნეობა, მეთამბაქოეობა, მევენახეობა, მეთხილეობა და მეფუტკრეობა. ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოიპოვება გვხვდება ფერადი ლითონების სპილენძ-პოლიმეტალების საბადოები. განსაკუთრებით აღსანიშნავია მერისის სპილენძისა და ტყვიის საბადო, ოქროს შემცველი ქანები.

მუნიციპალიტეტი მდიდარია სხვადასხვა ბუნებრივი წიაღისეულით - სპილენძისა და ოქროს საბადოებით (მერისი, ვაიო). სამკურნალო და მინერალური წყლებიდან აღიარებულია „კოკოტაურისა“ და „გუნდაურის“ წყლები. „კოკოტაურს“ მინიჭებული აქვს საერთაშორისო სერთიფიკატი.

ისტორიული მემკვიდრეობიდან გამოირჩევა მატერიალური კულტურის ძეგლები: სათვალთვალო კოშკები - კავიანი, გულები, ძენწმანი, საღორეთი, ცივასულა. ქვის თაღოვანი ხიდები - მახუნცეთი, პირველი მაისი, წონიარისი, დანდალო. ციხეები - ზენდიდი, ცივასულა.
ფუნქციონირებს ისტორიული მუზეუმი, სადაც თავმოყრილია ეთნოგრაფიული და ისტორიული კულტურის მასალები.

ქედის მუნიციპალიტეტის გერბის აღწერილობა



გერბის ფარი გაკვეთილია და იყოფა ორ ნაწილად. I ნაწილი – მეწამული ველის თავში მოთავსებულია ჰერალდიკური ოქროს ჯვარი, მის ქვემოთ ოქროს ხიდი, რომლის კიდეები ეხება ველის მარჯვენა და მარცხენა კიდეებს, ხიდის ქვემოთ სამი შემცირებული ოქროს სარტყელი. II ნაწილი – ზურმუხტოვან ველზე ოქროს ვაზი ფესვებით, სამი ნაყოფით (ყურძნის მტევნით) და სამი ფოთოლით.
გერბის ფარს ზემოთ მოთავსებულია საქალაქო ვერცხლის გვირგვინი – სამკოშკიანი ქონგურებიანი გალავანი (ციხესიმაგრის ფორმის) ნახევრად ღია ჭიშკრით.
ფარს ქვემოთ მოთავსებულია გერბის დევიზის ვერცხლ-მეწამული ბაბთა, რომლის ვერცხლის ველზე შავად ჩაწერილია დევიზი „ქედა“.

ქედის მუნიციპალიტეტის დროშის აღწერილობა



დროშა ვერტიკალურადაა გაყოფილი მეწამულ და მწვანე ველებად. მეწამული ველის ზედა ნაწილში გამოსახულია ჰერალდიკური ოქროს ჯვარი, რომელიც ზომით დროშის სიმაღლის 2/7-ია და ზედა კიდეს დაშორებულია 1/7-ით. დროშის პროპორციაა 2:3.

მოსახლეობა

წლები[6]	1959 წ.	1970 წ.	1979 წ.	1989 წ.	2002 წ.	2014 წ	2024 წ
მოსახლეობა	17 204	▲ 19 065	▲ 19 232	▲ 19 928	▲ 20 024	▼ 16 760	▼ 16 346

შესავალი

ბიუჯეტის გზამკვლევის შემუშავება ეხმარება მოქალაქეს მარტივ, მისთვის გასაგებ ენაზე მიიღოს ინფორმაცია მუნიციპალიტეტში წლის განმავლობაში დაგეგმილი ინფრასტრუქტურული, სოციალური, საგანმანათლებლო და სხვა სახის პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ. მგაზმკვლევში მოცემული ინფორმაცია წარმოადგენს თვითმმართველობის აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ დაგეგმილი ღონისძიებების მოკლე აღწერას და წარმოაჩენს მათ მიზნობრიობას.

იმისათვის, რომ მოქალაქემ შეძლოს საბიუჯეტო პროცესებში ჩართვა, პირველ რიგში, უნდა იცოდეს, როდის იწყება ბიუჯეტზე მუშაობა და თავად რა ფორმით შეუძლია ჩაერთოს ამ პროცესში.

თქვენ, მოქალაქეებს უფლება გაქვთ!

პრიორიტეტების დოკუმენტისა და ბიუჯეტის პროექტის მომზადების ეტაპზე 1 მარტიდან - 15 ნოემბრამდე

- ჩაერთოთ საჭიროებათა გამოვლენაში;
- მონაწილეობა მიიღოთ პრიორიტეტების შერჩევის მიზნით ჩატარებულ გამოკითხვებში;
- დაესწროთ საჯარო შეხვედრებს;
- მოამზადოთ და საკრებულოში წარადგინოთ პეტიცია;
- წერილობითი ან ზეპირი ინიციატივით მიმართოთ ადგილობრივ ხელისუფლებას და მოითხოვოთ ბიუჯეტში თქვენთვის მნიშვნელოვანი საკითხების გათვალისწინება;

ბიუჯეტის პროექტის განხილვის პროცესში 15 ნოემბრიდან 31 დეკემბრამდე

- გაეცნოთ მერიის მიერ საკრებულოში წარდგენილ ბიუჯეტის პროექტს;
- მონაწილეობა მიიღოთ ბიუჯეტის საჯარო განხილვებში და შეკითხვით მიმართოთ თვითმმართველობის თანამდებობის პირებს;
- დაესწროთ ბიუჯეტის განხილვის პროცესს საკრებულოსა და საკრებულოს კომისიებში;

ბიუჯეტის შესრულებისა და ანგარიშგების ეტაპზე 1 იანვრიდან

- მონიტორინგი გაუწიოთ ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვას და გამოითხოვოთ საჭირო დოკუმენტები მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურებიდან;
- გაეცნოთ ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ და წლიურ ანგარიშებს;
- დაესწროთ მერისა და საკრებულოს დეპუტატების მიერ ანგარიშის ჩაბარებას;

ტერმინთა განმარტება

- **ბიუჯეტი** - საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების

მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების შესაბამისი ორგანოების მიერ;

- **დამტკიცებული ბიუჯეტი** – შესაბამისი ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დამტკიცებული სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი;

- **დაზუსტებული ბიუჯეტი** –კორექტირებული სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი;

- **ასიგნება** – საბიუჯეტო წლის განმავლობაში ბიუჯეტით გათვალისწინებული მოცულობის ფარგლებში გადახდის განხორციელების უფლებამოსილება;

- **პრიორიტეტი** – საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებით გათვალისწინებული ასიგნებების ძირითადი მიმართულება, რომლის ფარგლებშიც მხარჯავი დაწესებულებები/საბიუჯეტო ორგანიზაციები ახორციელებენ პროგრამებს/ქვეპროგრამებს. პრიორიტეტის ფარგლებში შესაძლებელია ასევე გათვალისწინებულ იქნეს სხვადასხვა საბიუჯეტო ორგანიზაციის ფუნქციონირებისათვის საჭირო ღონისძიებები;
- **პროგრამული ბიუჯეტი** - ასიგნებები გამოიყოფა მხარჯავი დაწესებულებების და მათ მიერ განსახორციელებელი პროგრამების/ქვეპროგრამების მიხედვით. პროგრამული ბიუჯეტის ძირითადი პრინციპია სახელმწიფო სახსრების მიმართვა წინასწარ განსაზღვრული შედეგების მისაღწევად, რისი გათვალისწინებითაც პროგრამული ბიუჯეტი ხშირად შედეგებზე ორიენტირებული ბიუჯეტის სახელითაა მოხსენიებული; პროგრამული ბიუჯეტის მიზანია სახელმწიფო ხარჯების ეფექტურობის ამაღლება, სახელმწიფო სექტორის დაწესებულებების დაფინანსებისა და მათ მიერ მიღწეული შედეგების ურთიერთკავშირის გაძლიერება. გარდა მხარჯავი დაწესებულებების მიერ განსახორციელებელი პროგრამებისა და ქვეპროგრამებისა, საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრულია საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები.

- **პროგრამა** – ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტების მიზნების მისაღწევად განსახორციელებელი ღონისძიებების ერთობლიობა, რომლებიც დაჯგუფებულია მსგავსი შინაარსის მიხედვით, ხორციელდება ერთი საბოლოო შედეგის მისაღწევად და რომელთა განხორციელებისთვის პასუხისმგებელია ერთი მხარჯავი დაწესებულება;

- **ქვეპროგრამა** – მხარჯავი დაწესებულების პროგრამის ფარგლებში საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების ერთობლიობა;

- **პროფიციტი** - თუ ბიუჯეტის დაგეგმილი შემოსავალი აჭარბებს გასავალ ნაწილს, მაშინ საუბრობენ საბიუჯეტო პროფიციტზე;

- **დეფიციტი** - თუ ბიუჯეტის დაგეგმილი გასავალი აჭარბებს შემოსავალ ნაწილს, მაშინ საუბრობენ საბიუჯეტო დეფიციტზე.
- **მხარჯავი დაწესებულება** - ბიუჯეტის პროგრამულ კლასიფიკაციაში პირველი თანრიგით გათვალისწინებული საბიუჯეტო ორგანიზაცია.
- **საბიუჯეტო ორგანიზაცია** - მხარჯავი დაწესებულება ან/და ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში თანხის განკარგვის უფლებამოსილების მქონე ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს საკუთარი ბიუჯეტის პროექტის მომზადებას, ბიუჯეტის შესრულებასა და ანგარიშგებას დადგენილი ნორმების, პროცედურების და წესების თანახმად.

რა არის ბიუჯეტი?

ბიუჯეტი არის განსაზღვრული პირის (ოჯახის, ბიზნესის, ორგანიზაციის, სახელმწიფოს და ა.შ.) შემოსავლებისა და გასავლების ჩამონათვალი, რომელიც განისაზღვრება კონკრეტული დროის პერიოდით.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მთავარ ფინანსურ დოკუმენტს და ის არ მოიცავს ინფორმაციას მხოლოდ შემოსავლების და ხარჯების შესახებ. ფინანსური ინფორმაციის გარდა ბიუჯეტში აღწერილია ის ძირითადი პრიორიტეტები, რომლის შესრულებასაც მუნიციპალიტეტი გეგმავს შესაბამისი პროგრამებითა და ქვეპროგრამებით. პრიორიტეტის დოკუმენტი არის ადმინისტრაციული ერთეულების განვითარების ძირითადი გეგმა, რომელიც ასახავს ინფორმაციას საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შესახებ

საქართველოს საბიუჯეტო სისტემის ძირითადი პრინციპებია


- **ყოვლისმომცველობა** - ბიუჯეტის ყველა შემოსულობის, გადასახდელის და ნაშთის ცვლილების სრულყოფილად ასახვა შესაბამის ბიუჯეტში;
- **გამჭვირვალობა** - ბიუჯეტის პროექტის წარმომადგენლობით ორგანოებში განხილვის პროცედურების საჯაროობა, ბიუჯეტის და მისის შესრულების ანგარიშების გამოქვეყნება, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა;

- **ანგარიშვალდებულება** - საბიუჯეტო პროცესის ყველა მონაწილის პასუხისმგებლობა მის მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე და ბიუჯეტის შესახებ წარდგენილ ინფორმაციაზე;
- **დამოუკიდებლობა** - ყველა დონის ბიუჯეტის დამოუკიდებლობა;
- **ერთიანობა** - ერთიანი საბიუჯეტო კლასიფიკაციით, აღრიცხვის ერთიანი სისტემით, სახელმწიფო ფინანსური კონტროლის ერთიანი პირნციპებით ხელმძღვანელობა ყველა დონის ბიუჯეტისათვის;
- **უნივერსალობა** - ბიუჯეტის ყველა შემოსულობის მიმართვა საერთო გადასახდელების დასაფინანსებლად;
- **კონსოლიდირება** - სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემა;

საბიუჯეტო პროცესი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის მომზადების, საკანონმდებლო ორგანოსათვის წარდგენის და დამტკიცების პროცედურები რეგულირდება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის XII თავით. ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროცესს კოორდინაციას უწევს მუნიციპალიტეტის საფინანსო ორგანო, რომელიც ამ პროცესში ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობითა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოცემული შესაბამისი მეთოდური მითითებებით.

საბიუჯეტო ციკლი შემდეგ ეტაპებს მოიცავს






ერთი საბიუჯეტო ციკლი 26 თვეს მოიცავს. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტის დოკუმენტის მომზადების მიზნით მუნიციპალიტეტის მერი ყოველი წლის პირველი მარტს გამოცემს შესაბამის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელშიც განსაზღვრულია პრიორიტეტების შედგენისთვის წარსადგენი ინფორმაციის ნუსხა და წარდგენის ვადები. არა უგვიანეს 5 ოქტომბრისა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აცნობებს მუნიციპალიტეტის ორგანოებს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით შესაბამისი ბიუჯეტისათვის გადასახადებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს, ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანო ავტონომიური რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალი მუნიციპალიტეტის შესაბამის ორგანოებს არაუგვიანეს 5 ნოემბრისა აცნობებს ფინანსური დახმარების საპროგნოზო ოდენობებს.

მუნიციპალიტეტის მერი ვალდებულია 15 ნოემბრამდე საკრებულოს წარუდგინოს მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტი. საკრებულო განიხილავს და შენიშვნების და რეკომენდაციების შემთხვევაში პროექტს უბრუნებს მერს 25 ნოემბრამდე. შესწორებულ პროექტს მერი საკრებულოს უგზავნის 10 დეკემბრამდე. წლის ბოლომდე მტკიცდება ბიუჯეტი. მომდევნო წლის განმავლობაში ხდება ბიუჯეტის დაზუსტება და კვარტალური ანგარიშგება. საბიუჯეტო წლის დასრულების შემდეგ მერი უფლებამოსილია 2 თვის ვადაში საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგინოს ბიუჯეტის შესრულების ანგარიში, მუნიციპალიტეტის საკრებულო საჯაროდ იხილავს ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს და არაუგვიანეს 1 მაისისა იღებს გადაწყვეტილებას წლიური ანგარიშის დამტკიცების ან დაუმტკიცებლობის შესახებ.

ბიუჯეტზე პასუხისმგებლობა თვითმმართველობის აღმასრულებელ და წარმომადგენლობით ორგანოებს შორის შემდეგი სახით არის გადანაწილებული:



საიდან მოდის ფული ბიუჯეტში?

კანონმდებლობა არეგულირებს იმ გადასახდელების ჩამონათვალს რომლითაც ივსება ბიუჯეტი. გადასახადებს ბიუჯეტში იხდიან მოქალაქეები და ბიზნესი. ეს გადახდილი თანხები საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად ნაწილდება სხვადასხვა დონის ბიუჯეტებში. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ირიცხება შემდეგი სახის შემოსავლები: დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), ქონების გადასახადი (გარდა მიწისა), მიწის გადასახადი, ბუნებრივი რესურსების მოსაკრებელი, დასუფთავების მოსაკრებელი, იჯარით გაცემული ქონებიდან შემოსული თანხები, სხვა ადგილობრივი მოსაკრებლები და გადასახდელები, ასევე ქონების გაყიდვიდან შემოსული სახსრები. ცენტრალური ხელისუფლება კაპიტალური პროექტებისთვის და დელეგირებული უფლებების განსახორციელებლად მუნიციპალიტეტს უნაწილებს გარკვეულ თანხებს, რასაც ეწოდება გრანტები. ასეთი გრანტები მუნიციპალიტეტში ძირითადად წლის განმავლობაში ირიცხება და შესაბამისად მუნიციპალიტეტი აზუსტებს თავდაპირველ ბიუჯეტს. როდესაც ხარჯები შემოსავალზე მეტია, მუნიციპალიტეტს უფლება აქვს აიღოს სესხი. ამ კუთხით მუნიციპალიტეტს ძირითადად საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ეხმარება.

ზემოთ აღნიშნული თანხების ბიუჯეტში მობილიზებაზე პასუხისმგებელია როგორც ცენტრალური ხელისუფლება ასევე ადგილობრივი - მუნიციპალიტეტის ხელისუფლება. კერძოდ, ცენტრალური ხელისუფლება (შემოსავლების სამსახური) უწევს ადმინისტრირებას შემდეგი სახის შემოსავლებს: დამატებული ღირებულების გადასახადიდან (დღგ), ქონების გადასახადი (გარდა მიწისა), მიწის გადასახადი, ბუნებრივი რესურსების მოსაკრებელი. ადგილობრივი ხელისუფლება - დასუფთავების მოსაკრებელს, იჯარით გაცემული ქონებიდან

მისაღებ თანხებს და სხვა ადგილობრივი მოსაკრებლებს და გადასახდელებს, ასევე ეს უკანასკნელი პასუხისმგებელია მუნიციპალური ქონების პრივატიზებისას თანხების მობილიზებაზე.


ცენტრალურ ხელისუფლება პასუხისმგებელია ასევე მუნიციპალიტეტისთვის გრანტის სახით თანხების გამოყოფაზე. ასეთი თანხები მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს და ძირითადად ხმარდება კაპიტალური პროექტების დაფინანსებას, სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფასა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსებას.

თვითმმართველი ერთეულის ძირითადი ფინანსური დოკუმენტები

მუნიციპალიტეტის ძირითადი ფინანსური დოკუმენტებია:



ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საბიუჯეტო კალენდარი



ქედის მუნიციპალიტეტის ძირითადი ფინანსური პარამეტრების საპროგნოზო მაჩვენებელი 2027 წლისთვის


შემოსულობები

ადგილობრივი თვითმმართველ ერთეულებს გააჩნიათ როგორც საკუთარი ფულადი სახსრები - საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავლები, სახელმწიფო ან ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან) ბიუჯეტიდან ან სხვა დონორებისგან მიღებული ფინანსური რესურები, ასევე შეუძლია ვალის აღება - ყველაფერი ეს ბიუჯეტის შემოსულობებს წარმოადგენს.

- **შემოსავლები**: გადასახადები (ქონების გადასახადი და დღგ-დან წილი), გრანტები და სხვა შემოსავლები (ქვემოთ დეტალურად იქნება განხილული სამივე სახის შემოსავალი);
- **არაფინანსური აქტივების კლება** - არის მუნიციპალიტეტის მიერ ქონების პრივატიზაციიდან მიღებული ფულად სახსრები.
- **ფინანსური აქტივების კლება** - არის ფულად სახსრები, რომელიც მუნიციპალიტეტის მიერ მის საკუთრებაში არსებული ფინანსური რესურესების (ვალუტა და დეპოზიტები, აქციები და სხვა კაპიტალი) გამოყენებიდან მიიღება.
- **ვალდებულებების ზრდა** - არის ფულადი სახსრები, რომელიც მუნიციპალიტეტს ვალის აღების შედეგად აქვს.

ქედის მუნიციპალიტეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი 2027 წლისთვის 36 680 100 ლარია, აქედან შემოსავლები 36 650 100 ლარია, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება 30 000 ლარი. აღსანიშნავია, რომ ეს მაჩვენებელა 2027 წლის განმავლობაში გაიზრდება, რადგან 2026 წელს დარჩენილი ნაშთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერების ასახვა მოხდება ბიუჯეტში, ასევე შეიძლება გაიზარდოს სხვა შემოსავლები. დამტკიცებულ ბიუჯეტში განხორციელებულ ცვლილებებს კორექტირებული, ანუ დაზუსტებული ბიუჯეტი ეწოდება.

2027 წელს ქედის მუნიციპალიტეტსი ბიუჯეტის შემოსავლები 36 650 100 ლარია. მთლიან შემოსავლებში თითოეული შემოსავლის ხვედრითი წილი შემდეგია:




2027 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

- **დამატებული ღირებულების** გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 22 273,7 ათასი ლარით;
- **ქონების** გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 700,0 ათას ლარს;



2027 წელს სხვა შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

- **შემოსავლები საკუთრებიდან** განსაზღვრულია 230,4 ათასი ლარის ოდენობით;
- **შემოსავლები საქონელისა და მომსახურების რეალიზაციიდან** განსაზღვრულია 75,0 ათასი ლარის ოდენობით;
- **შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან** განსაზღვრულია 41,0 ათასი ლარი;
- **ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული** განსაზღვრულია 180.0 ათასი ლარი;




გადასახდელები

ადგილობრივი ბიუჯეტიდან გასაცემი ფულადი სახსრების ერთობლიობა **ბიუჯეტის გადასახდელებს** წარმოადგენს. მუნიციპალიტეტის გადასახდელების 4 წყაროა:

- **ხარჯები**: ყოველწლიურად გასაწევი ხარჯები: მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა ხელფასები, საოფისე მასალებისა და ინვენტარის შეძენა, ა(ა)იპ-ების დაფინანსება, აღებული სესხის პროცენტის დაბრუნება, სოციალური უზრუნველყოფა;
- **არაფინანსური აქტივების ზრდა** - ქონების შეძენა, რეაბილიტაცია; კაპიტალური პროექტების განხორციელება; 500 ლარზე მეტი ღირებულების ტექნიკას ყიდვა;
- **ფინანსური აქტივების ზრდა** - როდესაც მუნიციპალიტეტი სესხს გასცემს, ან შპს-ს აფინანსებს, ან დეპოზიტზე დებს თანხას.
- **ვალდებულებების კლება** - მუნიციპალიტეტის მიერ აღებული ვალის ძირითადი თანხის დაფარვა.

ქედის მუნიციპალიტეტის 2027 წლის ბიუჯეტის საპროგნოზო მაჩვენებლით გადასახდელები 36 680 100 ლარია. 2026 წელს გაიზრდება არაფინანსური აქტივების ზრდა, ავტონომიური რეპუბლიკის ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერები ჩაირიცხება, რაც ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას მოხმარდება.



როგორ იხარჯება ფული?


მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი იხარჯება სხვადასხვა საჭიროებისამებრ. ეს თანხა პირობითად იყოფა მიმდინარე და კაპიტალურ ხარჯებად. მიმდინარე ხარჯები მოიცავს საჯარო მოხელეების ხელფასებს, კომუნალურ გადასახადებს, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავებისა და მოვლა შენახვის ხარჯებს და სხვა. ხოლო

კაპიტალური ხარჯები გზების, ხიდების, საბავშვო ბაღების და სხვა მუნიციპალური ობიექტების მშენებლობის, რეაბილიტაციისა და შეკეთების ხარჯებს. ასევე ბიუჯეტში განსაზღვრულია ნაკისრი ვალდებულებების (სესხის) დაფარვის ხარჯები. ხარჯების მიმართულებებს, თუ სად და როგორ უნდა მოხდეს თანხების ხარჯვა ამტკიცებს მუნიციპალიტეტის საკრებულო ხმათა უმრავლესობით. ბიუჯეტის აღსრულება კი ხდება მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ხელისუფლების - მერიის მიერ.

ქედის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები



2027 წელს პრიორიტეტული მიმართულებების დასაფინანსებლად ბიუჯეტში გათვალისწინებულია 36 680 100 ლარი. აღსანიშნავია, რომ პრიორიტეტულ მიმართულებებს შორის ასევე არის მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები (მერიისა და საკრებულოს დაფინანსება, სარეზერვო ფონდი, მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებითი მონაწილეობა საგრანტო და ადგილობრივ პროექტებში.



ქვემოთ მოცემულია 2027-2030 წლებში პრიორიტეტული მიმართულებების დასაფინანსებლად გათვალისწინებულია თანხები.

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2027 წლის პროექტი	2028 წლის პროექტი	2029 წლის პროექტი	2030 წლის პროექტი
02 00	ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება	11 916 900	7 505 600	7 271 200	9 499 900
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	2 178 100	2 735 900	2 947 900	3 140 800
04 00	განათლება	4 122 600	4 714 300	5 111 300	5 615 900
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	6 880 100	7 271 300	7 863 900	8 392 900
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	3 828 000	4 283 000	4 728 000	5 172 000

პრიორიტეტი - ინფრასტრუქტურის განვითარება 02 00

პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია, წყლის სისტემების, გარე განათების ქსელის განვითარება და მუნიციპალიტეტში სხვა აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსება. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება როგორც ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ასევე, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

პროგრამული კოდი	**პრიორიტეტი/პროგრამა**	**2027 წლის პროექტი**	**2028 წლის პროექტი**	**2029 წლის პროექტი**	**2030 წლის პროექტი**
02 00	**ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება**	**11 916 900**	**7 505 600**	**7 271 200**	**9 499 900**
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	2 033 800	1 744 100	1 988 900	2 030 200

02 02	საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის და სერვისების განვითარება	1 985 300	1 860 400	2 162 100	2 805 900
02 03	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	5 200 000	2 420 000	1 530 000	2 900 000
02 04	მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, სარეგისტრაციო, ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯები	460 000	430 000	435 000	440 000
02 05	სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა	8 000	16 000	20 000	23 000
02 07	საცხოვრებელ და არასაცხოვრებელ შენობა-ნაგებობებში ელექტრო მეურნეობის აღდგენა	10 000	10 000	10 000	10 000
02 08	შპს ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი	719 800	1 025 100	1 125 200	1 290 800
02 09	ქედის მუნიციპალიტეტში გარე განათებისა და ელექტროგადამცემი ქსელების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	1 000 000	0	0	0
02 10	მერისის სამთო იალაღებზე ელექტრო-გადამცემი ხაზის მშენებლობა	500 000	0	0	0

მნიშვნელოვანია, რომ კლიმატის ცვლილებით გამოწვეული სტიქიური მოვლენების (ძლიერი ნალექები, ღვარცოფები, მეწყერები და სხვ.) სიხშირისა და ინტენსივობის ზრდამ მნიშვნელოვნად გაამწვავა ინფრასტრუქტურული ობიექტებისა და მოსახლეობის უსაფრთხოებისთვის არსებული საფრთხეები, რაც ასევე უარყოფითად აისახა მუნიციპალური სერვისების უწყვეტობაზე. ამ მდგომარეობამ კიდევ უფრო აუცილებელი გახადა პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება, რომლებიც მიმართულია კატასტროფების რისკების შემცირებასა და გარემოზე კლიმატური გავლენების ეფექტიან მართვაზე.

კატასტროფების რისკებით გამოწვეული საფრთხეების შემცირების მიზნით მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტსა და 2026 წლის ბიუჯეტის პროექტის „ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარების“ პრიორიტეტის ფარგლებში გათვალისწინებულია პრევენციული ღონისძიებები შემდეგი პროგრამების ფარგლებში:

- ✓ პროგრამა - საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება (02 01)
- ✓ პროგრამა - საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის და სერვისების განვითარება (02 02)
- ✓ პროგრამა - მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (02 03)
- ✓ პროგრამა - მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, სარეგისტრაციო, ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯები (02 04)

აღნიშნული პროგრამების ფარგლებში გათვალისწინებული პრევენციული ღონისძიებების განხორციელება გულისხმობს:

- ინფრასტრუქტურული ობიექტების დაგეგმვას და მშენებლობას გეოლოგიური, ჰიდროლოგიური და კლიმატური რისკების გათვალისწინებით;
- წყლის დამრეგულირებელი, სადრენაჟე და დამცავი ნაგებობების მოწყობას სტიქიური მოვლენების ზემოქმედების შესამცირებლად;
- სოფლის გზების, ხიდების, წყალმომარაგებისა და წყალამომყვანი სისტემების კლიმატურ საფრთხეებზე გამძლეობის გაზრდას;
- გეოდინამიკური პროცესების (მეწყერი, ეროზია, ქვათა ჩამოშლა) მონიტორინგს და საჭირო გამაგრებით სამუშაოებს;
- პროექტირების, ზედამხედველობისა და ექსპერტიზის ეტაპებზე უსაფრთხოების, მდგრადობისა და რისკების შემცირების სტანდარტების ინტეგრირებას.

საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების (პროგრამული კოდი 02 01) პროგრამის ბიუჯეტი ამ ეტაპზე 2 033 800 ლარია, გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა, დაზიანებული გზებისა და საგზაო ნაგებობების (ხიდები, მილხიდები, გზების დამცავი კედლები და გაბიონები და სხვა) რეაბილიტაცია, რაც კატასტროფების რისკების პრევენციის ერთ-ერთ მთავარ საფუძველს წარმოადგენს. დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები მნიშვნელოვნად შეამცირებს ბუნებრივი საფრთხეებით გამოწვეული შესაძლო ზიანის ალბათობას. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მოდინებული წყლების მართვის გაუმჯობესებას: დაიგეგმება და განხორციელდება კიუვეტების, ცხაურებისა და სანიაღვრე არხების მოწყობა/რეაბილიტაცია, რათა შემცირდეს გზების წყლით დატბორვისა და დაზიანების, მეწყრული პროცესების გააქტიურებისა და ჭარბნალექიანი ამინდების დროს ინფრასტრუქტურის დაზიანების რისკები. მოეწყობა ტროტუარები, პანდუსები და ბორდიურები, რაც უზრუნველყოფს გადაადგილების უსაფრთხოებას და შექმნის ქალებისა და მამაკაცებისთვის თანაბრად ხელმისაწვდომ მუნიციპალურ ინფრასტრუქტურას. საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით დაგეგმილია საგზაო ნიშნებისა და მონიშვნების, მათ შორის ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელებისა და სიჩქარის შემზღუდავი ელემენტების მოწყობა. აღნიშნული ღონისძიებები ხელს შეუწყობს როგორც ზოგად საგზაო უსაფრთხოებას, ისე კატასტროფების რისკების შემცირებას მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.
ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურება, შ.პ.ს. ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო.

საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის და სერვისების განვითარების (პროგრამული კოდი 02 02) პროგრამის ბიუჯეტი 1 985 300 ლარია. დაგეგმილია წყლის სიტემების რეაბილიტაცია და ახლის მშენებლობა, არსებული სისტემების მოვლა-პატრონობა, მათ შორის საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემების, რაც მნიშვნელოვანია კატასტროფების რისკების პრევენციისთვის, ხელს უწყობს ინფრასტრუქტურის მდგრადობასა და მოსახლეობის უსაფრთხო საცხოვრებელ გარემოს უზრუნველყოფას.

წყალმომარაგების სისტემის მოწყობისა და მოსახლეობისთვის სასმელი წყლის მიწოდების შედეგად გაუმჯობესდება საცხოვრებელი პირობები, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქალებისათვის. სოფლად მცხოვრები ქალები მეტად არიან ჩართული შინამეურნეობის მართვაში. გამართული წყალმომარაგება ქალებს შეუმსუბუქებს საოჯახო საქმეებს და ნაკლებად მოუწევთ ფიზიკური შრომა (შორი მანძილიდან წყლის მოტანა, ხელით რეცხვა და სხვა), ექნებათ სხვადასხვა საოჯახო ტექნიკის გამოყენების საშუალება, შესაბამისად, დაეზოგებათ დრო და შემცირდება აუნაზღაურებად შრომაში მათ ჩართულობის ხანგრძლივობა.

წყალმომარაგების სისტემის გაუმჯობესება ხელს შეუწყობს სკოლებისა და საბავშვო ბაღების სასმელი წყლით მომარაგებას, რაც შექმნის სანიტარულ პირობებს სააღმზრდელო და განათლების დაწესებულებებში როგორც გოგოებისა და ბიჭებისთვის, ასევე პედაგოგებისა და პერსონალისთვის.

კეთილმოწყობის ღონისძიებებისთვის (პროგრამული კოდი 02 03) გათვალისწინებულია 5 200 000 ლარი, პროგრამის ფარგლებში მოეწყობა სკვერების, პარკების და საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტები, სადაც მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, საბავშვო ეტლით მოსარგებლეთა, ბავშვების, ქალების და კაცების საჭიროებები. დაფინანსდება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობები, მოხდება ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი. მოეწყობა ნაპირსამაგრები, გაბიონების, ფერდსამაგრი და საყრდენი კედლები, მეწყერის შედეგად დაზიანებული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია და სხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოები.

მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, სარეგისტრაციო, ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯებისთვის (პროგრამული კოდი 02 04) 460 000 ლარია გათვალისწინებული. პროექტის ფარგლებში მოხდება მუნიციპალიტეტში დაგეგმილი სამშენებლო–სარეაბილიტაციო სამუშაოების ნორმებითა და წესების გათვალისწინებით განხორციელებისთვის შესაბამისი საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, ასევე სამშენებლო–სარეაბილიტაციო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და შესრულებულ სამუშაოებზე შესაბამისი ექსპერტიზის ჩატარება.

სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის (02 05 - ბიუჯეტი 8 000 ლარი) პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის მიერ ფერმერებისათვის ხელშეწყობას და მათ საერთაშორისო და აგრო გაყიდვების გამოფენა-გაყიდვაში მონაწილეობას.

პრიორიტეტი - დასუფთავება და გარემოს დაცვა 03 00

პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტში არსებული რეკრეაციული ფართობების ინტენსიური ზრდა და არსებულის მოვლა-პატრონობა. ამასთან ერთად უსაფრთხო გარემო და სანიტარული მდგომარეობის ყოველწლიური გაუმჯობესება წარმოადგენს უმთავრეს პრიორიტეტს.

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია საყოფაცხოვრებო, მყარი და დიდი ზომის ნარჩენების, ქუჩების მონახვეტის შეგროვება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ ურნებში და

ნაგავსაყრელ პოლიგონამდე ტრანსპორტირება; მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ნარჩენების გატანას მოემსახურება 3 ნაგავმზიდი. სანაგვე კონტეინერების დეზიფექცია, მუნიციპალიტეტის ცალკეული ტერიტორიების, ქუჩების მორწყვა-მორეცხვა; მუნიციპალიტეტის ტერიტორიის თოვლის საფარისაგან გაწმენდა, მოყინვის საწინააღმდეგო სამუშაოების განხორციელება და საჭიროების შემთხვევაში თოვლის მასის გატანა; გათვალისწინებულია გარე-განათების მოვლა პატრონობა, უპატრონო და მაწანწალა ცხოველების გაუვნებელყოფა, გზის გაწმენდა ჩამოწოლილი მეწყერის მასისაგან, გზის გაწმენდა თოვლის საფარისგან. საზოგადოებრივი საპირფარეშოებოის მოვლა-პატრონობა. მუნიციპალიტეტში სოფლებისათვის დამატებით კომუნალური მომსახურებისათვის კონტეინერების განთავსება დღემდე მომსახურების გარეშე დარჩენილი უბნებისათვის, რითაც მომსახურების სფეროში მოექცევა მუნიციპალიტეტის მთელი დასახლებული ტერიტორია.

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2027 წლის პროექტი	2028 წლის პროექტი	2029 წლის პროექტი	2030 წლის პროექტი
03 00	**დასუფთავება და გარემოს დაცვა**	**2 178 100**	**2 735 900**	**2 947 900**	**3 140 800**
03 01	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასუფთავებისა და გარემოს დაცვის სფეროში	2 178 100	2 735 900	2 947 900	3 140 800
03 01 01	შპს ქედის კომუნალურსერვისი	2 178 100	2 735 900	2 947 900	3 140 800

პრიორიტეტი - განათლება 04 00

ქედის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები საბავშვო ბაგა-ბაღის ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 15 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 490 და მეტი ბავშვი. (მათ შორის გოგო 50.8 %, ბიჭი 49.2%). ბაგა-ბაღებში ჯამში დასაქმებულია 255 აღმზრდელი (მათ შორის ქალი 88 % და კაცი 12 %), სხვა პერსონალი და ადმინისტრაცია.

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2027 წლის პროექტი	2028 წლის პროექტი	2029 წლის პროექტი	2030 წლის პროექტი
04 00	**განათლება**	**4 122 600**	**4 714 300**	**5 111 300**	**5 615 900**

04 01	სკოლამდელი აღზრდა და განათლება	4 052 600	4 669 300	5 061 300	5 560 900
04 02	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	70 000	45 000	50 000	55 000

პრიორიტეტი - კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი 05 00

მნიშვნელოვანია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე ერთ–ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

პროგრამების ფარგლებში გათვალისწინებულია სპორტული და კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობა და შესაბამისი პირობების შექმნა, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება, ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ჩატარებას. დაფინანსდება სპორტული და სახელოვნებო კლუბები, ბიბლიოთეკა.

ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტში პროგრამები ხორციელდება როგორც მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახური, ასევე კულტურის და სპორტის სფეროში შექმნილი ა(ა)იპ-ებისდა შ.პ.ს-ების მიერ.

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა	2027 წლის პროექტი	2028 წლის პროექტი	2029 წლის პროექტი	2030 წლის პროექტი
05 00	**კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი**	**6 880 100**	**7 271 300**	**7 863 900**	**8 392 900**
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	2 857 200	3 300 100	3 531 800	3 700 500
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	4 022 900	3 971 200	4 332 100	4 692 400

სპორტის განვითარების ხელშეწყობისთვის (პროგრამული კოდი 05 01) ბიუჯეტიდან 2 857 200 ლარია გამოყოფილი. გათვალისწინებულია ქალისა და მამაკაცის თანასწორობის პრინციპებზე დაფუძნებული სპორტულ აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება, სპორტული წრეების საქმიანობაში გოგონებისა და ბიჭების განსხვავებული საჭიროებების გათვალისწინება, ქედის მუნიციპალიტეტში ბავშვთა და მოზართდა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა სისტემატიურ სპორტულ-გამაჯანსაღებელ

მოძრაობაში. სასპორტო სკოლის პროფილის შესაბამისად მათი მეთოდური აღზრდა და დაოსტატება. ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და მისი დამკვიდრება მოზარდ თაობაში, მასობრივი სპორტის განვითარება, პერსპექტიული სპორტსმენების მზადების წლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზება. სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, მასში მონაწილე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოება ფასიანი საჩუქრებით; ოლიმპიადის, მსოფლიოს, ევროპის და საქართველოს ოფიციალური ჩემპიონატების საპრიზო (I,II,III) ადგილებზე გასული, ქედის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე სპორტსმენებისა და მწრთვნელების წახალისება ფულადი ჯილდოთი; ღვაწლმოსილი ვეტერანი სპორტსმენების (წარსულში ქედის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე წარმატებული ვეტერანი სპორტსმენი) დაჯილდოება ფულადი და ფასიანი საჩუქრებით; სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებზე სპორტსმენებისა და მწვრთნელების ტრანსპორტირებაში დახმარება; საქართველოს სასკოლო სპორტული ოლიმპიადა და სპორტი ბარიერების გარეშე, ევროპის სპორტის კვირეული, რომლებშიც მონაწილეობას ღებულობენ ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო და საბაზო სკოლები.

05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	2 857 200
05 01 01	**ა.ა.ი.პ. ქედის სასპორტო სკოლა**	**955 100**
05 01 02	**სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა**	**170 000**
05 01 03	**სპორტული კლუბების განვითარების მხარდაჭერა**	**732 100**
05 01 03 02	შ.პ.ს. სარაგბო კლუბი ფირალები	170 800
05 01 03 03	ააიპ ,,ბავშვთა საფეხბურთო კლუბი ქედა"	561 300
05 01 04	**სასპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია**	**1 000 000**
05 01 04 01	მინი სტადიონების რეაბილიტაცია	1 000 000

კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02) ტრადიციული და სახალხო დღესასწაულების ჩატარება, მთავრობის მიერ ოფიციალურად დადგენილი დღეების აღნიშვნა. კონცერტების გამოფენების, გასტროლების, სახელოვნებო პროექტების, თეატრალური წარმოდგენების, საერთაშორისო, რეგიონალური და ადგილობრივი ფესტივალების, იუბილარ, ღვაწლმოსილ კულტურის მუშაკებთან შეხვედრა, მადლობის სიგელების, საპატიო ტიტულების, ერთჯერადი ფულადი ჯილდოების გაცემა და სხვა ღონისძიებების ორგანიზებას/ორგანიზების ხელშეწყობას. კულტურის სფეროში დასაქმებული ადამიანების პროფესიული განვითარება/გადამზადება/(ტრენინგები, ვორქშოფები, სემინარები, მასტერკლასები) კულტურული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა (მუნიციპალიტეტის ცნობადობის ამაღლება და პოპულარიზაცია, ქედის მუნიციპალიტეტის ტრადიციული სამზარეულოს გამოფენა-დეგუსტაცია, კულტურული ღონისძიებების მოწყობა-ჩატარება.) საერთაშორისო კულტურულ-

ურთიერთობათა გაღრმავება, დამეგობრებულ ქვეყნებთან და მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობა და ერთობლივი პროექტების განხორციელება, ჩვენი კულტურის წარმოჩენა და გამოცდილების გაზიარება.

05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	4 022 900
05 02 01	ა(ა)იპ ქედის კულტურის ცენტრი	2 453 400
05 02 02	ა(ა)იპ ქედის სახელოვნებო სკოლა	443 000
05 02 03	ა(ა)იპ ქედის ისტორიული მუზეუმი	258 500
05 02 04	კულტურული ღონისძიების ორგანიზება, მხარდაჭერა და ხელშეწყობა	110 000
05 02 05	**ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა**	**45 000**
05 02 05 01	ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა	45 000
05 02 06	ადგილობრივ დონეზე ქალთა სოციალური-ეკონომიკური გაძლიერება/ხელშწყობა	45 000
05 02 07	ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისთვის მხარდამჭერი მუნიციპალური პროგრამა	5 000
05 02 08	თანასწორობის ხელშეწყობა/ცნობიერების ამღლების მიზნობრივი პროგრამა	10 000
05 02 09	**კულტურის სახლების, კლუბებისა და ბიბლიოთეკების მშენებლობა-რეაბილიტაცია და ინვენტარით აღჭურვა**	**653 000**
05 02 09 01	ქედის მუნიციპალიტეტის, წონიარისის ადმინისტრაციული ერთეულის კულტურის სახლისა და ადმინისტრაციული შენობის მშენებლობა	653 000

პრიორიტეტი - ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 06 00

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ–ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. არსებული რესურსების ფარგლებში გაგრძელდება სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება და სხვადასხვა შეღავათებით უზრუნველყოფა. ასევე სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას.

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა	2027 წლის პროექტი	2028 წლის პროექტი	2029 წლის პროექტი	2030 წლის პროექტი
06 00	**ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**	**3 828 000**	**4 283 000**	**4 728 000**	**5 172 000**
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	1 200 000	1 423 000	1 643 000	1 863 000

06 02	სოციალური უზრუნველყოფა	2 628 000	2 860 000	3 085 000	3 309 000

ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი 06 01) ითვალისწინებს ადგილობრივი ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით დაავადებების პრევენციისა და მკურნალობის ქვეპროგრამებისა და ღონისძიებების განხორციელებას.

06 01	ჯანმრთელობის დაცვა	1 200 000
06 01 01	სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურეობა	244 000
06 01 02	თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისათვის	93 600
06 01 03	ოპერაციული მკურნალობის თანადაფინანსება	100 000
06 01 04	მოწყვლადი სოციალური ჯგუფების ბენეფიციართა მედიკამენტებით უზრუნველყოფა	550 000
06 01 05	ქრონიკული დაავადებების სამკურნალო სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა	12 400
06 01 06	შშმ პირთა პერსონალური ასისტენტის მომსახურების პროგრამა	200 000

სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02). პროგრამის ფარგლებში არსებული 11 ქვეპროგრამით მოხდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მძიმე სოციალური მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების დახმარება. მოსახლეობის სხვადასხვა ფენების სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ხელშეწყობა და სხვა სოციალური ღონისძიებების განხორციელება.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

06 02	სოციალური უზრუნველყოფა	2 628 000
06 02 01	სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური, ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფა	30 000
06 02 02	ვეტერანთა უკვდავყოფის, სარიტუალო მომსახურების, სადღესასწაულო დღეების ორგანიზება და დახმარება	130 000
06 02 03	ოთხ და მეტ შვილიან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ბავშვები) ერთჯერადი ფინანსური დახმარება	140 000
06 02 04	გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დასაფლავებისთვის ერთჯერადი ფინანსური დახმარება	60 000

06 02 05	ჰემოდიალეზის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა მგზავრობის ხელშეწყობა	40 000
06 02 06	სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბავშვთა აბილიტაცია/რეაბილიტაციის კურსებზე მგზავრობის ხელშეწყობა	60 000
06 02 07	მოვლის საჭიროების მქონე პირთათვის ფინანსური დახმარება	315 000
06 02 08	0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებზე სპეციალური სამკურნალო კვების პროდუქტების შესაძენად ფინანსური დახმარება	18 000
06 02 09	საქმიანობათა ცენტრი ქედაში უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის	35 000
06 02 10	სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე (ბინის ქირით უზრუნველყოფა) ფინანსური დახმარება	1 700 000
06 02 11	მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე და მარჩენალდაკარგულ პირებზე ფინანსური დახმარება	100 000

აჭარის ა/რ 2027 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებელი ქედის მუნიციპალიტეტზე გადმოსაცემი
კაპიტალური ტრანსფერის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები

№	პროექტის დასახელება	განკარგულებით გამოყოფილი თანხა	შენიშვნა
1	2	3	4
ჯამი		**9 500 000**	
1	შიდა სასოფლო-საუბნო გზების რეაბილიტაცია	1 000 000	
2	მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებები	500 000	
3	პრიორიტეტული ღონისძიებების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა	250 000	
4	ქედის მუნიციპალიტეტის, წონიარისის ადმინისტრაციული ერთეულის კულტურის სახლისა და ადმინისტრაციული შენობის მშენებლობა	653 000	
5	სოფელ სირაბიძეების სასმელი წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოები	497 000	
6	კოლოტაურის (ჯინიშის უბნის) წყლის სისტემის მშენებლობა	600 000	
7	მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის რემონტი	1 000 000	
8	მინი სტადიონების რეაბილიტაცია	1 000 000	
9	მერისის სამთო იალაღებზე ელექტრო-გადამცემი ხაზის მშენებლობა	500 000	
10	დაბა ქედაში დავით აღმაშენებლის ქუჩაზე (ქედა-მერისი) დამაკავშირებელ საავტომობილო გზაზე საყრდენი კედლის მოწყობა	500 000	
11	ქედის მუნიციპალიტეტში გარე განათებისა და ელექტროგადამცემი ქსელების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	1 000 000	
12	მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების ცენტრებისა და მასში შემავალი სოფლების ცენტრების კეთილმოწყობის სამუშაოები	1 000 000	
13	დაბა ქედა, 26 მაისის ქუჩის რეაბილიტაცია	1 000 000	

ქედის მუნიციპალიტეტის 2027 წლის სახელმწიფო გრანტით გათვალისწინებელი
სპეციალური ფინანსური დახმარება ტრანსფერის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები

№	პროექტის დასახელება	განკარგულებით გამოყოფილი თანხა	შენიშვნა
1	2	3	4
ჯამი		**3 450 000**	
1	მოწყვლადი სოციალური ჯგუფების ბენეფიციართა მედიკმანტებით უზრუნველყოფა	550 000	
2	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება	1 200 000	
3	სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე (ბინის ქირით უზრუნველყოფა) ფინანსური დახმარება	1 700 000	

პროექტი

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის ბიუჯეტის განაცხადი

ლარი

პროგრამული კოდი							დასახელება	2025 წელი ფაქტი	2026 წელი გეგმა	2027 წელი პროექტი	2028 წელი პროექტი	2029 წელი პროექტი	2030 წელი პროექტი
1							2	3	4	5	6	7	8
01 01 01							ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო	1 294 519	1 625 400	1 913 500	1 910 300	2 096 700	2 293 500
							შტატით გათვალისწინებული მომუშავეთა რიცხოვნობა	31	31	31	31	31	31
							შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობა	7	7	7	7	7	7
2							**ხარჯები**	**1 278 685**	**1 610 900**	**1 801 500**	**1 889 100**	**2 079 400**	**2 275 100**
2	**1**						**შრომის ანაზღაურება**	**967 965**	**1 211 000**	**1 358 100**	**1 459 200**	**1 604 800**	**1 764 800**
2	1	1					ხელფასები	967 965	1 211 000	1 358 100	1 459 200	1 604 800	1 764 800
2	1	1	1				ხელფასები ფულადი ფორმით	967 965	1 211 000	1 358 100	1 459 200	1 604 800	1 764 800
2	1	1	1	1			*თანამდებობრივი სარგო*	939 711	1 198 718	1 313 742	1 445 200	1 589 740	1 748 754
2	1	1	1	3			*ჯილდო/პრემია*	22 192	0	26 200	0	0	0
2	1	1	1	4			*დანამატი*	6 062	12 282	18 158	14 000	15 060	16 046
2	**2**						**საქონელი და მომსახურება**	**263 280**	**326 600**	**370 400**	**346 900**	**381 600**	**407 300**
2	**2**	**1**					**შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება**	**120 183**	**132 000**	**117 600**	**129 400**	**142 400**	**156 700**
2	**2**	**2**					**მივლინება**	**3 778**	**15 000**	**15 000**	**22 000**	**30 000**	**35 000**
2	2	2	1				მივლინება ქვეყნის შიგნით	3 778	10 000	10 000	12 000	15 000	15 000
2	2	2	2				მივლინება ქვეყნის გარეთ		5 000	5 000	10 000	15 000	20 000
2	**2**	**3**					**ოფისის ხარჯები**	**51 620**	**50 030**	**66 000**	**60 400**	**71 100**	**75 500**
2	2	3	1				საკანცელარიო, საწერ-სახაზავი ქაღალდის, საბუღალტრო ბლანკების, ბიულეტენების, საკანცელარიო წიგნების და სხვა ანალოგიური მასალების შეძენა		1 400	3 000	3 000	3 000	3 000
2	2	3	3				ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთების შეძენა და ყველა სახის საგამომცემლო-სასტამბო (არაძირითადი საქმიანობის) ხარჯი	39 414	30 600	31 000	30 000	35 000	35 000
2	2	3	4				მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენა და დამონტაჟების/დემონტაჟის ხარჯი	1 579	5 230	16 000	9 500	12 000	14 500
2	2	3	4	3			*კომპიუტერული ტექნიკა*	415	680	1 000	2 000	3 000	4 000
2	2	3	4	5			*კარტრიჯების შეძენა და დატუმბვა*	1 164	4 400	3 000	5 000	6 000	6 000
2	2	3	4	8			*ტელეფონის, ფაქსის აპარატი*	0,00	0	12 000	0	0	0
2	2	3	4	11			*სხვა მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენასა და დამონტაჟებასთან/დემონტაჟთან დაკავშირებული ხარჯი*	0	150		2 500	3 000	4 500
2	2	3	5				საოფისე ინვენტარის შეძენა და დამონტაჟების ხარჯი	940	2 200	3 200	6 300	9 000	9 500
2	2	3	5	1			*საოფისე ავეჯი*			1 000			
2	2	3	5	2			*რბილი ავეჯი*	940	2 000	2 000	5 000	7 000	7 000
2	2	3	5	3			*სხვა საოფისე მცირეფასიანი ინვენტარის შეძენასა და დამონტაჟებასთან დაკავშირებული ხარჯი*	0	200	200	1 300	2 000	2 500
2	2	3	6				*ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენის ხარჯი*	0	100	100	400	600	800
2	2	3	7				*რეცხვის, ქიმწმენდის და სანიტარიული საგნების შეძენის ხარჯი*	0	1 000	1 000	1 200	1 500	1 700
2	2	3	9				საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის, ექსპლუატაციისა და მიმდინარე რემონტის ხარჯი	1 390	0	0	0	0	0
2	2	3	10				კავშირგაბმულობის ხარჯი	8 298	9 500	11 700	10 000	10 000	11 000
2	**2**	**4**					**წარმომადგენლობითი ხარჯები**	15 577	**20 000**	**20 000**	**25 000**	**25 000**	**25 000**
2	**2**	**8**					**ტრანსპორტის და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები**	**64 525**	**107 800**	**145 800**	**110 100**	**113 100**	**115 100**
2	2	8	1				*საწვავ/საპოხი მასალების შეძენის ხარჯი*	54 519	93 900	121 800	95 100	95 100	95 100
2	2	8	2				*მიმდინარე რემონტის ხარჯი*	7 755	10 000	20 000	12 000	15 000	17 000
2	2	8	3				ექსპლუატაციის, მოვლა-შენახვის და სათადარიგო ნაწილების შეძენის ხარჯი	2 251	3 900	4 000	3 000	3 000	3 000
2	**2**	**10**					**სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება**	**7 597**	**1 770**	**6 000**	**0**	**0**	**0**
2	2	10	14				სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი	7 597	1 770	6 000	0	0	0
2	**8**						**სხვა ხარჯები**	**47 440**	**73 300**	**73 000**	**83 000**	**93 000**	**103 000**

2	8	2					**ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული**	**47 440**	**73 300**	**73 000**	**83 000**	**93 000**	**103 000**
2	8	2	1				მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	47 440	73 300	73 000	83 000	93 000	103 000
2	8	2	1	4			*სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის ხარჯი*	1 492	2 000	1 700	3 000	3 000	3 000
2	8	2	1	18			*სხვა დანარჩენი მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული*	45 947	71 300	71 300	80 000	90 000	100 000
31							**არაფინანსური აქტივები**	**15 834**	**14 500**	**112 000**	**21 200**	**17 300**	**18 400**
31	**1**						**ძირითადი აქტივები**	15 834	14 500	112 000	21 200	17 300	18 400
31	**1**	**2**					**მანქანა-დანადგარები და ინვენტარი**	**15 834**	**14 500**	**112 000**	**21 200**	**17 300**	**18 400**
31	1	2	1				სატრანსპორტო საშუალებები	0,00	0	100 000	0	0	0
31	1	2	1	2			მაღალი გამავლობის მსუბუქი ავტომობილი	0,00	0	100 000	0	0	0
31	1	2	2				სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი სატრანსპორტო საშუალებების გარდა	15 834	14 500	12 000	21 200	17 300	18 400
31	1	2	2	1			საინფორმაციო, კომპიუტერული, სატელეკომუნიკაციო და სხვა დანადგარები, ავეჯი და [illegible]	12 934	10 000	6 000	11 200	7 300	8 400
31	1	2	2	1	2		მაცივარი	1 399					
31	1	2	2	1	3		კომპიუტერი	7 335	6 000	6 000	4 000	4 000	4 000
31	1	2	2	1	5		პრინტერი, სკანერი, ასლგადამღები	4 200	4 000		2 200	3 300	4 400
31	1	2	2	1	9		ვიდეო-აუდიო აპარატურა	0	0	0	5 000	0	0
31	1	2	2	2			სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული	2 900	4 500	6 000	10 000	10 000	10 000

პროექტი

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურების 2026 წლის ბიუჯეტის განაცხადი

ლარი

პროგრამული კოდი							დასახელება	2025 წელი ფაქტი	2026 წელი გეგმა	2027 წელი პროექტი	2028 წელი პროექტი	2029 წელი პროექტი	2030 წელი პროექტი
1							2	3	4	5,00	6	7	8
01 01 02							მერია	4 126 424	4 702 482	5 589 900,00	4 884 600	5 436 800	5 872 200
							შტატით გათვალისწინებული მომუშავეთა რიცხოვნობა	92	94	94,00	92	92	92
							შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობა	46	70	70,00	66	66	66
2							**ხარჯები**	4 092 965	4 580 682	5 555 700,00	4 859 600	5 311 800	5 827 200
2	**1**						**შრომის ანაზღაურება**	2 354 478	2 630 864	3 243 200,00	2 844 600	3 129 000	3 475 300
2	1	1					ხელფასები	2 354 478	2 630 864	3 243 200,00	2 844 600	3 129 000	3 475 300
2	1	1	1				ხელფასები ფულადი ფორმით	2 354 478	2 630 864	3 243 200,00	2 844 600	3 129 000	3 475 300
2	1	1	1	1			*თანამდებობრივი სარგო*	2 200 751	2 464 666	3 014 736,00	2 761 664	3 037 833	3 341 575
2	1	1	1	3			*ჯილდო/პრემია*	120 187	120 100	175 900,00			
2	1	1	1	4			*დანამატი*	33 540	46 098	52 564,00	82 936	91 167	133 725
2	**2**						**საქონელი და მომსახურება**	1 696 690	1 915 618	2 294 900,00	1 999 800	2 167 600	2 336 700
2	**2**	**1**					**შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება**	1 124 709	1 126 213	1 357 360,00	1 237 800	1 361 600	1 497 700
2	**2**	**2**					**მივლინება**	7 937	21 700	27 800,00	22 000	23 000	25 000
2	2	2	1				მივლინება ქვეყნის შიგნით	7 937	20 700	21 700,00	15 000	15 000	15 000
2	2	2	2				მივლინება ქვეყნის გარეთ		1 000	6 100,00	7 000	8 000	10 000
2	**2**	**3**					**ოფისის ხარჯები**	165 293	251 405	256 240,00	245 000	258 000	263 000
2	2	3	1				საკანცელარიო, საწერ-სახაზავი ქაღალდის, საბუღალტრო ბლანკების, ბიულეტენების, საკანცელარიო წიგნების და სხვა ანალოგიური მასალების შეძენა	5 136	26 285	15 581,00	20 000	22 000	25 000
2	2	3	2				კომპიუტერული პროგრამების შეძენის და განახლების ხარჯი	840	0	0,00	5 000	5 000	5 000
2	2	3	4				მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენა და დამონტაჟების/დემონტაჟის ხარჯი	5 648	44 660	41 580,00	45 500	45 500	45 500
2	2	3	4	3			*კომპიუტერული ტექნიკა*	1 577	12 180	11 770,00	10 000	10 000	10 000
2	2	3	4	4			*ასლგადამღები*			360,00			
2	2	3	4	5			*კარტრიჯების შეძენა და დატუმბვა*	3 201	26 980	22 340,00	35 000	35 000	35 000
2	2	3	4	10			*გამათბობელი და გამაგრილებელი ტექნიკა*	0	500	500,00	500	500	500
2	2	3	4	11			*სხვა მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენასა და დამონტაჟებასთან/დემონტაჟთან დაკავშირებული ხარჯი*	870	5 000	6 610,00	0	0	0
2	2	3	5				საოფისე ინვენტარის შეძენა და დამონტაჟების ხარჯი	6 956	13 160	13 125,00	22 500	27 500	29 500
2	2	3	5	1			*საოფისე ავეჯი*		2 000	2 300,00	10 000	15 000	15 000
2	2	3	5	2			*რბილი ავეჯი*	6 956	8 700	4 450,00	10 000	10 000	12 000
2	2	3	5	3			*სხვა საოფისე მცირეფასიანი ინვენტარის შეძენასა და დამონტაჟებასთან დაკავშირებული ხარჯი*		2 460	6 375,00	2 500	2 500	2 500
2	2	3	6				*ოფისისათვის საჭირო საგებებისა და ძასალების შეძენის ხარჯები, ჟიხტისდება და სამეურნეო საგებების შეძენის ხარჯი*	4 199	0	0,00	3 000	3 000	3 000
2	2	3	7					5 660	9 000	9 000,00	10 000	10 000	10 000
2	2	3	8				*შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის ხარჯი*	0	10 000	20 000,00	5 000	10 000	10 000
2	2	3	9				საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, ძანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის, ექსპლუატაციისა და მიმდინარე რემონტის ხარჯი	15 189	10 000	15 000,00	5 000	5 000	5 000
2	2	3	10				კავშირგაბმულობის ხარჯი	36 453	37 300	37 254,00	35 000	35 000	35 000
2	2	3	11				საფოსტო მომსახურების ხარჯი	4 410	10 000	12 000,00	5 000	5 000	5 000
2	2	3	12				კომუნალური ხარჯი	80 801	91 000	92 700,00	85 000	85 000	85 000
2	2	3	12	1			*ელექტროენერგიის ხარჯი*	52 843	60 000	60 000,00	60 000	60 000	60 000
2	2	3	12	3			*ბუნებრივი და თხევადი აირის ხარჯი*	18 870	20 000	0,00	20 000,00	20 000,00	20 000,00
2	2	3	12	5			*გათბობისა და გათბობის მიზნით სხვა საწვავისა და ნედლეულის, ასევე გენერატორის საწვავის შეძენის ხარჯი*	9 088	11 000	32 700,00	5 000	5 000	5 000
2	**2**	**4**					**წარმომადგენლობითი ხარჯები**	14 188	20 000	20 000,00	20 000	20 000	22 000

2	**2**	**7**					**რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები**	0	2 000	3 000,00	3 000	3 000	3 000
2	**2**	**8**					**ტრანსპორტის და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები**	**133 212**	**226 200**	**261 800,00**	**175 000**	**182 000**	**186 000**
2	2	8	1				*საწვავ/საპოხი მასალების შეძენის ხარჯი*	98 096	167 900	207 540,00	150 000	150 000	150 000
2	2	8	2				*მიმდინარე რემონტის ხარჯი*	23 428	35 400	39 000,00	15 000	20 000	22 000
2	2	8	3				ექსპლუატაციის, მოვლა-შენახვის და სათადარიგო ნაწილების შეძენის ხარჯი	11 689	17 900	15 260,00	10 000	12 000	14 000
2	2	8	4				ტრანსპორტის დაქირავების (გადაზიდვა-გადაყვანის) ხარჯი		5 000	0,00			
2	**2**	**10**					**სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება**	**251 351**	**268 100**	**368 700,00**	**297 000**	**320 000**	**340 000**
2	2	10	3				ექსპერტიზის და შემოწმებების ხარჯი	20 675		0,00	10 000	10 000	10 000
2	2	10	4				კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი	3 170	5 000	5 000,00	12 000	15 000	15 000
2	2	10	5				რეკლამის ხარჯი		10 000	10 000,00	10 000	10 000	10 000
2	2	10	8				აუდიტორიული მომსახურების ხარჯი		5 000	5 000,00	5 000	5 000	5 000
2	2	10	10				შენობა-ნაგებობების დაცვის ხარჯი	175 548	195 600	195 600,00	200 000	210 000	220 000
2	2	10	14				სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი	51 958	52 500	153 100,00	60 000	70 000	80 000
2	**7**						**სოციალური უზრუნველყოფა**	**31 746**	**15 400**	0,00	**0,00**	**0,00**	**0,00**
2	**7**	**3**					**დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება**	**31 746**	**15 400**	0,00	**0,00**	**0,00**	**0,00**
2	7	3	1				ფულადი ფორმით	31 746	15 400	0,00			
2	**8**						**სხვა ხარჯები**	**10 051**	**18 800**	17 600,00	**15 200**	**15 200**	**15 200**
2	8	2					**ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული**	**10 051**	**18 800**	**17 600,00**	**15 200**	**15 200**	**15 200**
2	8	2	1				მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	10 051	18 800	**17 600,00**	15 200	15 200	15 200
2	8	2	1	4			*სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის ხარჯი*	9 679	17 800	16 600,00	15 000	15 000	15 000
2	8	2	1	16			*მოსაკრებლები*	372	1 000	1 000,00	200	200	200
31							**არაფინანსური აქტივები**	**33 459**	**121 800**	**34 200,00**	**25 000**	**125 000**	**45 000**
31	**1**						**ძირითადი აქტივები**	33 459	121 800	**34 200,00**	25 000	125 000	45 000
31	**1**	**1**					**შენობა-ნაგებობები**	**3 504**	**0**	**0,00**	**0**	**100 000**	**20 000**
31	1	1	2				არასაცხოვრებელი შენობები	3 504	0	0,00	0	100 000	20 000
31	**1**	**2**					**მანქანა-დანადგარები და ინვენტარი**	**29 955**	**121 800**	**34 200,00**	**25 000**	**25 000**	**25 000**
31	1	2	1				სატრანსპორტო საშუალებები	0	100 000	0,00	0,00	0,00	0,00
31	1	2	1	6			სხვა სატრანსპორტო საშუალებები		100 000	0,00			
31	1	2	2				სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი სატრანსპორტო საშუალებების გარდა	29 955	21 800	34 200,00	25 000	25 000	25 000
31	1	2	2	1			საინფორმაციო, კომპიუტერული, სატელეკომუნიკაციო და სხვა დანადგარები, ავეჯი და აღჭურვა	29 955	7 700	25 200,00	15 000	15 000	15 000
31	1	2	2	1	3		კომპიუტერი	18 405	0	11 000,00	10 000	10 000	10 000
31	1	2	2	1	5		პრინტერი, სკანერი, ასლგადამღები	11 550	4 800	12 000,00	5 000	5 000	5 000
31	1	2	2	1	14		ავეჯი		1 400	2 200,00	0	0	0
31	1	2	2	1	15		რბილი ავეჯი		1 500	0,00			
31	1	2	2	2			სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული		14 100	9 000,00	10 000	10 000	10 000

პროექტი

ქედის მუნიციპალიტეტის 2027 წლის სარეზერვო ფონდის განაცხადი

ლარი

პროგრამული კოდი							დასახელება	2025 წელი ფაქტი	2026 წელი გეგმა	2027 წელი პროექტი	2028 წელი პროექტი	2029 წელი პროექტი	2030 წელი პროექტი
1							2	3	4	5	6	7	8
							სარეზერვო ფონდი	**0**	**250 000**	**200 000**	**150 000**	**150 000**	**200 000**
2							**ხარჯები**	**0**	**250 000**	**200 000**	**150 000**	**150 000**	**200 000**
2	**8**						**სხვა ხარჯები**	**0**	**250 000**	**200 000**	**150 000**	**150 000**	**200 000**
2	8	2					**ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული**	0	250 000	200 000	150 000	150 000	200 000
2	8	2	1				მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	0	250 000	200 000	150 000	150 000	200 000
2	8	2	1	18			*სხვა დანარჩენი მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული*	0	250 000	200 000	150 000	150 000	200 000

პროექტი

საერთო დანიშნულების 2027 წლის ბიუჯეტის განაცხადი

ლარი

პროგრამული კოდი							დასახელება	2025 წელი ფაქტი	2026 წელი გეგმა	2027 წელი პროექტი	2028 წელი პროექტი	2029 წელი პროექტი	2030 წელი პროექტი
1							2	3	4	5	6	7	8
01 02							საერთო დანიშნულება	320 232	65 900	51 000	56 000	61 000	66 000
2							ხარჯები	49 726	51 500	50 000	55 000	60 000	65 000
2	4						პროცენტი	2 885	1 500	0	0	0	0
2	4	2					საშინაო ერთეულებზე გარდა სახელმწიფო ერთეულებისა	2 885	1 500	0	0	0	0
2	5						სუბსიდიები	46 841	50 000	50 000	55 000	60 000	65 000
2	5	2					კერძო საწარმოებს	24 289	50 000	50 000	35 000	35 000	40 000
2	5	2	1				კერძო არაფინანსური საწარმოები	24 289	50 000	50 000	35 000	35 000	40 000
2	5	3					სხვა სექტორებს	22 553	0	0	20 000	25 000	25 000
31							არაფინანსური აქტივები	243 716	0	0	0	0	0
31	1						ძირითადი აქტივები	243 716	0	0	0	0	0
31	1	1					შენობა-ნაგებობები	243 716	0	0	0	0	0
31	1	1	3				სხვა ნაგებობები	243 716	0	0	0	0	0
31	1	1	3	9			სხვა ნაგებობები ორმელიც არ არის	243 716	0	0	0	0	0
33							ვალდებულებები	26 790	14 400	1 000	1 000	1 000	1 000
33	1						საშინაო კრედიტორები	26 790	14 400	1 000	1 000	1 000	1 000
33	1	4					სესხები	26 790	13 400	0	0	0	0
33	1	8					სხვა კრედიტორული დავალიანებები	0	1 000	1 000	1 000	1 000	1 000
33	1	8	2				სხვა დანარჩენი კრედიტორული დავალიანებები	0	1 000	1 000	1 000	1 000	1 000
01 02 02							მონაწილეობითი ბიუჯეტი	243 716	0	0	0	0	0
31							არაფინანსური აქტივები	243 716	0	0	0	0	0
31	1						ძირითადი აქტივები	243 716	0	0	0	0	0
31	1	1					შენობა-ნაგებობები	243 716	0	0	0	0	0
31	1	1	3				სხვა ნაგებობები	243 716	0	0	0	0	0
31	1	1	3	9			სხვა ნაგებობები ორმელიც არ არის	243 716					
01 02 03							მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებითი მონაწილეობა საგრანტო და ადგილობრივ პროექტებში	46 841	50 000	50 000	55 000	60 000	65 000
2							ხარჯები	46 841	50 000	50 000	55 000	60 000	65 000
2	5						სუბსიდიები	46 841	50 000	50 000	55 000	60 000	65 000
2	5	2					კერძო საწარმოებს	24 289	50 000	50 000	35 000	35 000	40 000
2	5	2	1				კერძო არაფინანსური საწარმოები	24 289	50 000	50 000	35 000	35 000	40 000
2	5	3					სხვა სექტორებს	22 553		0	20 000	25 000	25 000
01 02 04 01							მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხის მომსახურება	29 675	14 900	0	0	0	0
2							ხარჯები	2 885	1 500	0	0	0	0
2	4						პროცენტი	2 885	1 500	0	0	0	0
2	4	2					საშინაო ერთეულებზე გარდა სახელმწიფო ერთეულებისა	2 885	1 500			0	0
33							ვალდებულებები	26 790	13 400	0	0	0	0
33	1						საშინაო კრედიტორები	26 790	13 400	0	0	0	0
33	1	4					სესხები	26 790	13 400	0			
01 02 04 02							წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების ფინანსური უზრუნველყოფა	0	1 000	1 000	1 000	1 000	1 000
33							ვალდებულებები	0	1 000	1 000	1 000	1 000	1 000
33	1						საშინაო კრედიტორები	0	1 000	1 000	1 000	1 000	1 000
33	1	8					სხვა კრედიტორული დავალიანებები	0	1 000	1 000	1 000	1 000	1 000
33	1	8	2				სხვა დანარჩენი კრედიტორული დავალიანებები	0	1 000	1 000	1 000	1 000	1 000

პროექტი

ქედის მუნიციპალიტეტის გენდერული პროგრამების 2027 წლის ბიუჯეტის განაცხადი

ლარი

პროგრამული კოდი							დასახელება	2025 წელი ფაქტი	2026 წელი გეგმა	2027 წელი პროექტი	2028 წელი პროექტი	2029 წელი პროექტი	2030 წელი პროექტი
1							2	3	4	5	6	7	8
05 02/02							თანასწორობის ხელშეწყობის პროგრამები	57 461,20	60 000	60 000	90 000	125 000	180 000
2							ხარჯები	57 461,20	60 000	60 000	90 000	125 000	180 000
2	2						საქონელი და მომსახურება	13 388,08	15 000	15 000	20 000	25 000	30 000
2	2	10					სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	13 388,08	15 000	15 000	20 000	25 000	30 000
2	2	10	12				კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯები	13 388,08	15 000	15 000	20 000	25 000	30 000
2	8						სხვა ხარჯები	44 073,12	45 000	45 000	70 000	100 000	150 000
2	8	2					ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	44 073,12	45 000	45 000	70 000	100 000	150 000
